

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი

მაკა ბალაძე

ევფემიზმების და დისფემიზმების გამოყენების თავისებურებები
ინგლისურენოვანი და ქართული პრესის დისკურსში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა- ლინგვისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი

ირინე გოშხეთელიანი

ბათუმი

2015

შინაარსი

ანოტაცია	3
შესავალი.....	4
I. დისკურსის ანალიზის თეორიული საფუძვლები	8
1.1. დისკურსის ზოგადი მიმოხილვა.....	8
1. 2. პრესის დისკურსი.....	17
1.3. ტექსტის ზოგადი მიმოხილვა და ტექსტობრივი კატეგორიები.....	21
1.4. კულტურათმორისი კომუნიკაცია	25
II. ევფემიზმების სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებები	32
2.1. ევფემიზმების ეტიმოლოგია.....	31
2.2. სიტყვის არსი და ევფემიზმების მნიშვნელობა.....	33
2.3. ევფემიზმების კლასიფიკაცია	36
2.4. ევფემიზმების სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებები	48
2.5 ევფემიზმების გავლენა საზოგადოებაზე.....	52
III. დისფემიზმების ლინგვისტური თავისებურებები	59
3.1. დისფემიზმის მნიშვნელობა და ეტიმოლოგია.....	59
3.2. დისფემიზმების კლასიფიკაცია და მათი სემანტიკური თავისებურებები.....	63
3.3. დისფემიზმთა ლექსიკურ-სემანტიკური კლასიფიკაცია.....	71
IV. ევფემიზმების და დისფემიზმების შედარებითი ანალიზი	84
4.1 ევფემიზმების და დისფემიზმების თავისებურებები ლინგვოკულტურულ კომუნიკაციაში.....	84
4.2. X-ფემიზმების ფუნქცია საგაზეთო ტექსტებში.....	96
დასკვნები.....	121
გამოყენებული ლიტერატურა.....	125
დანართი	129

ანოტაცია

დღესდღეობით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მედიადისკურსს. ჩვენი კვლევის მიზანია, განვსაზღვროთ ევფემიზმების და დისფემიზმების გამოყენების თავისებურებები ინგლისურ და ქართულ საგაზეთო ტექსტებში. კვლევაში ასევე განხილულია ევფემიზმების და დისფემიზმების სემანტიკური, სტრუქტურული და პრაგმატიკული თავისებურებები. იმისათვის, რომ ვაჩვენოთ ინგლისური და ქართული ევფემიზმების და დისფემიზმების თავისებურებები, მათ განვიხილავთ ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით და შესაბამისად, ვაჯგუფებთ სემანტიკური და პრაგმატიკული ფუნქციების მიხედვით. ჩვენს კვლევაში ევფემიზმების ყველაზე აქტუალური კვალიფიკაციაა წარმოდგენილი. ამ სტილისტიკური ხერხის გამოყენება ნაკარნახევია სოციალური კონვენციით, დაიხვეწოს მიუღებელი ფორმები, რათა დავიცვათ საზოგადოებაში მიღებული მორალური და ეთიკური სტანდარტის წესები, ასევე თავიდან ავიცილოთ „კომუნიკაციური კონფლიქტი“ და რეალობის მიუღებელი მოვლენები.

Annotation

Nowadays particular attention is paid to the media discourse. The aim of this research is to identify features of euphemisms and dysphemisms used in the English and Georgian newspapers. The research deals with the semantic, structural and pragmatic peculiarities of euphemisms and dysphemisms . To reveal peculiarities of the English and Georgian euphemisms and dysphemisms, they are analyzed according to the lingua-cultural approach and consequently are classified according to their semantic and pragmatic features. In this research most actual qualification of euphemisms is represented. The use of this stylistic device in the discourse is dictated by social conventions to seek refinement in the unacceptable form, to follow the rules of the moral and ethical standards accepted in the society, for the purpose of avoiding of "the communicative conflicts," and some socially unacceptable phenomena of reality.

შესავალი

თანამედროვე მზარდი კავშირ-ურთიერთობების ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრესის დისკურსს და მის მრავალმხრივ ანალიზს, ვინაიდან ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს ხალხი ძირითადად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აღიქვამს და შეიმეცნებს, ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ხერხს მიმართავს ავტორი მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად, რამდენად წარმატებულია ეს კომუნიკაცია. სწორედ ასეთი ევფემისტური და დისფემისტური გამონათქვამების სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებების გამოვლენას ემსახურება წინამდებარე ნაშრომი.

ჩვენ ყველა ვიყენებთ ევფემიზმებს მეტყველებისას, როცა გვინტერესებს, სად არის „ქალბატონების ოთახი“, ან როცა გადავცემთ ამბავს, რომ ცოტა ხნის წინ ვიღაც „გარდაიცვალა“. ფაქტობრივად, ევფემიზმები არსებობდა მთელი ისტორიის განმავლობაში და წლების წინაც, როცა პირველად ვითარდებოდა ენები. იგივე შეგვიძლია ითქვას დისფემიზმებთან დაკავშირებითაც. ეს არის სიტყვები, რომლებიც გამოიყენება, როგორც იარაღი სხვების წინააღმდეგ იმედგაცრუებისა და აღშფოთების გამოსახატავად.

ევფემიზმი შეიძლება წარმოიქმნას უხვსიტყვაობის, აბრევიატურის, ჰიპერბოლის ან მეტაფორის საფუძველზე. ბევრ სიტყვას თუ მოვლენას (სხეულის ნაწილები, სიკვდილი და დაავადება) ერთგვარი ტაბუ ადევს: ევფემიზმები გამოიყენება, რათა თავი ავარიდოთ ღვთის გმობას, არქაული სიტყვები „egad, „zounds“ და „gadzoos“ ჩანაცვლებულია ისეთი თანამედროვე ეკვივალენტებით, როგორებიცაა: „Jiminy Cricket“, „golly“ ან „gosh.“

ევფემიზმები ხშირად გამოიყენება პოლიტიკურ დისკურსში. მაგალითად, ომის დროს ისინი ხშირად გამოიყენება, რათა დაუმალონ საზოგადოებას ის დარღვევები, რომლებიც ამ დროს ხდება. concentration camps ჩანაცვლებულია „pacification centers,“ bombing raids გახდა „surgical strikes,“ ხოლო ბომბები, რომლებმაც იმსხვერპლეს საკუთარი ჯარის წევრი, ჩანაცვლებულია შემდეგი ევფემიზმით - „friendly fire.“

წინამდებარე ნაშრომის აქტუალურობა გამოწვეულია პრესის დისკურსში ევფემიზმების და დისფემიზმების კვლევის აუცილებლობით. თანამედროვე

პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასობრივი კომუნიკაციის საკითხებს. პრესაში თავმოყრილია როგორც წერიტი, ისე ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმები სამეცნიერო, რიტორიკული, ყოველდღიური სამეტყველო, პოლიტიკური, საქმიანი და სხვა ტექსტებიდან. თავისთავად, მნიშვნელოვანია რა ლინგვისტური საშუალებებით გამოიხატება აზრი. სწორედ ასეთ ენობრივ ერთეულებად შეიძლება მივიჩნიოთ ევფემიზმები და დისფემიზმები. მათი მეცნიერული კვლევა დაეხმარება არა მარტო ლინგვისტებს, არამედ ჟურნალისტებს ამ ენობრივი საშუალებების სწორად არჩევასა და გამოყენებაში.

სადოქტორო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ევფემიზმების და დისფემიზმების სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებების გამოვლენა ინგლისური და ქართული პრესის დისკურსში. ასევე ჩვენი მიზანია, განვსაზღვროთ თუ რომელი სახის გამონათქვამი ჭარბობს ქართულსა და ინგლისურ ენებში და რა ეფექტს ახდენს თითოეული მათგანი მკითხველზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩვენ დავისახეთ შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. დავადგინოთ ევფემიზმების და დისფემიზმების გამოყენების თავისებურებები;
2. განვიხილოთ თანამედროვე ლინგვისტიკაში ევფემიზმების და დისფემიზმების შესწავლის თეორიული პრობლემები;
3. განვიხილოთ ევფემიზმების და დისფემიზმების ლინგვისტური და სემანტიკური მახასიათებლები;
4. დავადგინოთ ევფემიზმების და დისფემიზმების პრაგმატიკული მნიშვნელობა საგაზეთო ტექსტებში, პოლიტიკურ დისკურსსა და რეკლამაში;
5. გავარკვიოთ მედიადისკურსის რომელ სფეროში მეტად გამოიყენება ევფემიზმები და დისფემიზმები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი განპირობებულია დასახული მიზნებითა და ამოცანებით. ჩატარებული კვლევა ატარებს ინტერდისციპლინურ

ხასიათს, ვინაიდან ემპირიული მასალა ორ ენასა და კულტურას, უკეთ რომ ვთქვათ, ორი სხვადასხვა ენის პრესის დისკურსს ეხება, ამდენად, ნაშრომში გამოყენებულია: შედარების მეთოდი, ლინგვისტური დაკვირვების და აღწერის, აგრეთვე სემანტიკურ-პრაგმატიკული ანალიზის მეთოდები.

ნაშრომის თეორიული ღირებულება განისაზღვრება იმით, რომ იგი შეიცავს ენათა ტიპოლოგიისა და კულტუროლოგიისთვის ფასეულ დაკვირვებებს და დასკვნებს. **ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება** კი ისაა, რომ ნაშრომში წარმოდგენილი მასალა და თეორიული განზოგადებანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ზოგადი ენათმეცნიერების, კულტუროლოგიის, პრესის დისკურსის და შეპირისპირებითი ლინგვისტიკის სემინარებზე, ისე დახმარებას გაუწევს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს და აღნიშნული საკითხის შესწავლით დაინტერესებულ პირთ.

საკვლევ მასალად გამოყენებულია საგაზეთო სტატიები ინგლისურენოვანი და ქართული პრესიდან.

რაც შეეხება ნაშრომის **სიახლეს**, იგი შემდეგია: პრესის დისკურსს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიემდგნა, თუმცა დისფემიზმების და ევფემიზმების სემანტიკურ-პრაგმატიკული თავისებურებები ინგლისური და ქართული პრესის დისკურსში ნაკლებადაა შესწავლილი. სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ ქართულ ენაზე არცერთი სამეცნიერო ნაშრომი არ არის მიძღვნილი დისფემიზმებისადმი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი ნაშრომი ქართულ ენათმეცნიერებაში დისფემიზმების შესწავლის პირველი ცდაა. რაც შეეხება ქართულ ევფემიზმებს, ისინი ნაწილობრივ შესწავლილი აქვს კ. ჯორჯანელს, თუმცა მის ნაშრომში განხილულია ევფემიზმების როლი და ფუნქცია მხატვრულ ნაწარმოებებში. ჩვენი ნაშრომი ამ კუთხითაც ახალი იქნება, რადგანაც ჩვენ განვიხილავთ ევფემიზმებს პრესის დისკურსში.

ნაშრომის სტრუქტურა შეესაბამება მის მიზნებს და ამოცანებს. ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, ცამეტი პარაგრაფის და ზოგადი დასკვნებისაგან. ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის და ინტერნეტ რესურსების ნუსხა. ამათგან 51 სამეცნიერო ნაშრომი.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევანის მართებულობა, ხაზგასმულია ნაშრომის აქტუალურობა და მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტები.

ნაშრომის პირველი თავი, „დისკურსის ანალიზის თეორიული საფუძვლები“, ეძღვნება დისკურსის თეორიული საფუძვლების კვლევას.

ნაშრომის მეორე თავში, „ევფემიზმების სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებები“, საუბარია ევფემიზმების ეტიმოლოგიასა და არსებულ კლასიფიკაციაზე, ასევე განხილულია ევფემიზმების სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებები.

ნაშრომის მესამე თავში, „ დისფემიზმების ლინგვისტური თავისებურებები“, წარმოდგენილია დისფემიზმების გამოყენების თავისებურებები, ეტიმოლოგია და მათი კლასიფიკაცია ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორიების მიხედვით.

ნაშრომის მეოთხე თავში, „ევფემიზმების და დისფემიზმების შეპირისპირებითი ანალიზი“, მოცემულია ევფემიზმების და დისფემიზმების თავისებურებები ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში და მათი ფუნქცია საგაზეთო ტექსტებში.

ნაშრომის დასკვნითს ნაწილში მოცემულია კვლევის თეორიული განზოგადება.

I თავი

დისკურსის ანალიზის თეორიული საფუძვლები

1.1. დისკურსის ზოგადი მიმოხილვა

თანამედროვე მზარდი კომუნიკაციის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრესის დისკურსს, რადგან სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აღქმება და შეიმეცნება ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. სანამ უშუალოდ პრესის დისკურსზე გადავალთ, მოკლედ მიმოვიხილავთ ზოგადად დისკურსს.

დისკურსი, როგორც ლინგვისტიკის ერთ-ერთი დარგი, ყალიბდება მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან, სტრუქტურალიზმის ეპოქის დასასრულს, ვითარდება პრაგმატიკული ლინგვისტიკის პარალელურად.

პირველად ტერმინი „დისკურსის ანალიზი“ ენათმეცნიერებაში ზელინგ ჰარისმა გამოიყენა თავის სტატიაში „დისკურსის ანალიზი“ (1952 წელი), რომელშიც ზეფრაზული ერთეულების მიმართ გამოყენებული დისტრიბუციული მეთოდია გაანალიზებული. ჰარისმა სტატიაში დისკურსი ისეთ ზეფრაზულ ერთეულად განიხილა, რომელიც ფრაზათა ერთობლიობისაგან შედგება (პავო 2003: 194, ადეიშვილი 2013:20), რის გამოც, პირვანდელი მნიშვნელობით, დისკურსის ანალიზს ტექსტის ლინგვისტიკის სინონიმად მიიჩნევენ. ტერმინ „დისკურსის“ ახალი მნიშვნელობით გამოყენება კი მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. ფრანგული სკოლა დისკურსის ანალიზში ენობრივ წარმონაქმნებს, ძირითადად, მათი პროდუცირების სოციალური პირობების გათვალისწინებით შეისწავლის, ხოლო ანგლოსაქსური მიდგომის მიხედვით, დისკურსის ანალიზი საუბრის ანალიზს გულისხმობს. მისი ძირითადი პოსტულატი დისკურსის ინტერაქციული ხასიათია, რაც ზეპირი თუ წერიტი ვერბალური წარმონაქმნების გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს (ადეიშვილი 2013:20).

1960-70-იან წლებში „დისკურსი“ განიხილებოდა, როგორც წინადადებათა ან სამეტყველო ქმედებათა ურთიერთდაკავშირებული და შეთანხმებული თანმიმდევრობა. თანამედროვე მიდგომების პოზიციიდან კი „დისკურსი“ არის

რთული საკომუნიკაციო მოვლენა, რომელიც ტექსტის გარდა მოიცავს ამ ტექსტის გასაგებად აუცილებელ ისეთ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, როგორებიცაა: სამყაროს შესახებ ცოდნა, აზრი, ადრესატის მიზნები (გელაძე 2012:2).

დისკურსის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ დაფარული მოტივაცია ტექსტში და ტექსტის ინტერპრეტაციისთვის ავირჩიოთ კვლევის კონკრეტული მეთოდი.

მ. ფუკოს თეორიაში დისკურსი არის არა საუბრის აღმნიშვნელი მორიგი სიტყვა, არამედ ისტორიულად მოცემული მატერიალური პრაქტიკა, რომელიც აწარმოებს ძალაუფლებრივ ურთიერთობებს.

დისკურსის მკვლევარი ადვილად შეამჩნევს, რომ ძალიან რთულია დისკურსის კონკრეტული განმარტების მოყვანა, რადგანაც მისი ანალიზი არ არის ერთი მიდგომა, არამედ არის რიგი მიდგომა, რომლებიც სხვადასხვანაირი სოციალური კვლევისას გამოიყენება. ლინგვისტიკის გარდა, დისკურსი სხვა ისეთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყურადღების ცენტრშია, როგორებიცაა: სოციოლოგია, ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურათმცოდნეობა.

მ. იორგენსენი და ლ. ფილიპსი „დისკურსს“ განმარტავენ, როგორც სამყაროს შესახებ საუბრისა და გაგების კონკრეტულ გზას.

ე. ბენვენისტის განსაზღვრებით, „დისკურსი“ არის ენა, „რომელსაც ინტერ-სუბიექტურობის პირობებში იყენებს მოლაპარაკე პირი, რაც შესაძლებელს ხდის ლინგვისტურ კომუნიკაციას“ (ბენვენისტი 1966:266). ამგვარად, ე. ბენვენისტის მიხედვით, „დისკურსი“ არის, ენის, როგორც სისტემის, ინტერსუბიექტურ სივრცეში გადასვლა.

თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დისკურსის გაგება სხვადასხვაგვარია, ამას გარკვეულწილად განაპირობებს კვლევის სფერო, სადაც იგი კვლევის საგანია. მაგალითად, ლინგვისტურ და სემიოტიკურ ტერმინთა ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში (ინგლისურ-რუსული ლექსიკონი 2001:111) მოცემული განმარტებებიდან პირველი, რომელიც ტექსტის ლინგვისტიკასა და

დისკურსის ანალიზშია გამოყენებული, „დისკურსს“ განსაზღვრავს, როგორც თემატურად, კულტურულად ან კიდევ რაიმე ნიშნით ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ერთობლიობას, რომლის განვითარება და შევსება შესაძლებელია დამატებითი ტექსტებით. მეორე განმარტებით, რომელიც სოციოლოგიასა და სოციალურ სემიოტიკაშია მიღებული, „დისკურსი“ არის ურთიერთობა, რომელიც განიხილება, როგორც გარკვეული დისკურსული „პრაქტიკის“ განხორციელება (მ. ფუკო). მესამე დეფინიცია გამოიყენება სოციოლოგიაში, ლოგიკასა და ფილოსოფიაში: იგი განსაზღვრულია, როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა, რომელიც გულისხმობს სოციალური ცხოვრების ღირებულებათა, ნორმათა და წესთა რაციონალურ-კრიტიკულ განხილვას და რომლის ერთადერთი მოტივია ურთიერთგაგების მიღწევა (ი. ჰაბერ-მასი) (ლექსიკონი 2001, 111).

როგორც ვხედავთ, არც ერთი განმარტება არ არის სრულყოფილი. თითოეული მათგანი დისკურსის მახასიათებელ ცალკეულ ნიშანს გადმოსცემს: ერთგან იგი წარმოდგენილია, როგორც ტექსტების ერთობლიობა, მეორეგან - დისკურსულ „პრაქტიკაში“ განხორციელებული ურთიერთობა, მესამეგან კი, როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა.

როგორც ცნობილია, XX საუკუნეში ფილოსოფიამ ლინგვისტური მოდელებისა და მეთოდებისაკენ იბრუნა პირი. ენათმეცნიერთა მიერ ენისა და მეტყველების გარჩევამ, ენის ფუნქციონირების სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტებისადმი ინტერესმა, სემიოტიკურმა კვლევებმა აშკარა გახადა, რომ ცალკეულ წინადადებაში კავშირების ტიპთა შესწავლა არ იყო საკმარისი ადამიანთა ურთიერთქმედების ასახსნელად. ამიტომ კვლევა გასცდა წინადადების ფარგლებს, კერძოდ, იგი გადასწვდა მეტყველებას, როგორც სამეტყველო აქტთა ბმულ თანამიმდევრობას, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ტექსტით და რომლის გაანალიზებაც სხვადასხვა ასპექტითაა აუცილებელი. ეს ასპექტები შეიძლება იყოს პრაგმატიკული, სემანტიკური, რეფერენტული, ემოციურ-შემფასებლური და სხვა. თავის მხრივ, ენათმეცნიერებმაც ზეფრაზულ ერთიანობებს, ანუ დისკურსს მიმართეს, რომელიც ტექსტის გარდა არალინგვისტურ ფაქტორებსაც მოიცავს, ისეთებს, როგორებიცაა ადრესატის განწყობა, მიზანი, შეხედულებები,

თვითშეფასება, სხვათა შეფასება და სხვა. ფ. სოსიურის მიერ წარმოდგენილი დიქტომიის თანახმად, ენა სამეტყველო ქმედების ნაწილია, ნიშანთა სისტემაა, რომლებიც ცნებებს გამოხატავენ, მეტყველება კი ენის მანიფესტაციაა. ენისა და მეტყველების დაპირისპირება სხვადასხვა კონცეფციაში სხვადასხვაგვარადაა ინტერპრეტირებული: ხან როგორც კოდისა და შეტყობინების, ხან პრაგმატიკისა და სემანტიკის, ხან ნორმისა და სტილის და ა. შ. (ომიაძე 2006:20).

ე. კოსერიუსთვის ენა შესაძლებლობათა ღია სისტემაა, მეტყველება - რეალიზებულ ფორმათა და ნორმათა ერთობლიობა (კოსერიუ 1963:175). აღნიშნულ ოპოზიციაში, როგორც ვხედავთ, „მეტყველების“ ადგილი „დისკურსმა“ დაიკავა (ომიაძე 2006:12).

მ. ფუკოს მიხედვით, „დისკურსი“ გულისხმობს თემატურად (და კულტურული ფონით) დაკავშირებულ ტექსტების ერთობლიობას და არა ზეპირი მეტყველების ერთობლიობას, თუმცა თეორიულად ასეთი ინტერპრეტაციაც დასაშვებია.

კ. მენგენომ თავის ნაშრომში „დისკურსის გენეზისი“ (1984), დისკურსის განმარტებისას 7 ჰიპოთეზა ჩამოაყალიბა. ესენია: ინტერდისკურსულობა - ინტერდისკურსი მეტია, ვიდრე დისკურსი. იგი აზრობრივად სრულყოფილ მნიშვნელობას მხოლოდ სხვა დისკურსების სერიაში ჩართვის შედეგად იღებს. ურთიერთგავლენა - ავტონომიურად არც ერთი დისკურსი არ იქმნება. სხვის მიერ პროდუცირებული დისკურსები რამდენადმე გავლენას ახდენს ნებისმიერი დისკურსის კონსტრუირებაზე. წესთა სისტემა - დისკურსში არის იმპლიციტური თუ ექსპლიციტური ნიშნები, რომლებიც ამა თუ იმ დისკურსულ ფორმაციაში მისი ინტეგრაციის საშუალებას იძლევა. **ინტერდისკურსული კომპეტენცია** გულისხმობს იმას, რომ სუბიექტს განათლების, აღზრდის, საზოგადოების გავლენით ხშირად გაუცნობიერებელი სამეტყველო კომპეტენცია უყალიბდება. ინდივიდი პროდუცირებს ისეთ დისკურსებს, რომლებიც ინდივიდუალური დისკურსული ფორმაციის შესაბამისია და განსხვავებული დისკურსული ფორმაციის გამონათქვამებს არაადეკვატურად აღიქვამს. **დისკურსული პრაქტიკა** ნიშნავს, რომ დისკურსი არ უნდა მივიჩნიოთ კონტექსტიდან ამოცვენილ

გამონათქვამთა სისტემად, არამედ იგი შეადგენს სოციალურ, კულტურულ, ინტელექტუალურ და ტექნიკურ გარემოში განხორციელებულ პრაქტიკას. ინტერსემიოტიკური პრაქტიკა გულისხმობს, რომ დისკურსი უნდა განვიხილოთ, როგორც არა მხოლოდ გამონათქვამთა ერთობლიობა, არამედ ინტერსემიოტიკური პრაქტიკა, რომელიც ჩართულია სხვა სემიოტიკურ ნიშანთა სისტემაში. გასათვალისწინებელია სოციო-ისტორიული ფონი - დისკურსი სოციალურ-ისტორიულ გარემოსთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად ყალიბდება. ყოველგვარ ენობრივ და ამდენად, სააზროვნო სპეციფიკას განაპირობებს ის გარემო, რომელშიც ნებისმიერი დისკურსი წარმოიშობა (პავო 2003:200; ადეიშვილი 2013: 6).

მ. დარასელია სტატიაში „დისკურსის პრაგმატული კოჰერენტულობის ფორმირების შესახებ“ მსჯელობს მნიშვნელოვან საკითხებზე დისკურსის შესახებ. დისკურსის სემანტიკურ თეორიაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. უპირველეს ყოვლისა, მოლაპარაკე სუბიექტს გონებაში უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული, აღბეჭდილი *საგნის კონცეპტუალური რეპრეზენტაციის* გარკვეული ფორმა / სახე. სწორედ ეს რეპრეზენტაცია წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ „მნიშვნელობას," რომელსაც მოლაპარაკე „ამუშავებს" დისკურსის კონსტრუირების დროს. ხშირად ლინგვისტები კონცეპტუალურ რეპრეზენტაციას *მოსაზრებათა ნაკრებად* მიიჩნევენ და *ტექსტობრივ რეპრეზენტაციას* ან *ტექსტობრივ საფუძველს* უწოდებენ [Kintsch, 1974; Kintsch, van Dijk, 1983], მაგრამ კონცეპტუალური რეპრეზენტაცია არ არის მხოლოდ მოსაზრებებზე დამყარებული. მაგალითად, *ყავის დაღვევის* კონცეპტუალური რეპრეზენტაცია, შესაძლოა, ძლიერ განხვავდებოდეს *მუსიკის მოსმენის* რეპრეზენტაციისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი - *ავტომანქანის სიჩქარეების* გადართვისაგან [Russell S. Tomlin..., 1997]. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია როგორც კონცეპტუალური რეპრეზენტაციების შექმნა, ასევე მათი მეხსიერებიდან და აღქმითი გამოცდილებიდან „გამოძახება" (დარასელია 2012: 4).

დისკურსი არის სწორედ კომუნიკაციური სტრუქტურული დონე, მოდელი, რომელიც ტექსტების ერთობლიობას წარმოადგენს. მასში

გაერთიანებულია სამეტყველო ქმედების წესები და კულტურული ღირებულებები, სტანდარტული სამეტყველო ფორმულები, რომლებიც მიღებული და აღიარებულია საზოგადოების მიერ.

2002 წელს შაროდომ და მენგენომ გამოსცეს „დისკურსის ანალიზის ლექსიკონი,“ სადაც აღნიშნული მოსაზრებები ტრანსფორმირებული სახით არის განხილული. დისკურსი ორგანიზაციის თვალსაზრისით წარმოადგენს ზეფრაზულ ერთეულს, რაც ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ მისი სტრუქტურა აუცილებლად ფრაზაზე დიდ ერთეული უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ დისკურსის შინაარსს მხოლოდ კონცეპტუალური რეპრეზენტაციები არ წარმოადგენს. მოლაპარაკე სუბიექტმა კონცეპტუალური რეპრეზენტაციის მთლიანობიდან უნდა შეარჩიოს ინფორმაცია, რათა მასზე დაყრდნობით ააგოს ტექსტი. ის არჩევს იმ ინფორმაციას, რომელსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს მსმენელისთვის, რათა ამ უკანასკნელმა ადეკვატურად აღიქვას დისკურსის შინაარსი. მოლაპარაკის მიერ ინფორმაციის ფლობისა და გადმოცემის ხერხი მნიშვნელოვან როლს თამაშობს დისკურსის აგებასა და გააზრებაში. დისკურსის სწორად წარმართვა, მინიმუმ, ოთხ დამოუკიდებელ პრობლემას მოიცავს:

1. მოლაპარაკე სუბიექტი არასოდეს მიმართავს უმიზნო კონცეპტუალურ რეპრეზენტაციას სასაუბრო ენის საშუალებით. მას ყოველთვის აქვს გარკვეული მიზანი, ზოგჯერ რამდენიმეც კი.

2. მოლაპარაკე სუბიექტი შეზღუდულია რიტორიკული მიზნებით, კონცეპტუალური რეპრეზენტაციის გამოყენებისას დინამიკურად არჩევს ადრესატსა და მისაწოდებელ ინფორმაციას. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი რეფერენტი ან მოსაზრებაა ცენტრალური და უფრო მნიშვნელოვანი დისკურსის წარმართვისას. მოლაპარაკე სუბიექტის ამგვარი პოზიცია, საბოლოო ჯამში, მსმენელს საკუთარი კონცეპტუალური რეპრეზენტაციის შექმნაში ეხმარება. ამდენად, საწყის პოზიციაზე ცენტრალური რეფერენტები და მოსაზრებები დისკურსის თემატური ორგანიზების სპეციფიკას განსაზღვრავს, ასოცირებული პრაგმატული ცნებები

და პროცესები კი თემატური მენეჯმენტის შემადგენელ ნაწილებად განიხილება.

3. თემატური მენეჯმენტის პარალელურად მოლაპარაკე სუბიექტი დინამიკაში აკვირდება, თუ რომელი მოსაზრებაა მსმენელისთვის ნაცნობი (ე.წ. ნაგულისხმევი მოსაზრებები) და რომელი მოითხოვს წარდგენას (ე.წ. საპრეზენტაციო მოსაზრებები). ნაგულისხმევი მოსაზრებები, შესაძლოა, ორ ჯგუფად დაიყოს; პირველ ჯგუფში გაერთიანდება ის მოსაზრებები, რომლებიც, მოლაპარაკე სუბიექტის აზრით, მსმენელისათვის უკვე ნაცნობია (ე. წ. ზოგადი ინფორმაცია); ხოლო მეორე ჯგუფში - ის მოსაზრებები, რომელთა გაგებისთვის, მოსაუბრის აზრით, მსმენელს დახმარება და გარკვეული განმარტება ესაჭიროება (ე. წ. გამიზნული ინფორმაცია). ნაგულისხმევი ინფორმაცია განსაზღვრავს დისკურსის რეფერენტულ ორგანიზებას, ხოლო მასთან ასოცირებულ პრაგმატიკულ ცნებებს და კოგნიტურ პროცესებს შეიძლება რეფერენტული მენეჯმენტი ეწოდოს.

4. მოლაპარაკე სუბიექტი დინამიკაში აკვირდება, თუ რომელი ნაგულისხმევი მნიშვნელობაა მსმენელისთვის გასაგები. შესაძლოა, იგი ზოგჯერ არც იყოს დარწმუნებული, რომ მსმენელი რაღაც კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ მისთვის (მოლაპარაკე სუბიექტისთვის) სასურველ მნიშვნელობას გულისხმობს. მას ასევე შეუძლია ხაზი გაუსვას და გამოყოს გარკვეული მნიშვნელობები. ეს პროცესები განსაზღვრავენ დისკურსის ფოკუსის ორგანიზებას, ამდენად, მასთან ასოცირებულ პრაგმატულ ცნებებსა და კოგნიტურ პროცესებს შეიძლება ფოკუსის მენეჯმენტი ეწოდოს. დისკურსის მენეჯმენტის ზემოაღნიშნული ოთხი სფერო ასახავს დისკურსში ინფორმაციის მენეჯმენტის ძირითად პრობლემებს (დარასელია 2012: 8).

დისკურსი წარმოადგენს რაღაც კონკრეტული საგნის გარშემო ცოდნის კონსტრუირებას ან ამ საგანზე მსჯელობის გზებს: კომპლექსი (ერთობლიობა) იდეების, გამოსახულებების, რომელებიც დაკავშირებულია გარკვეულ თემასთან, სოციალურ აქტივობასთან ან ინსტიტუციასთან საზოგადოებაში. ასეთი დისკურსული ერთობლიობა განსაზღვრავს, რა არის მისაღები და რა მიუღებელი

ამა თუ იმ კონკრეტული საგნის თუ მოვლენის შესახებ მსჯელობისას, რა ცოდნა არის აუცილებელი და აქტუალური იმ მოცემულ კონტექსტში.

ე. ბენვენისტმა გამონათქვამის თეორიის შექმნაზე მუშაობისას დისკურსი გამონათქვამის პროცესთან ახლოს მდგომ ფენომენად მიიჩნია. მისი განსაზღვრებით, დისკურსი არის ენა, „რომელსაც ინტერსუბიექტურობის პირობებში იყენებს მოლაპარაკე პირი, რაც შესაძლებელს ხდის ლინგვისტურ კომუნიკაციას“ (ბენვენისტი 1966:266). ამგვარად, ბენვენისტისთვის დისკურსი ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ენა, როგორც სისტემა, ინტერსუბიექტურ სივრცეში გადადის. ფილოსოფიის სფეროდან უნდა აღვნიშნოთ ფუკოს მნიშვნელოვანი კონცეფცია დისკურსის შესახებ, რომლის განსაზღვრებითაც, „დისკურსი არის გამონათქვამთა ის ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგება ერთი და იმავე დისკურსული ფორმაციიდან (პავო 2003:199, ადეიშვილი 2014:43).

დ. ბუსე „დისკურსს“ განიხილავს, როგორც კონტექსტურ ბმულობას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ენათმეცნიერული კონტექსტური ცნებების გაფართოება ტრანსტექსტური სტრუქტურების დონეზე. ამგვარი ტექსტები ემნიან დისკურსის კორპუსს. ტექსტი, რომელიც გამონათქვამების ჩარჩოს წარმოადგენს, არის დისკურსული ველის ღია სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი. ამდენად, დისკურსი არ არის მხოლოდ მარტივი, თემატურად გაერთიანებული კორპუსი, არამედ ღია კომპლექსური გამონათქვამების სიდიდეა. დისკურსული ერთეულის შექმნისათვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობები. კერძოდ, კომუნიკანტის მიზანი, კომუნიკაციური არხისა და სემანტიკური ბაზისის ამორჩევა, ტექსტების სახეობების შერჩევა. დისკურსი გამორიცხავს პოლითემატურობას. იგი არსებითად მონოთემატურია, მაგრამ ძირითად თემას შეიძლება ახლდეს ქვე-თემები. ისინი აქტუალიზდება სხვადასხვა კომუნიკაციურ ჭრილში, იქნება ეს წერილობითი ფორმა თუ ზეპირი. დისკურსში ერთიანდება როგორც ლიტერატურული ტექსტები, ასევე ტექსტები, რომლებიც ყოველდღიურ, ყოფით თუ სოციალურ კომუნიკაციაში გამოიყენება, მაგალითად, საუბრობენ ისეთ დისკურსულ სისტემებზე, როგორებიცაა ლტოლვილთა უფლებები, გადასახადების რეფორმა და მისთანები. დისკურსი შეიძლება ეფუძნებოდეს

სემანტიკური დაჯგუფების პრინციპს, განსაკუთრებით, ყოველდღიური გამოყენების საკომუნიკაციო ტექსტებში: მაგალითად, წერილს, როგორც წესი, მოსდევს პასუხი. დისკურსის შექმნის ერთ-ერთ კრიტერიუმად მიჩნეულია კოგნიტური ოპერაციების შედეგად გამოკვეთილი სემანტიკური ორგანიზება (პეტელავა 2012:4).

ამრიგად, დისკურსი როგორც ფუნქციურ-სემანტიკური მთლიანობა და კომპლექსური კონცეპტუალური ჩარჩო წარმოადგენს უნივერსალურ ვირტუალურ მოდელს. მასში თავმოყრილია განსაზღვრული სემანტიკური ბაზისის საფუძველზე ორგანიზებული ტექსტების რაოდენობა, რომელთა ინტერპრეტაცია მკვლევარის ინტენციაზეა დამოკიდებული. იმდენად რამდენადაც დისკურსი, როგორც ტექსტების ფორმაცია, ნაწილებისაგან შემდგარი მთლიანი წარმონაქმნია, იგი მოითხოვს როგორც ჰოლისტურ მიდგომას, ასევე დისკრეტულ ერთეულებად დაყოფას და მათ ინტერპრეტაციას ადეკვატური მეთოდებით (პეტელავა 2012:4).

დისკურსი კონტექსტუალიზებულია, იქიდან გამომდინარე, რომ გამონათქვამს მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ კონტექსტში ჩართვის შემდეგ. ამასთანავე, დისკურსი მისი კონტექსტის განსაზღვრას უწყობს ხელს და გამონათქვამის პროცესში მისი მოდიფიკაციაც შეუძლია. დისკურსს ვიღაც იღებს თავის თავზე. დისკურსი მხოლოდ მაშინ არის დისკურსი, როდესაც მას რომელიმე ინსტანციას მიაკუთვნებენ, რომელიც არის წყარო მოქმედი პირის, მოქმედების დროის და ადგილის და იმავდროულად მიუთითებს, როგორია მისი დამოკიდებულება ერთი მხრივ იმისადმი, რასაც ამბობს და მეორე მხრივ, მისი თანამოსაუბრისადმი. დისკურსი მართულია ნორმებით. ვერანაირი სამეტყველო აქტი ვერ შედგება, თუ მას არ გააჩნია ის ნორმები, რომლებითაც იგი ასეთად უნდა ჩამოყალიბდეს. თითოეული სამეტყველო აქტი ეწერება დისკურსის ამა თუ იმ ჟანრში და ამით ხელს უწყობს მის ასეთად დაკანონებას, რაც ხდება მხოლოდ მეტყველების დროს. დისკურსი მოიაზრება მხოლოდ ინტერდისკურსში. დისკურსს აზრი აქვს მხოლოდ სხვა დისკურსების სამყაროს შიგნით, რომელშიც იგი გზას იკვლევს. უკვე დისკურსის ამა თუ იმ ჟანრში მოქცევის ფაქტი გულისხმობს მის დაკავშირებას

განუსაზღვრელი რაოდენობის სხვა დისკურსების ერთობლიობასთან (მენგენო 2002:185-190, ადვიშვილი 2013:3).

1. 2. პრესის დისკურსი

რაც შეეხება მედიადისკურსს (რომელიც ასახავს ენისა და სხვა სემიოტიკური კოდების ფორმას, სტრუქტურასა და გამოყენებას მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ), კერძოდ, საგაზეთო დისკურსს, ის დღესდღეობით ძალზედ აქტუალურია. ადამიანთა უმრავლესობა მხატვრულ ლიტერატურაზე მეტად გაზეთებს და ჟურნალებს კითხულობს. სწორედ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მედიის ესოდენ მნიშვნელოვანი როლის გამო, ის არის მუდმივი მსჯელობისა და განხილვის საგანი როგორც მეცნიერთა, ასევე ექსპერტებისა და თავად ჟურნალისტების მხრიდანაც.

მედიის ენა განსაკუთრებული ფენომენია. ენა, რომელიც მასმედიაში, განსაკუთრებით ტელევიზიაში გამოიყენება, დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებასა და საზოგადოებრივ დისკურსზე.

/მაიროვიცის შეხედულებით, მასმედიას ადგილის აღქმის ცვლილებამდე მივყავართ. ადგილში ის გულისხმობს ინფორმაციულ სამყაროში შესვლას. ელექტრონულმა მედიამ ჯგუფებს ან „ადგილებს“ შორის მანამდე არსებული საინფორმაციო ბარიერი წაშალა. ინფორმაციას ვიღებთ ადგილებიდან, რომლებიც ადრე მიუწვდომელი იყო: საპყრობილები, საავადმყოფოები, ცნობილი სახეების საერთო ოთახები და საძინებლები. მამაკაცებს ხელი მიუწვდებათ ქალთა სამყაროზე, ბავშვები საუკეთესოდ არიან ინფორმირებული უფროსების ცხოვრებაზე. სპეციალურ ადგილზე რაიმე რომ გავიგოთ, საკმარისია შესაბამისი გადაცემის ყურება. ეს ნიშნავს, რომ მედია ინფორმაციული სამყაროსადმი დამოკიდებულებას ცვლის (სვანიძე 2012: 65).

მედია გვაწვდის ინფორმაციას მსოფლიო მოვლენების შესახებ, მაგრამ არასდროს არის შესაძლებელი, რომ წარმოვადგინოთ სრულიად ობიექტური, ზუსტი და სრულმნიშვნელოვანი მოვლენები, თუმცა მედია გვთავაზობს მოვლენებს ვერბალურად ან სურათებით. ასეთი გამოხატულებები ხშირად

შეზღუდულია დროისა და სივრცის შესაბამისად. ჟურნალისტს სჭირდება, რომ პრიორიტეტი მიანიჭოს მოვლენას, ისევე როგორც გარკვეული ხალხის პერსპექტივებს და მოსაზრებებს. გარდა ამისა, მოვლენების შეჯამება შეიძლება მრავალფეროვანი იყოს გაზეთის პოლიტიკური უპირატესობებით ან ჟურნალისტის შესაძლებლობებით, რომლებსაც წერენ მათზე (Baker, Gabrielatos, McEnery 2013: 15).

პრესის ენა არის არა მარტო შესაბამისი ენობრივი მდგომარეობის დოკუმენტი, არამედ ის თამაშობს მნიშვნელოვან როლს ენობრივი ნორმების გამოხატვისას და ცვლილებისას [ლიუგერი 1983:1]. ამგვარი რელევანტურობის საფუძველზე კვლევის სხვადასხვა დისციპლინებმა და მათ შორის განსაკუთრებით ლინგვისტიკამ დიდი ყურადღება დაუთმო პრესის ენის ფენომენის ანალიზს (ჯაში 2010:3).

ზოგიერთ შემთხვევაში მედიადისკურსისთვის დამახასიათებელია ორაზროვნება, მკითხველისთვის შეიძლება გაურკვეველი იყოს ზოგიერთი ფაქტი. ეს შეიძლება განპირობებული იყოს როგორც პოლისემიურობით, ისე კულტურათა შორის სხვაობით. ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ს. გელაძე თავის სტატიაში „მედიადისკურსის თავისებურება“.

ჟურნალისტური, ანუ *მედიადისკურსი* განსხვავდება სხვა ტიპის დისკურსებისგან, მაგრამ ისიც შეიძლება იყოს ორაზროვანი. ერთი ფრანგი ჟურნალისტი ინგლისში მიმდინარე ერთ-ერთ საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით წერდა, რომ მან ამ ქვეყანაში ნახა „საოცარი ღრუბლები“ («Les merveilleux nuages»). ამ ფრაზით მას სურდა ეთქვა, რომ ინგლისში არ იყო მზიანი ამინდი, თანაც გაგვახსენა ბოდლერის ლექსი პროზად, რომელსაც ეწოდება „საოცარი ღრუბლები“. ერთმა ფრანგმა მწერალმა ბოდლერის ლექსის სათაური თავისი რომანის სათაურადაც კი გამოიყენა (ლაპარაკია ფრანსუაზ საგანზე და მის რომანზე „საოცარი ღრუბლები“). ამ ფრაზით ჟურნალისტმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება ინგლისური ამინდის მიმართ, მას ან მოეწონა ღრუბლიანი ამინდი, ან გამოხატა ირონია. ეს უკანასკნელი ალბათ უფრო, რადგან ფეხბურთის მატჩის დროს სასურველია, იყოს მზიანი დღე და არა წვიმა და ღრუბლები, ანუ

ორაზროვნება შეიძლება ფიგურირებდეს არა მხოლოდ ლიტერატურულ დისკურსში, არამედ ჟურნალისტურ დისკურსშიც.

გამომდინარე საყოველთაო ინტერესიდან, ჩვენს ყურადღებას იპყრობს პრესის დისკურსი, რომელიც მედიადისკურსის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. თუმცა, აქვე აღნიშნავთ, რომ ტელედისკურსი საკმაოდ განსხვავდება საგაზეთო დისკურსისაგან. ტელედისკურსი უფრო თამამი და გაბედულია, ხოლო საგაზეთო დისკურსი უფრო თავშეკავებულია, რადგანაც ის წერილობით დისკურსს წარმოადგენს. ამასთანავე, ტელედისკურსი უფრო მეტი ეფექტურობით და არეალით გამოირჩევა, ვიდრე პრესის დისკურსი (გელაძე 2012:25)

პრესისათვის ტიპური საკომუნიკაციო სიტუაცია შეიძლება შემდეგი ნიშნებით დავახასიათოთ:

- ა) საჯაროობა (კომუნიკაციის მონაწილეთა შეუზღუდაობა);
- ბ) იგი გადმოიცემა პერიოდულად გამომავალი მედიის „გაზეთის“ გზით;
- გ) არაუშუალობა (ერთობლივი საკომუნიკაციო სიტუაციის არარსებობა კომუნიკაციის ავტორსა და ადრესატს შორის);
- დ) ცალმხრივობა (კომუნიკაციის როლების გაცვლის შეუძლებლობა, გარდა მკითხველთა წერილებისა), ეს არის პრაქტიკულად ცალმხრივი კომუნიკაცია (Malecke 1963:32, ჯაში 2010:3).

ს. გელაძე აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ტერორიზმსა და ომზე შექმნილი წერილობითი თუ ზეპირი დისკურსები წყლის ორი წვეთივით ჰგავს ერთმანეთს, რაზეც შეიძლება ითქვას, რომ კოლექტიური მეხსიერების დამსახურებაა, რადგან ტერორიზმისა და ომის ხატი, რომელიც შექმნილია მედიის წყალობით, საერთოა დასავლური სამყაროსათვის და არა მარტო აქ, რაც იწვევს იმას, რომ მისი ამსახველი მედიადისკურსები ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ მნიშვნელოვანია სხვადასხვაენოვან მედიადისკურსებს შორის არსებული განსხვავება, რასაც განაპირობებს განსხვავება ისტორიას, სოციოკულტურულ კონტექსტებსა და ჟურნალისტურ საქმიანობას შორის. ალბათ ამ განსხვავების შედეგია ის, რომ ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა მედიადისკურსში

სხვადასხვანაირად შეიძლება წარმოჩნდეს. მაგალითად, განვიხილოთ 2008 წლის ომი საქართველოში; ქართულ მედიადისკურსში ჭარბობდა ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა: „რუსი ბარბაროსები“, „დაბომბვები“, მაშინ როდესაც, ფრანგული პრესა ამ ომს კონფლიქტად ნათლავდა, დაბომბვებს დარტყმებს უწოდებდა. უდავოა, რომ ქართულთან შედარებით ფრანგულ მედიადისკურსში ჭარბობს ევფემიზმები, რაც სიმძაფრეს უკარგავს მოვლენას. ასევე თვალში საცემია ტელედისკურსის განსხვავება წერილობითი ჟურნალისტური დისკურსისაგან. ტელედისკურსი წერილობითი დისკურსისაგან განსხვავებით სადისტურიც კია ზოგჯერ, მაგ., მთელმა მსოფლიომ ნახა პირდაპირ ეთერში სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯა. ეს ცოტა გაუგებარია, რადგან იგივე დასავლური პრესა, კონკრეტული მოვლენის აღწერისას ევფემიზმებს იყენებდა, რაც ალბათ იმით შეიძლება აიხსნას, რომ დასავლეთს არჩეული აქვს ფრთხილი პოლიტიკა ისეთი ეპოქას ჩამორჩენილი ქვეყნის მიმართ, როგორც რუსეთია (გელაძე 2012: 26).

ამრიგად, მედიის განვითარება უწყვეტი და შეუქცევადი პროცესია, სადაც კომუნიკაციის ერთი ფორმა უკეთესით იცვლება, თუმცა ახალ მედია-საშუალებებთან ერთად ძველიც არსებობს. მედიაენის მოქმედებისა და შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენს, რომელსაც ყველა სახლში შეღწევა შეუძლია. მედიის ენა ბუნებრიობითა და კომუნიკაციური სპონტანურობით გამოირჩევა, ხოლო პრესის ენა უფრო დაკვირვებულია და დაფიქრების საშუალებას იძლევა, მაგრამ ორივე მათგანში აირეკლება მუდმივად ცვალებადი ენობრივი მოვლენები. ერთ-ერთი ასეთი მოვლენა ევფემიზაციის პროცესია.

პრესაში გამოყენებული ტექსტების ხასიათიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ტიპის ტექსტები, რომლებიც ყველაზე ხშირია და ამ ტიპის ტექსტები ევფემიზმებითა და დისფემიზმებით მდიდარია.

1) ინფორმაციული ტექსტები - მათი ძირითადი მიზანი შეტყობინებაა, რეალური მოვლენებისა და ფაქტების შესახებ.

2) არგუმენტირებული ტექსტები - აზრი რომ უფრო დამაჯერებელი და მყარი გახადონ, ამ მეთოდსაც მიმართავენ პრესაში.

3) მტკიცება - რომელიც ჩვეულებრივ რაიმე ფაქტს ან მოვლენას შეეხება.

მეცნიერები ტექსტის სხვა მნიშვნელოვან კატეგორიებსაც გამოყოფენ, რომლებიც გამოყენების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია და დეტალურად მომდევნო ქვეთავში იქნება განხილული.

1.3. ტექსტის ზოგადი მიმოხილვა და ტექსტობრივი კატეგორიები

რაკი ჩვენი მიზანი საგაზეთო ტექსტებზე დაყრდნობით ევფემიზმების და დისფემიზმების განხილვაა, ვფიქრობთ, აუცილებელია, განვსაზღვროთ, ზოგადად რას წარმოადგენს ტექსტი, რა და რა სახის ტექსტები არსებობს და რა დანიშნულება აქვს ჩვენთვის საინტერესო ლინგვისტურ ფენომენებს - ევფემიზმს და დისფემიზმს სხვადასხვა ტიპის ტექსტში.

ტერმინი „ტექსტი“ სხვადასხვაგვარად შეიძლება განვიხილოთ: ფსიქოლოგიურად, ფსიქოლინგვისტურად, ეთნოლინგვისტურად, ეთნოლოგიურად, სოციოკულტურულად, ფილოსოფიურად, დიდაქტიკურად და ა.შ.

ლინგვისტურ ენციკლოპედიაში „ტექსტი“ განმარტებულია, როგორც „ზრობრივი კავშირით გაერთიანებულ ნიშნობრივ ერთეულთა თანმიმდევრობა, რომლის ძირითადი ნიშანია შეჭიდულობა და მთლიანობა.“

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, მეცნიერები კომუნიკაციის ძირითად ერთეულად წინადადებას თვლიდნენ, მაგრამ ტექსტის ლინგვისტიკის მკვებთრმა განვითარებამ საშუალება მისცა მათ მისულიყვნენ იმ დასკვნამდე, რომ ტექსტი წარმოადგენს მეტად რთულ სტრუქტურულ-სემანტიკურ წარმონაქმნს, რომელიც ხასიათდება მთელი რიგი თვისებით.

ენათმეცნიერები ტექსტის სხვადასხვა განმარტებას იძლევიან და მის ძირითად მახასიათებლად განსხვავებულ კატეგორიებს მიიჩნევენ. ენათმეცნიერების მთავარ ამოცანას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ტექსტის კლასიფიკაცია და მათი განმასხვავებელი ნიშან-თვისებების დადგენა.

ვ. სერგიას განმარტებით, „ტექსტი ისეთი ენობრივი სიდიდეა, რომლისთვისაც ძირითადი და არსებითი პარამეტრი კომუნიკაციაა.

საკომუნიკაციო ურთიერთობის დროს კი გადამწყვეტია შინაარსი, ინფორმაცია. ტექსტი სემანტიკური სიდიდეა და მას ფორმოზრივი მაჩვენებელი არ გააჩნია. ტექსტის კატეგორია ვერ თავსდება ერთ სიტყვაში ან ერთ წინადადებაში. იგი შინაარსობრივი კატეგორიაა, რომელიც გამომდინარეობს ტექსტის თემის შინაარსიდან“ (სერგია 1989:237).

მეცნიერთა უმეტესობა ტექსტს განიხილავს, როგორც ენობრივი დონის ერთეულს, თუმცა მეცნიერთა ნაწილი მას კომუნიკაციური დონის ერთეულად მიიჩნევს.

ი. გალპერინი თვლის, რომ ტექსტს გააჩნია მხოლოდ გრაფიკული ხორცმესხმა. ის ტექსტს უწოდებს მხოლოდ და მხოლოდ წერილობით დოკუმენტს, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ლექსიკური, გრამატიკული და ლოგიკური კავშირით, რასაც გააჩნია მოდალური გამართულობა.

თანამედროვე ლინგვისტიკაში, რომელიც ორიენტირებულია კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე, ტექსტი განიხილება როგორც უმაღლესი დინამიკური კომუნიკაციური ერთეული, რომლის საშუალებითაც წარმოებს სამეტყველო მოღვაწეობა. ტექსტის დინამიკური ცნება – „ტექსტი ფუნქციონირებაში“ – წინა პლანზე აყენებს ფუნქციური ასპექტის შესწავლას. ტექსტი ფუნქციონირებს კონკრეტულ სამეტყველო აქტში, მაშასადამე, მისი კანონზომიერებების ახსნა შეუძლებელია რეალური საკომუნიკაციო პირობებისაგან იზოლირებულად. ამის შესაბამისად ტექსტზე ორიენტაცია იმავდროულად ნიშნავს ორიენტაციას საკომუნიკაციო პროცესზე. თანამედროვე ლინგვისტიკის დამსახურება ისაა, რომ იგი საკომუნიკაციო ფაქტორებს განიხილავს არა როგორც ცალკეულ ფაქტებს, არამედ როგორც მთლიან სისტემას, რომლის ბირთვია სამეტყველო მოღვაწეობის კონკრეტული ერთეული, ანუ სამეტყველო აქტი, რომელიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ ენობრივ ერთეულს, ტექსტის წარმოშობასა და ფუნქციონირებას (ჯაში 2010:4).

მ. ბახტინის აზრით, ტექსტი წარმოადგენდა „ყველა ჰუმანიტარული დისციპლინის და საერთო ჰუმანიტარულ ფილოლოგიურ აზროვნებას. მისი

აზრით, რაც არ უნდა იყოს ძიების მიზანი, ამოსავალ წერტილად ითვლება ტექსტი (ბახტინი 1979:78).

ცნობილი მეცნიერი კ. შმიდტი წერდა, რომ „ტექსტი ფართო გაგებით ზოგად ფილოსოფიური ცნებაა და მასში მოიაზრება არა მხოლოდ ვერბალური გამოვლინებები, არამედ ქანდაკება, მელოდია, ცეკვა და ა. შ. რომელთაც გარკვეული იდეა უდევთ საფუძვლად და გარკვეული ინფორმაციის მატარებელია, ხოლო ვიწრო გაგებით ტექსტი წარმოადგენს წინადადებათა რიგს, რომლებიც ერთმანეთს ებმის ლოგიკურად და დაკავშირებულია ლექსიკური და გრამატიკული მაკავშირებლებით“ (შმიდტი 1978:25).

XX საუკუნის ასევე უდიდესი ლინგვისტი მ. ჰალიდეი (ჰალიდეი 1970) მიიჩნევდა, რომ „ტექსტი – ეს არის ენა მოქმედებაში.“ მისი აზრით, თავად ენის ცოდნის ფაქტი გულისხმობს, რომ მეტყველმა პირმა იცის განსხვავება ტექსტსა და არატექსტს შორის – სიტყვებისა და წინადადებების ერთმანეთთან დაკავშირებას შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტყველი სუბიექტი ეყრდნობა არა სიტყვებისა და სტრუქტურების ცოდნას, არამედ იმ როლს, რომელსაც ენა ასრულებს მოცემულ სიტუაციაში (თევდორაძე 2011: 23).

„ტექსტი“ მოიაზრება როგორც ინფორმაციის გადაცემის, ასევე რეალობის ფრაგმენტების ასახვის საშუალება, როგორც არსებობის ფორმა და როგორც კულტურის ტრანსლაცია.

ი. გალპერინი გამოყოფს ხუთ ფუნქციურ სამეტყველო სტილს, რომელიც ტექსტის ხუთ სხვადასხვა ტიპს ახასიათებს:

1. ბელეტრისტული სტილი - ესთეტიკურ-შემეცნებითი ფუნქცია;
2. პუბლიცისტური სტილი - საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ფუნქცია;
3. საგაზეთო სტილი - ინფორმაციული და შემფასებლური ფუნქცია;
4. სამეცნიერო სტილი - მტკიცების ფუნქცია;

5. ოფიციალურ-დოკუმენტური - ერთ საქმეში ორი მოპირისპირე ჯგუფისათვის პირობითად დადგენის ფუნქცია (ენუქიძე 2000:22).

ტექსტის კატეგორიების დადგენისას რუსმა მკვლევარმა ი. გალპერინმა გამოიყენა ტექსტობრივი კატეგორიების ორი ჯგუფი: სემანტიკური და სტრუქტურული. მკვლევარი სემანტიკურ კატეგორიებს აკუთვნებს ინფორმაციულობას, სიღრმეს, პრესუპოზიციას, პრაგმატიკას, დამთავრებულობას, ხოლო სტრუქტურულ კატეგორიებად მიიჩნევს ინტეგრაციას, რეტროსპექციას, პროსპექციას, კონტინუუმს, გაბმულობას (გალპერინი 1981:524).

გ. ლებანიძე კი ტექსტის ცენტრალურ კატეგორიად კოჰერენტულობას მიიჩნევს, რადგან ეს სწორედ ის კატეგორიაა, რომელიც ტექსტის ნიშნობრივ გაგებას ეფუძნება, მაგრამ ამავე დროს სწორედ ნიშნის მთლიანურ (არადიფერენცირებულ) წარმოდგენას ეფუძნება, ე. ი. იგი ეკუთვნის არა ტექსტის ფორმას და მის შინაარსს, არამედ – ორივეს ერთად. კოჰერენტულობა ტექსტის შინაარსს უკავშირდება, ხოლო კოჰეზია – მის ფორმას, მაგრამ უპირატესობა პირველ თვალსაზრისს ენიჭება, რომლის თანახმადაც კოჰერენტულობა სინთეზური კატეგორიაა (ლებანიძე 2004:298).

ენათმეცნიერთა შორის ერთიანი აზრი მხოლოდ გაბმულობის შესახებ არსებობს. ის ტექსტის არსებითი კატეგორიაა, რადგან შეუკავშირებელი ტექსტი არ არსებობს. მჭიდროდ დაკავშირებული წინადადებები ტექსტში ქმნიან გაბმულობასა და გლობალურ მთლიანობას.

როგორც გ. ლებანიძე აღნიშნავს, „ტექსტს ქმნის თემატური ერთიანობა და ტექსტში მთავარია შინაგანი შეკავშირებულობა – შინაგანი კავშირი წინადადებათა შორის“ (ლებანიძე 2004:298).

განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, მაინც შესაძლებელი ხდება ე.წ. უნივერსალური კატეგორიების გამოყოფა. ამ კატეგორიებს მივაკუთვნებთ: მთლიანობას, დანაწევრებას, ბმულობას, მოდალობას, იმპლიციტურობას და ინფორმაციულობას.

ე. ი. ტურაევა მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ტექსტის კატეგორიების დაყოფა ორ ძირითად ჯგუფად, ესენია:

- ა) კატეგორიები, რომლებიც მის სტრუქტურულ ნიშნებს წარმოადგენს;

ბ) შინაარსობრივი მხარის მაჩვენებლები.

რა თქმა უნდა, ჩვენ ასეთი დაყოფა პირობითად მიგვაჩნია, რადგან ფორმობრივი და შინაარსობრივი მხარეები სხვა კატეგორიებსაც აქვს.

ლინგვისტური შრომები ტექსტის ტიპოლოგიზაციის შესახებ ემყარება საინფორმაციო უზრუნველყოფას. ტექსტის ტიპოლოგიას სჭირდება ტექსტის ლინგვისტიკის ბაზური ცნებები, რომელთაც გადამწყვეტი ხასიათი აქვთ. მათ რიცხვს რ. კომახიძე მიაკუთვნებს ისეთ თვისებებს, როგორებიცაა: ბმულობა, მთლიანობა, დანაწევრება, მოდალობა, იმპლიციტურობა და ინფორმაციულობა (Комахидзе 1995:56).

ტიპოლოგიური თალსაზრისით ტექსტი რამდენიმე სახისაა: **მიკროტექსტი**, რაც გულისხმობს ზეფრაზულ ერთიანობას და ყველაზე მცირე ერთეულია წინადადებისა; **მაკროტექსტი**, რომელიც შედგება რამდენიმე მიკროტექსტისგან; **მეგატექსტი** და **ჰიპერტექსტი**, რომელშიც ნაგულისხმევია ამა თუ იმ მწერლის ან ავტორის ნაწარმოებთა კრებულები (ლევანიძე 2004:290).

ტექსტი არის ლინგვისტიკის და კულტუროლოგიის ნამდვილი შერწყმა. ტექსტი ამავდროულად არის კულტურის არსებობის ფორმაც.

მკვლევრები ტექსტის სხვადასხვა ტიპს გამოყოფენ, ესენია: საინფორმაციო, ანალიტიკური, პუბლიცისტური, სარეკლამო. სხვადასხვა ტიპის ტექსტებში ევფემიზმები და დისფემიზმები განსხვავებულ მიზანს ემსახურება, რაც დეტალურად მომდევნო თავებში იქნება განხილული.

1. 4. კულტურათმორისი კომუნიკაცია

კულტურათმორისი კომუნიკაცია გულისხმობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა უშუალო ურთიერთობას. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად რთული შეიძლება იყოს ეს ურთიერთობა განსხვავებული

კულტურული გამოცდილების მქონე ადამიანებს შორის, რომელთაც ცოტა რამ თუ აქვთ საერთო.

როგორც წესი, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქენი უფრო განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ერთი ქვეყნის ადამიანები. იმას, რაც ერთ ქვეყანას მეორისაგან განასხვავებს, ნაციონალურ/ეროვნულ კულტურას ვუწოდებთ. მას ბავშვი დაბადებიდანვე ითვისებს.

კულტურათშორისი კომუნიკაცია გულისხმობს სხვადასხვა ენისა და კულტურის მქონე ადამიანებს შორის ურთიერთობას. ენა და კულტურა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია ამიტომ ისინი ერთად უნდა განვიხილოთ.

ენა გამოხატავს და განასახიერებს კულტურულ სინამდვილეს. ენა რა თქმა უნდა, კულტურის განუყრელი ნაწილია, როგორც საზოგადოების ჩვევებისა და შეხედულებების მთლიანობა. იგი ეროვნული მენტალობის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს გამოხატავს, რომელიც ამა თუ იმ ერისთვისაა დამახასიათებელი. კულტურა, რომელიც ენასთან მჭიდრო კავშირშია, მრავალფეროვანია. სწორედ ეს მრავალფეროვნება ერთი მხრივ ართულებს კულტურათშორის კომუნიკაციას და მეორე მხრივ, საინტერესოს ხდის.

კულტურა ადამიანისა და საზოგადოების მოქმედების ფორმათა ერთობლიობაა, რომელიც ვლინდება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში და გამოხატავს ადამიანის სოციალიზაციისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის დონეს. სულიერი კულტურა მოიცავს ადამიანის სულიერი მოღვაწეობის ძირითად ელემენტებს, სამყაროსადმი შემეცნებითს, ემოციურ და პრაქტიკულ-ღირებულებითს დამოკიდებულებას. შემეცნებითი მოღვაწეობის ფორმები გამოხატავს ადამიანთა სოციალურ-კულტურულ ორიენტირებს. კულტუროლოგიის სტრუქტურალისტური მიმართულების წარმომადგენლები კ. ლევი-სტროსი და მ. ფუკო კულტურას განიხილავენ ენის დონეზე, როგორც ადამიანთა შორის კომუნიკაციის, ინფორმაციის გადაცემის საშუალებას თანამედროვე ლინგვისტიკაში, რომელიც ორიენტირებულია კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე, ტექსტი განიხილება როგორც უმაღლესი დინამიკური

კომუნიკაციური ერთეული, რომლის საშუალებითაც წარმოებს სამეტყველო მოღვაწეობა (ჯაში 2010:1).

გარესამყაროს მოვლენებს ადამიანები ინდივიდუალურად აღიქვამენ, რაც შესაძლებელს ხდის ერთი და იგივე მოვლენა და საგანი განსხვავებულად აღიქვან და გადმოსცენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გ. ლებანიძის მოსაზრება, რომლის აზრითაც არსებობს სამყაროს სურათი, რომელიც ასახულია ჩვენს ქვეცნობიერებაში და არცერთ ადამიანს არ ძალუძს მისგან გათავისუფლება. ამ სურათს ქმნის ენა და ენის ეს მსოფლმხედველური როლი შეჭრილია მთლიანად ადამიანის ცნობიერებაში (ლებანიძე 2004:38).

სამყაროს კულტურული და ენობრივი სურათები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, მუდმივად ურთიერთქმედებენ და ენაში მომხდარი ცვლილებები აისახება კულტურაში და პირიქით. ყველა კონკრეტულ ენაში არის თავისებური ეროვნული სისტემა, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ენის მატარებლის მენტალობას.

ჰუმბოლტის იდეებმა მიიღო შემდეგი განვითარება, რომ ადამიანები ენის დახმარებით ქმნიან თავიანთ განსაკუთრებულ სამყაროს, რომელიც განსხვავდება იმ სამყაროდან, რაც მათ ირგვლივ არის. სამყაროს სურათები სხვადასხვა ადამიანს შეიძლება განსხვავებული ჰქონდეს. მაგალითად, განსხვავებული ეპოქის წარმომადგენლებს, განსხვავებულ სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფს და ა. შ. ადამიანებს, რომლებიც ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე, შეიძლება ჰქონდეთ რაღაც პირობებში მსგავსი სამყაროს სურათები, და პირიქით, ვინც ერთ ენაზე ლაპარაკობს, სხვადასხვა სურათი (მასლოვა 2001:28).

კულტურული ფონის გაუთვალისწინებლობა, კომუნიკანტებში განსხვავებული მონაცემების არსებობა წარმოქმნის კონფლიქტურ სიტუაციას. იმისათვის, რომ კომუნიკაცია წარმატებულად განხორციელდეს, აუცილებელია კომუნიკანტს გააჩნდეს ადეკვატური ფონური ცოდნა, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში აგროვებს და რომელიც აუცილებელია კულტურათშორისი კომუნიკაციისას, ურთიერთგაგებისას. კულტურა ერთი კონკრეტული ერის მატერიალურ და სულიერ ფასეულობას წარმოადგენს,

რომელიც ან არ მოეპოვება სხვას ან სრულიად განსხვავებულია. სწორედ ეს განსხვავებული კულტურული ღირებულებები ქმნის ბარიერებს კომუნიკაციისას.

ე. მ. ვერეშაგინისა და ვ. გ. კოსტომაროვის მიხედვით, ფონური ცოდნა განისაზღვრება, როგორც კომუნიკაციური აქტის მონაწილეებისთვის დამახასიათებელი ზოგადი ცოდნა. კომუნიკანტებისთვის ეს ის ზოგადი ინფორმაციაა, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთგაგებას მეტყველების დროს.

ფონური ცოდნა გულისხმობს ქვეყნის კულტურის, ქცევის ნორმების, სოციალური ზნე-ჩვეულებების ცოდნას, რისი უგულებელყოფაც დაუშვებელია: აზრიანი ქმედება, მხოლოდ იმათი ხვედრია, რომლებსაც ეს ცოდნა აქვთ (ვეუბიცკაია 1996:175).

ადამიანის განვითარებასთან ერთად ვითარდება ენა და კულტურაც, ამიტომ მათზე დაკვირვებით ბევრი რამ შეიძლება გავიგოთ ამა თუ იმ ერზე. ევფემიზმების და დისფემიზმების შესწავლა კულტურათმორის კომუნიკაციაში, საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, თუ რა თემაზე საუბროს საზოგადოება ღიად და რაზე დაფარულად. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენა არა მხოლოდ გარესამყაროს, არამედ კულტურასაც ასახავს.

დღეისათვის კულტუროლოგი მასლოვა (2001) გამოყოფს რამდენიმე მიდგომას კულტურის შემეცნებისა და განსაზღვრისთვის: 1) **აღწერილობითი**, რომელშიც ჩამოთვლილია ის ცალკეული ელემენტი, რომლებშიც გამოხატულია კულტურა, წეს-ჩვეულებები, შემოქმედებითი საქმიანობა, იდეალები და ა.შ; 2) **ფასეულობითი**, რომელშიც კულტურა განისაზღვრება, როგორც ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი ფასეულობა; 3) **შემოქმედებითი**, რომელშიც კულტურა იგულისხმება, როგორც თავისებური გზა ადამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; 4) **ფუნქციური-კულტურა** ხასიათდება იმ ფუნქციების მიხედვით, რომელიც მას აქვს საზოგადოებაში: ინფორმაციული, კომუნიკაციური, ნორმატიული, შეფასებითი და ა.შ; 5) **ჰერმენევტიკული** - რომელშიც კულტურა განიხილება, როგორც

ტექსტების მრავალსახეობა. მათთვის კულტურა არის ტექსტების ერთობლიობა, ან უფრო ზუსტად მექანიზმი, რომელიც ქმნის ტექსტების ერთობლიობას, 6) **ნორმატიული** - წესებისა და ნორმების შერწყმა, რომლებიც რეგლამენტია ადამიანის ცხოვრების წესისთვის; 7) **სულიერი** – ამ მიდგომით კულტურა განისაზღვრება, როგორც საზოგადოების სულიერი ცხოვრება, იდეების ნაკადი და სულიერი შემოქმედების პროდუქტი. საზოგადოების ყოფითი ცხოვრება არის კულტურა; 8) **დიალოგიური** – სხვადასხვა კულტურის ერთმანეთთან ურთიერთობა (შედის ეთნიკურ-ნაციონალური კულტურა). არსებობს აგრეთვე მეტაკულტურა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ხალხს. მაგალითად, ქრისტიანული კულტურა. ყველა კულტურა ერთმანეთთან დიალოგშია. რაც უფრო განვითარებულია ეროვნული კულტურა, მით უფრო მისწრაფვის სხვა კულტურასთან დიალოგში; 9) **ინფორმაციული** – კულტურა არის ინფორმაციის შექმნის, შენახვის, გამოყენების და გადაცემის სისტემა; 10) **სიმბოლური** – აქ აქცენტი გადატანილია სიმბოლოების გამოყენებაზე კულტურაში „სიმბოლური სამყარო“. ზოგიერთი მისი ელემენტი განსაკუთრებული ეთნიკური თვალსაზრისისაა. მაგალითად, რუსი ხალხის სიმბოლოა არყის ხე, სამოვარი; ლეგენდები მოჩვენებაზე ინგლისელების; სპაგეტი და პიცა იტალიელების; ლუდი და ძეხვი გერმანელების; 11) **ტიპოლოგიური** – შეხვედრა სხვა კულტურის წარმომადგენელთან. ერთი რომელიმე კულტურის წარმომადგენლები სხვა კულტურის ადამიანის ქცევას უყურებენ თავიანთი კულტურის პოზიციიდან. მაგალითად, ევროპელებს უკვირთ, როცა იაპონელები იღიმიან ახლობლის სიკვდილის გამო, რასაც ევროპელები აღიქვამენ სისასტიკედ, მაგრამ იაპონელების მხრიდან იგულისხმება, რომ მისი პრობლემით სხვას არ აწუხებს (მასლოვა 2001:13).

როგორც ვხედავთ, კულტურა თავის თავში გულისხმობს ძალიან ბევრ ფაქტორს, რომელთა გათავლისწინებაც აუცილებელია კულტურათმორის კომუნიკაციაში.

პროფესორი გურამ ლებანიძე აღნიშნავს, რომ კულტურა ისეთი ფენომენია, რომლის გარეშე არ არსებობს ადამიანი. ე.ი. სადაც ადამიანია, იქ კულტურაცაა და

პირუკუ - სადაც კულტურაა, იქ ადამიანია. ადამიანი და კულტურა კოლერაციული ცნებებია, ანუ ისეთი ცნებებია, რომლებიც ერთმანეთს გულისხმობენ (ლებანიძე 2006:31).

კულტურათშორისი კომუნიკაცია გამოიყენება სხვადასხვა დარგსა და სფეროში, მისი მიზანია კულტურათშორისი დიალოგის უპრობლემოდ და კორექტულად წარმართვა. კულტურათშორისი კომპეტენციის ცნება არ გულისხმობს მხოლოდ უცხო ენის კარგად ფლობას რთული კონსტრუქციების დონეზე, არამედ გამიჯნოს საკუთარი და უცხო კულტურები, შეძლოს ამის ამოცნობა კონკრეტულ სიტუაციებში და თანაგრძნობით და ფრთხილად მოეკიდოს უცხო კულტურას, მის წეს-ჩვეულებებს და ტრადიციებს. კულტურათშორისი კომპეტენციის ცნება ასევე გულისხმობს გაუგებრობების თავიდან აცილებას, რათა წარმოშობილი გართულებები გამოსწორდეს და კომუნიკაცია წარმატებულად წარიმართოს.

კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა ენობრივი სისტემის შეპირისპირების პარალელურად, სხვადასხვა კულტურის შეპირისპირებაც ხდება. კომუნიკაციისას გასათვალისწინებელია, რომ ტექსტი მიმართულია უცხოენოვან მიმღებზე, რომელსაც ფონური ცოდნის სხვა მოცულობა გააჩნია, ამიტომ საჭიროა გარკვეული შესწორებების და განმარტებების შეტანა სოციალურ-კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რათა თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იყოს გაუგებარი ადრესატისთვის.

სხვადასხვა ლინგვოკულტურული ერთობის წარმომადგენელთა შორის ენობრივი ურთიერთობისას გაგების პრობლემას ქმნის არა იმდენად ენათა სხვადასხვაობა (შედარებით მარტივია უცხო ენაზე ლაპარაკისა და მოსმენის, წერისა და კითხვის ჩვევათა ჩამოყალიბება), რამდენადაც «ენათა შინაარსობრივი სხვაობა» (გ. რამიშვილის ტერმინოლოგიით). ენობრივი შინაარსის თავისთავადობა განპირობებულია ენაში ასახული კულტურითა და მის მიერ შექმნილი მნიშვნელობებით (ომიაძე 2006:57).

ს. ომიაძე აღნიშნავს, რომ მსოფლიოში არსებული ეროვნულ ენათა სიმრავლე კორელაციაშია კულტურათა სიმრავლის ფაქტთან. კულტურათა ჰეტეროგენულობა ყველაზე ხელშესახები და თვალსაჩინო ხდება ერთი ენიდან მეორე ენაზე ნებისმიერი გამონათქვამის ადეკვატურად თარგმნისას, რადგან ერთი ენის ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობების ზუსტი შესაბამისობა მეორე ენაში არ არსებობს - ეს მნიშვნელობები ორივეგან ეროვნულ-სპეციფიკურია და მათი დამთხვევის ალბათობა ნულს უახლოვდება (ომიაძე 2006:57).

თავი II

ევფემიზმების სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებები

2.1. ევფემიზმების ეტიმოლოგია

ევფემიზმები (ბერძნ. euphēmos — შელამაზებული სიტყვები, eu „კარგად“ + phēmē „ვლაპარაკობ“) — ამა თუ იმ ენობრივ კოლექტივში სააუგოდ, საჩოთიროდ და სახიფათოდ მიჩნეულ სიტყვა-თქმათა ნაცვლად ხმარებული უფრო ნატიფად, ზრდილობიანად და უვნებლად მიჩნეული სიტყვა-თქმებია.

რიგი მიზეზის გამო ხშირად ადამიანები შეგნებულად გვერდს უვლიან გარკვეული ობიექტური მონაცემის აღმნიშვნელი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებას. მათ ან სრულიად არ ასახელებენ, ანდა ამბობენ არაპირდაპირ, შემოვლით, აღწერით, შთაბეჭდილების შენელებით, რათა იგი მისაღები გახადონ ადრესატისათვის.

სიტყვა εὐφραίνω ჯერ კიდევ ჰომეროსთან გვხვდება და გულისხმობს ძველ წარმართულ ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც მსხვერპლის შეწირვის და ლოცვების წარმოთქმის დროს მხოლოდ „კარგი მნიშვნელობის“ სიტყვები უნდა გამოეყენებინათ. შემდგომ ეს ჩვეულება ისე გავრცელდა, რომ წარმართული მღვდელმსახურების დროს საერთოდ აიკრძალა ლაპარაკი, რადგან ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ამ საქმის თვით ყველაზე მორწმუნე და პედანტი შემსრულებელიც კი შეცდომას უშვებდა და შესაფერის სიტყვებს ვერ ირჩევდა. ეს აზრია სწორედ ჩაქსოვილი რომაელთა ცნობილ გამოთქმაში — „favete linguis“ თვით მსხვერპლად შესაწირავ ცხოველის ბლავილსაც კი ახშობდნენ საკრავთა ხმებით, რადგან წარმართთა აზრით, მასაც ისევე, როგორც უხეში გამოთქმების ხმარებას, შეეძლო გაენაწყენებინა მათი ღვთაება.

ამჟამად სიტყვა „ევფემიზმი“ ენათმეცნიერებაში მიღებული ტერმინია და ეწოდება სიტყვას (ან გამოთქმას), რომელიც ისეთი სიტყვის (ან გამოთქმის) შემცვლელად იხმარება, რომელიც მოცემულ ენობრივ კოლექტივში სახიფათოა, უსიამოვნოდ, უხეშად, სათაკილოდ ან უზრდელურად მიიჩნევა. ევფემიზმი და ის სიტყვა (ან გამოთქმა), რომელსაც იგი ენაცვლება, ერთსა და იმავე ობიექტურ

მონაცემზე მიუთითებს; განსხვავდებიან კი იმით, რომ განსხვავებულ შთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელზე.

ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ევფემიზმებს განიხილავდნენ, როგორც ლინგვისტურ ფენომენს, მაგრამ ყოველი რიტორი ახარისხებდა მას განსხვავებულად. არისტოტელე განიხილავდა მას, როგორც მეტაფორის ქვეტიპს, ციცერონი (Cicero) უწოდებდა „verba tecta“-ს დაფარულ სიტყვას, ხოლო კვინტილიანე (Quintilian) ევფემიზმებს განიხილავს, როგორც ალეგორიის სპეციალურ ფორმას (http://is.muni.cz/th/369579/ff_b/BA_thesis_Kovacova.txt).

თანამედროვე კვლევებისთვის ეს განმარტებები არ არის ზუსტი და ამომწურავი. ზემოთ აღნიშნული განმარტებები ბუნდოვანია და არ შეესატყვისება ჩვენი ნაშრომის კვლევის მიზნებს.

2.2. სიტყვის არსი და ევფემიზმების მნიშვნელობა

სიტყვას უდიდესი ძალა აქვს, იგი განსხვავებულ რეაქციას იწვევს სხვადასხვა მსმენელში, ამიტომ მოასაუბრე ცდილობს თავი აარიდოს უხეში, არასასიამოვნო, უხერხული და ძალიან პირდაპირი სიტყვების გამოყენებას. გავეცნოთ ტერმინ „ევფემიზმის“ განმარტებებს.

ვ. ფრომკინი და რ. როდმენი ევფემიზმებს განსაზღვრავენ როგორც „სიტყვას ან ფრაზას, რომელიც ცვლის ტაბუირებულ სიტყვას ან ემსახურება იმას, რომ თავიდან ავიცილოთ საშიში და არასასიამოვნო თემები“ (Fromkin, Rodman 1993:304).

აქვე იმასაც დავძენთ, რომ ადრეულ 1580-იან წლებში ჯორჯ ბლანტმა (George Blunt) გამოიყენა ტერმინი „ევფემიზმი“ და იგი განმარტა, როგორც „ცუდი სიტყვების კარგი ან ხელსაყრელი ინტერპრეტაცია“.

„ევფემიზმი“ არის რეციპიენტისთვის არასასიამოვნო და საზიანო სიტყვის ჩანაცვლება ნაკლებად შეურაცხმყოფელი ან გამაღიზიანებელი სიტყვით (Oxford Dictionary, 2012).

„ევფემიზმი“ არის სიტყვა ან ფრაზა, რომელიც გამოიყენება არასასიამოვნო სიტყვების ან ფრაზების ჩასანაცვლებლად პირობითად უფრო მისაღები ფორმით. ასე რომ, ევფემიზმები არის სინონიმები, რომელთა მიზანია რბილი ეფექტის შექმნა. ევფემიზმებს ზოგჯერ მეტაფორულად „a whitewashing device“- ს უწოდებენ. ევფემიზმების ლინგვისტური თავისებურება ისაა, რომ ყოველმა ევფემიზმმა უნდა აღადგინოს განსაზღვრული სინონიმი მკითხველის თუ მსმენლის გონებაში (<http://doclecture.net/1-2155.html>).

ზოგიერთი ევფემიზმი შეიძლება სასაცილოც კი იყოს, მაგრამ მათ სერიოზული მიზეზებიც აქვს არსებობისთვის. ევფემიზმების გამოყენების ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის მოსაუბრის სურვილი, თავიდან აიცილოს კონფლიქტი და არ შეუქმნას თანამოსაუბრეს კომუნიკაციური დისკომფორტი. სწორედ იმისათვის გამოიყენება ევფემიზმები, რომ ნომინაციის რბილ ფორმებს მივმართოთ, მაგალითად: ნასვამი, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი და არა მთვრალი; სრული, ჭარბწონიანი და არა მსუქანი.

ევფემიზმები ასახავს სოციალური ფსიქოლოგიის სხვადასხვა მდგომარეობას. სოციალური ფსიქოლოგიის ბევრი ფაქტორი არის ევფემიზაციის საფუძველი, მაგრამ ტაბუ სიტყვების თავიდან აცილება, თავაზიანობა და შენიღბვა არის ყველაზე ძირითადი და ტიპური. მათი თავიდან აცილება არის ძირითადი ფსიქოლოგიური საფუძველი ევფემიზმების შექმნისა. ბევრ კულტურაში ღმერთების და ეშმაკების სახელები ტაბუირებულია, ამიტომ ხალხი ცდილობს თავი აარიდოს მათ პირდაპირ ხსენებას. ინგლისელი ხალხი „სატანას“/„ეშმაკს“ ისეთი ევფემისტური სახელებით მოიხსენიებს, როგორებიცაა: „god of this world“, „his sable majesty“, „old gentleman in black“ ან „Old Harry“, „Old Nick“, „Horny“. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ტაბუ სიტყვები და ტაბუირებული იდეები ევფემიზმების შექმნის საფუძველია (www.cscanada.org).

„ტაბუ“ პოლინეზიური წარმოშობის ტერმინია და ნიშნავს „აკრძალვას“. დღესდღეობით ამ ტერმინით აღნიშნავენ, რელიგიური თუ მაგიური ცრურწმენების ნიადაგზე წარმოქმნილ აკრძალვებს.

ქართულში, ისევე როგორც ინგლისურში, ხშირია ღმერთის ხსენება გაოცების ან აღშფოთების გამოსახატავად. ჩვენ ხშირად ვამბობთ „ო ღმერთო ჩემო“, „ღმერთო მიშველე“, „ღმერთო გადმომხედე“, რაც ხშირ შემთხვევაში არ გამოხატავს პირდაპირი მნიშვნელობით რაიმეს თხოვნას ღვთისადმი. ინგლისურში oh my God გამოხატავს აღელვებას, მოკრძალებას, შიშს, თავზარს, შეცბუნებას, სევდას, გაოცებას, დაბნევას, ხვეწნას და ა.შ. მას აქვს ევფემიზმები, როგორებიცაა oh my gosh და oh my goodness. ადრეული ქრისტიანები ცდილობდნენ ღვთის სახელი ამაოდ არ ეხსენებინათ და ამიტომაც დამკვიდრდა „gosh“ „god“- ის მაგივრად. ასევე სიტყვა „god“ ჩვეულებრივ შორისდებულადაც გამოიყენება გაოცებისა და შეშფოთების გამოსახატავად.

ცხოველების სახელებზე დადებული ტაბუ სხვადასხვა მოტივით შეიძლება იყოს განპირობებული. ასე მაგალითად, გველის სახელის წარმოთქმის აკრძალვა, რომელიც გავრცელებული იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და რომელიც დღესაც გვხვდება, გამოწვეულია ამ ქვეწარმავლის მისტიკური შიშით. ჩვენამდე მოუღწევია რიგ ევფემიზმს, რომლებიც სიტყვა „გველის“ სუბსტიტუტებად გვევლინება. ესენია: „უხსენებელი“, „მცურავი“, „უსახელო“, „ურწმუნო“, „წყეული“, მეგრულში: „უჩადართამი“ (შავროხიანი). ამათგან ყველაზე გავრცელებულია „უხსენებელი“ და „მცურავი“; „უსახელო“ გვხვდება, მაგალითად, ზემოიმერულ კილოკავში; „წყეული“ უფრო ხშირად ფოლკლორში იხმარება, მაგალითად, კ. ჯორჯანელს (ჯორჯანელი, 55:1977) თავის ნაშრომში მოჰყავს ნაწყვეტი ზღაპარ „ტარიელიდან“:

„კიდობანს მოვაჭედინებ...

შიგ ჩავსვამ ლერწამ-დარეჯანს,

ზღვას მივცემ, წავალებინებ.

შიგ ჩავუსვამ სამ *წყეულსა*:

წითელ-ყვითელსა, რჩეულსა“...

ეს ევფემიზმი და, როგორც ჩანს, „ურწმუნოც“ ასახავს ხალხში გავრცელებულ ბიბლიურ თქმულებას იმის შესახებ, რომ ღმერთმა დაწყევლა

გველი, როგორც არსება, რომლის სახეც მიიღო ეშმაკმა ევას შესაცდენად (52,121). (კ. ჯორჯანელი, 55:1977).

ენა არის სისტემა, რომელიც ყალიბდება კაცობრიობის საერთო შრომით, ვითარდება და მდიდრდება დროსთან ერთად. საზოგადოების განვითარებასთან ერთად სიტყვების გარკვეული რაოდენობა ფასდება არასერიოზულად, ვულგარულად, დაუფიქრებლად, ზოგიერთიც აკრძალულია განსხვავებული რელიგიის, ცრურწმენის, საზოგადოებრივი ადათ-წესების და სხვა მიზეზების გამო. კომუნიკაციის სოციალური ურთიერთობის უკეთ შენარჩუნებისთვის და იდეების უკეთ გაცვლისთვის ხალხმა უნდა გამოიყენოს ახალი სახის ენა, რომელიც საშინელ და არასასიამოვნო სიტყვებს უფრო მისაღებს და სასურველს გახდის (www.docstoc.com).

2.3. ევფემიზმების კლასიფიკაცია

თითქმის ყველა კულტურა იყენებს ევფემიზმებს უსიამოვნო სიტყვების ნაცვლად. ევფემიზმები ხშირად გვხვდება სასაუბრო გამოთქმებში, რომლებიც ცნობილია მშობლიურ ენაზე მოსაუბრე კონკრეტული კულტურისთვის, მაგრამ არ არის ადვილად გასაგები სხვა კულტურისთვის. მაშინაც კი, თუ უცხო კულტურის წარმომადგენელი გაიგებს გამოთქმის არსს, მისთვის რთული იქნება მისი თარგმნა შესაფერისი ეკვივალენტით. მაგალითად, ქართულში გვაქვს ევფემიზმი „ხელმრუდე“, რომელიც გამოიყენება ქურდის სანაცვლოდ, მაგრამ მისი ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნა სიძნელეებს წარმოშობს.

აქედან გამომომდინარე, ევფემიზმები შეიძლება დავყოთ უნივერსალურ და ეროვნულ ევფემიზმებად. უნივერსალური ევფემიზმები დამახასიათებელია რამდენიმე კულტურისთვის, ხოლო ეროვნული ევფემიზმები ერთი კონკრეტული კულტურისთვის. ქართულში ეროვნული ევფემიზმის მაგალითი „ბატონები“, რომელიც შემდეგ დაავადებათა ჩასანაცვლებლად გამოიყენება: წითელა, ჩუტყვავილა, ყივანახველა.

რაც შეეხება უნივერსალურ ევფემიზმებს, ისინი მრავლად მოგვეპოვება. ერთ–ერთი ასეთი მაგალითია **ორსული – მომლოდინე; განსაკუთრებულ მდგომარეობაში, ფეხშიძე**

pregnant – in a family way, about-to-find-pups, belly up, big with child, in trouble, swallowed a watermelon seed, loaded.

ფეხმძიმე ქალის ცხედარი ბოსელში მეზობლებმა აღმოაჩინეს („კვირის პალიტრა“ №38, 2014: 5).

The England and Arsenal Ladies defender Casey Stoner has announced that she is **expecting** twins with her partner Megan Harris (http://www.theguardian.com/football/2014/jul/16/casey-stoner-twins-england-ladies-megan-harris#img-1).

ჩვენ ევფემიზმებს ვიყენებთ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში იმის გათვალისწინების გარეშე, თუ რომელი ევფემიზმი გამოვიყენოთ და როდის, თუმცა ადვილი არ არის მათი კლასიფიკაცია, რადგან არ არსებობს ერთიანი სტანდარტი. ევფემიზმების კლასიფიკაცია შეიძლება გავაკეთოთ სხვადასხვა კრიტერიუმის, წესის და პრინციპის მიხედვით.

როუსონი ევფემიზმებს ორ ზოგად კატეგორიად ყოფს: დადებითი და უარყოფითი ევფემიზმები (Samoskaite 2011: 11).

კ. ჯორჯანელი გვამლევს ევფემიზმების კლასიფიკაციას ენობრივი საშუალების და მათი წარმომქმნელი მოტივების მიხედვით.

ლ. სამოსკაიტე ევფემიზმებს ექვს სემანტიკურ კატეგორიად ყოფს, რომელიც, ვფიქრობთ, ერთნაირია ქართული და ინგლისური ენებისთვის. ჩვენ გავამდიდრეთ სამოსქაითისეული კლასიფიკაცია ქართული და ინგლისური მაგალითებით და დავამატეთ კიდევ სამი კატეგორია.

1. **პროფესიული ევფემიზმები.** ინგლისურ ენაში გამოიყენება შემდეგი პროფესიული ევფემიზმები: ‘cleaning operative’ გამოიყენება შემდეგი სიტყვების ნაცვლად ‘road sweeper’ ან ‘dustman’; ‘sanitation engineer’ – ‘garbage man,’ ‘meat technologist’ – ‘butcher’, hairdresser გადაიქცა beautician და ა.შ. ქართულში გვაქვს შემდეგი ევფემიზმები: დალაქი – სტილისტი; ვაჭარი - ბიზნესმენი;

Menahem Libhaber, the chief water and **sanitation engineer** for the World Bank in Latin America, said false promises are simply part of the game when it comes to such huge

public contracts (<https://www.globalpolicy.org/component/content/article/221/46887.html>).

2. დაავადებებთან დაკავშირებული ევფემიზმები: ინგლისურში კიბოს ნაცვლად გამოიყენება შემდეგი ევფემიზმები - Long illness; The big C; ქართულში იმავე დაავადებას ჩაანაცვლებენ ევფემიზმებით: ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობა; უკურნებელი სენი. დაავადებების syphilis and AIDS ნაცვლად გამოიყენება social disease; ტუბერკულოზის ნაცვლად კი იყენებენ lung trouble. სკლეროზი - მეხსიერების დაქვეითება.

„წარდგენილ ბრალდებაში თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა და ირწმუნებოდა, რომ დედის თხოვნა შეასრულა და ამიტომ მოკლა. დედამისი უკურნებელი სენით იყო დაავადებული“ (<http://www.kvirispalitra.ge/justice/19191-qirtsmuneboda-rom-dedas-thkhovna-sheusrula-da-amitom-moklaq-evthanazia-qarthulad-eqskluzivi.html>).

3. სამედიცინო ევფემიზმები. ექიმები ხშირად იყენებენ ევფემიზმებს, როგორც კომუნიკაციის ხელშემწყობი საშუალება კონსულტაციისას. ამით მათ შეუძლიათ, დაიცვან პაციენტის გრძნობები. ექიმები მიმართავენ ევფემიზმებს პაციენტის დაავადების განხილვისას, მაგრამ ის არ უნდა იყოს ზედმეტად ოპტიმისტური (M. Tayler, J. Ogden, 2004: 5). არა მხოლოდ ექიმები და სამედიცინო პერსონალი, არამედ საზოგადოების ყველა წევრი მიმართავს სამედიცინო ევფემიზმებს ყოველდღიურ მეტყველებაში, რათა მათი საუბარი მსმენელისთვის არ იყოს უხეში და მტკივნეული, ამა თუ იმ დაავადებასა და პრობლემაზე საუბრისას. განსაკუთრების მიზანშეწონულია ევფემიზმების გამოყენება იმ ადამიანის თანდასწრებით რომელიც მსგავსი პრობლემის თუ დაავადების წინაშე დგას. სამედიცინო ევფემიზმების მაგალითებია: *Lunatic asylum-Mental hospital, psychiatric hospital, Idiot – mentally challenged, Insane – person of unsound mind, Anesthesia – sleepy water, Dental caries – tooth spots, Prophylaxis paste – tooth paste, Radiograph – tooth picture.* ქართულში: სისხლჩაქცევა თავის ტვინში - ინსულტი, ანესთეზია - გაუმტკივარება და ა.შ.

Unlike some patients in psychiatric hospitals, residents of adult homes are not considered dangerous to themselves or others. They are generally legally independent

adults in charge of their own affairs (http://www.nytimes.com/2009/10/09/nyregion/09mental.html?_r=0).

4. კონცეპტ „სიკვდილთან“ დაკავშირებული ევფემიზმები. რადგანაც ბევრ კულტურაში სიკვდილი შიშს იწვევს, ამიტომაც ადამიანები ცდილობენ თავი აარიდონ მის პირდაპირ ხსენებას და მიმართავენ ევფემისტურ საშუალებებს. ასე, რომ სიტყვა „სიკვდილს“ აქვს ასობით რბილი შესატყვისი. ინგლისურში ამ სიტყვის სანაცვლოდ გამოიყენება: to breathe one's last, fall asleep, go west, join the majority, lay down one's life, pass away, pay the debt of nature, reach a better world, to be at peace, to return to the dust და ა.შ.

ქართულ ენაში კი ამ სიტყვის ნაცვლად ვიყენებთ შემდეგ ევფემიზმებს: „გარდაიცვალა“, „მიიცვალა“, „განისვენა“, „თვალეები დახუჭა“, „სული ამოხდა“, „სული დალია“, „სული ღმერთს მიაბარა“, „მიწას ამოეფარა“, „სიცოცხლეს გამოესალმა“, „სიცოცხლეს გამოეთხოვა“, „დაასრულა ცხოვრება“, „წუთისოფელს მოსწყდა“, „არ არის ცოცხალთა შორის“, „სამუდამოდ მიიძინა“, „საიქიოს გაემგზავრა“, „წერილი წაიღო“, „მარილზე წავიდა“, „სამუდამოდ დადუმდა“, „სამუდამოდ დაგვტოვა“, „მარადიული სიმშვიდე დაიმკვიდრა“. ევფემიზმი „მარილზე წავიდა“ მოდის ძველი ამბისგან. იმისთვის, რომ ხალხს მარილი მიეტანათ სახლში, მათ უნდა გადაეკვეთათ მდინარე. *მარილზე წასვლა*, როგორც გარდაცვალების სინონიმი უკავშირდება იმ ამბავს, რომ ძველად საქართველოში მარილი, ასე ვთქვათ, დეფიციტი იყო და მის მოსატანად მიდიოდნენ თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, აღზევანს, ზოგჯერ სპარსეთში და ა.შ. გზას ხშირად წლები სჭირდებოდა ხოლმე, ამიტომაც მარილზე წასული კაცი შეადარეს გარდაცვლილს, რომელიც არასოდეს არ დაბრუნდება. *წერილი წაიღო*, ხალხური რწმენის გამოძახილია, რომ ახლად გარდაცვლილ ადამიანს საიქიოში ამბები შეეძლო მიეტანა სააქაოდან, ანუ ოჯახის წევრები „დაეკავშირებინა“ ძველად გარდაცვლილ ნათესავებთან. შესაძლოა, აქ რამე რელიგიურ-ბიბლიური სარჩულია, რაც უკავშირდება წმიდა ანუ საღვთო წერილს.

საინტერესოა ასევე ის ევფემისტური გამოთქმები, რომელშიც ადამიანის გარდაცვალების მოახლოება და მოკვდინების პროცესია ასახული. ეს გამოთქმები

ქართულში შემდეგია: „უკანასკნელ დღეშია,“ „ფეხებზე ბატკანი ჰყავს გამობმული,“ „ჩაილულის წყალი დალია,“ „მიქელ-გაბრიელი ესტუმრა,“ „მაგისი დრო/დღეები დათვლილია,“ „წერილი მიაქვს,“ „ცალი ფეხი სამარეში უდგას“. ინგლისურშიც მრავლად მოიპოვება სტრუქტურულად და სემანტიკურად მსგავსი გამოთქმები: “breathe one’s last („უკანასკნელად ამოსუნთქვა“), “in a bad way” („ცუდ დღეშია,“ „უკანასკნელ დღეშია“); “one’s number is up” („მისი დღეები დათვლილია“), „at death’s door” („სიკვდილის კარზეა“) (შავლაძე 2013:12).

5. სქესობრივი ევფემიზმები. ამ ქვეჯგუფში შედის სხეულის ნაწილების სახელები, რომელიმე სქესთან დაკავშირებული ევფემიზმები: willing woman, gay boy etc. მსუბუქი ყოფაქცევის ქალი; არატრადიციული ორიენტაციის მქონე პიროვნება, და ა.შ.

ბატონო პეტრე, რა გახდა ეს ლგბტ-მარაზმი ასეთი, რომ რამდენიმე ასეული არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენელზე მთელი ქვეყანა ლაპარაკობდეს („ასავალ-დასავალი“ №19, 2015:10).

6. დანაშაულთან დაკავშირებული ევფემიზმები: ამ სფეროში გამოყენებულია შემდეგი ევფემიზმები: five-fingers – pickpocket, gentleman of the road – robber , the candy man – drug pusher. ქართულში გვაქვს შემდეგი ევფემიზმები: ცხაურებს/გისოსებს მიღმა – ციხეში; ნარკოტიკის მომხმარებელი – ნარკომანი. ინგლისურში, ისევე როგორც ქართულში სიტყვა „კრიმინალურის“ ნაცვლად გამოიყენება ევფემიზმი „არალეგალური“.

He has called on the Chief Prosecutor’s Office to launch an investigation into the alleged involvement of former senior Interior Ministry officials in setting up **illegal** armed groups in 2012 (<http://www.nytimes.com/2015/05/20/world/europe/father-didnt>).

დეკემბრის თვეში დაკავებული ქვეყნის ყველაზე რეიტინგული არხის მენეჯერი ჯერ კიდევ **გისოსებს მიღმაა** (<http://www.geotimes.ge/index.php/ge/2014-05-06-22-54-27/item/>).

7. პოლიტიკური ევფემიზმები. მთავრობა ხშირად მიმართავს ევფემიზმებს ფაქტების შერბილებულად წარმოსაჩენად. ამ მიზნით ხელისუფლების

წარმომადგენლები ხშირად სიტყვა აქციის ჩასანაცვლებლად გამოიყენებენ შემდეგ ევფემისტურ გამონათქვამებს: **მასობრივი გამოსვლა, მანიფესტაცია**, ხოლო აქციის მონაწილეებს მოიხსენიებენ, როგორც **კრიტიკულად განწყობილ საზოგადოებას, მანიფესტანტებს**. მაგალითად:

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ თეირანიდან გამოიყვანა ირანში თავისი დიპლომატიური მისიის წევრთა ნაწილი. ეს გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც ირანის დედაქალაქის ორ რაიონში ბრიტანეთის საელჩოს შენობებთან **სტუდენტთა მანიფესტაციები** მოეწყო. **მანიფესტანტებმა** შენობები დაარბიეს. (<http://www.kvirispalitra.ge/msoflio/10367-sazghvargarethis-qveynebi.html>).

რომელი საქმე გადაწყვეტილა ხალხის გამოსვლისა და ერთიანობის გარეშე? გადახედეთ ევროპას, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შეხედეთ, სადაც ზოგჯერ ერთი კაცის სიკვდილი ხდება **მასობრივი გამოსვლების** საბაზი (<http://www.kvirispalitra.ge/politic/12001-qramdenjer-chagvafurthkhes-sulshiq.html>).

*"The president's statement praises Thatcher as one the "great champions of freedom and liberty" and goes on to observe "she stands as an example to our daughters that there is no **glass ceiling** (=promotion limit for women) that can't be shattered."(The Least Interesting Fact About Margaret Thatcher.(<http://news.yahoo.com>).*

აქ იდიომა **glass ceiling** ევფემიზმია სამსახურში ქალის დისკრიმინაციის საჩვენებლად.

8. როგორც ინგლისურში, ისე ქართულში მრავლად მოგვეპოვება **გონებრივი შეზღუდულობის და ფიზიკური ნაკლოვანებების აღსანიშნავი ევფემიზმი**. ესენია:

ქართული	ინგლისური
ყრუ – სმენადაზიანებული/დაქვეითებული;	Deaf - not able to hear, hearing impaired;
ბრმა – მხედველობაშეზღუდული,	Blind - not able to see, visually impaired,
სუსტი მხედველობის მქონე;	Visually challenged;

ინვალიდი – განსაკუთრებული ზრუნვის Invalid – people with limited ability;

ობიექტი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე, Disabled, differently able,

განსხვავებული შესაძლებლობის მქონე; Handicapped;

სულელი – გონებრივად შეზღუდული, Idiot – mentally challenged, mentally disable

გიჟი-მენტალურად/ფსიქიკურად დაავადებული, Mad/ crazy – insane,mentally

სულით ავადმყოფი, ჯანსაღ გონებაზე არ მყოფი, Diseased; unbalanced, troubled, odd

ფსიქიკურად გაუწონასწორებელი;

*"My father was shouting at them in order to stop them. I told the soldiers that my father was **mentally challenged** and they should not pay attention to him," Muhammad Srur, 20, said (<http://india.blogs.nytimes.com/2013/07/12/in-kerala-a-reformed-murderer-nurtures-mentally-challenged>).*

*ამ სამეულიდან ყველაზე აგრესიული იყო და მშობლები განცხადებით მოგვმართავდნენ ხოლმე, გვთხოვდნენ საავადმყოფოში მის გადაყვანაში დავხმარებოდით.. ბრალდებულები **სულით ავადმყოფია** და რომ შეხედავ, ეს ამკარად თვალში საცემია. თუმცა ჩემი ინფორმაციით, ფსიქიატრიულში არც ისაა ნამყოფი (<http://www.kvirispalitra.ge/justice/18301-qshemagina-magan-da-amitom-movakhrchveoq-tcaladidshi-18-tslis-bitcma-37-tslis-kaci-mokla-eqskluzivi.html>).*

9) **თავაზიანობით წარმოქმნილი ევფემიზმები.** ყველა ენა, მათ შორის, ინგლისური და ქართული განსხვავდება ერთმნეთისაგან თავაზიანობის გამოხატვის საშუალებებით. აუცილებელია, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებმა იცოდნენ ეს თავისებურებები, რათა თავი აარიდოს უხერხულ მდგომარეობას კომუნიკაციისას. თავაზიანი ენობრივი ფორმების არსებობა განაპირობებს ზრდილობის ნორმების ჩამოყალიბებას საზოგადოებაში, რითაც ერთმნეთისადმი პატივისცემას გამოხატავენ. ქართველები ხშირად ვიყენებთ „მობრძანდით“, „დაბრძანდით“, „რა ბრძანეთ?“ „როგორ ბრძანდებით?“ „როგორ გიკითხოთ?“, „რა გნებავთ?“, „რას გვიბრძანებთ?“ ნაცვლად ამისა, „მოდი“, „დაჯექი“, „რა თქვი?“, „როგორა ხარ?“, „რა გინდა?“. აღნიშნულ ევფემურ

გამონათქვამებს იყენებენ, როდესაც სურთ გამოხატონ პიროვნებისადმი თავაზიანობა, ზრდილობიანობა და პატივისცემა. მსგავსი ენობრივი ფორმები ინგლისურში არ არის, მაგრამ მიმართვის ფორმების ხმარებით ეს ორი ენა ერთმანეთს ძალიან ჰგავს. მათვის დამახასიათებელია მიმართვის შემდეგი თავაზიანი ფორმები: Mr/Mrs/Miss/Ms + პიროვნების გვარი/ტიტული; ბატონო/ქალბატონო + პიროვნების სახელი/ტიტული. განსხვავება კი ის არის, რომ ინგლისურში გვარებით (Mr Johnson) მიმართავენ, ქართლში სახელით (ბატონო გია).

აქვე მინდა მოკლედ შევეხე იდომურ ევფემიზმებს, რომლებიც იშვიათად გვხვდება პრესაში, მაგრამ ხშირად ვიყენებთ მათ ყოველდღიურ მეტყველებაში. ესენია: **ააბრუნა წისქვილი** - დაიწყო დაუსრულებელი ლაპარაკი; **აბუჩად აგდება** - აგდება, უპატივცემლობა, შეურაცხყოფა, გამასხარავება; **ადამის ჟამის, ადამის ხნისა** - ძველისძველი, დიდი ხნისა; **აირია მონასტერი** - წესი დაირღვა, არეულობაა, უმცროსი უფროსს აღარ ემორჩილება (*მონასტერში ცხოვრების მკაცრი წესებია. ამიტომ აირია მონასტერი ნიშნავს შემოღებული წესრიგის დარღვევას, უგულვებელყოფას*); **ანგელოზმა ჩამოიარა** - სიჩუმეა, ხმას არავინ იღებს (*ანგელოზები ამქვეყნად ღმერთის სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად ჩამოდიან ზეციდან. ხალხის რწმენით, ისინი სახლებს მაშინ ჩამოივლიან, როცა იქ სრული სიჩუმეა. ამიტომ სახლში, როცა ყველა უცებ დაჩუმდება, იტყვიან, ანგელოზმა ჩამოიარა*); **აღდგომა გაუთენდა** - დიდი სასიხარულო დღე დაუდგა; **ბანზე სიტყვის აგდება** - თავიდან აცილება პირდაპირი პასუხისა, განგებ გაბუნდოვანება აზრისა თუ ნათქვამისა, მოლაპარაკის თავიდან მოშორება, მის ნათქვამზე პასუხის მიუცემლობა, მისი აბუჩად აგდება; **ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული** - კაცი, რომელსაც ყველაფერში ხელი მოემართება (*ხალხის რწმენით, კაცი რომ იბადება, მისი სახელის ვარსკვლავიც ჩნდება. ზოგი ვარსკვლავი ბედნიერია და მის სახელზე დაბადებულ კაცს ბედნიერება მოელის ცხოვრებაში. ზოგი ვარსკვლავი კი უბედურია და მის სახელზე დაბადებული კაციც უბედურია. ამბობენ კიდევ: ეს კაცი უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებული*); **ბეწვის ხიდი** - დიდი რამ გასაჭირი, ძნელად გადასალახავი (*ხალხის რწმენით, ვიდრე ადამიანი სამოთხეში ან ჯოჯოხეთში შევა, ადუღებული კუპრის ზღვაზე გადებული ბეწვის*

ხილი უნდა გაიაროს. თუ ცოდვილია, ხიდი ჩაუტყდება და საუკუნოდ კუპრში დარჩება, ხოლო თუ კეთილია, თავისი ნამოქმედარი სიკეთე მხრებში შეუდგება, მშვიდობით გაატარებს ბეწვის ხიდზე და სამოთხეში შეიყვანს. აქედან იქცა ბეწვის ხიდი ძნელი საქმის, გასაჭირის დაძლევის სინონიმად); **გაუთლელი** - უსწავლელი, უზრდელი, გაუნათლებელი; **ვირზე შესმა** - ვინმეს საჯაროდ შერცხვენა, დასჯა, გალანძღვა (ძველად საქართველოში დამნაშავეს, განსაკუთრებით, ზნეობის კანონის დამრღვევს, ვირზე პირუკუღმა შესვამდნენ, ვირიის კუდს ხელში დააჭერინებდნენ და მთელ სოფელს შემოატარებდნენ. მას დიდი და პატარა თავზე ლაფს ასხამდა, აფურთხებდნენ); **ნამუსის ქუდის ახდა** - უნამუსობა, უპატიოსნობა (ქუდი სიმბოლო იყო პატიოსნებისა, სინდისისა. ქუდს მოხდიდნენ მამაკაცს მაშინ, როცა უსინდისო საქმეს ჩაიდენდა და საჯაროდ დასჯიდნენ ლაფის დასხმით); **პირშავი** - დამნაშავე, მტყუანი, უსირცხვილო, უპირისწყლო, სახელგატეხილი (ძველად საქართველოში დასჯის ერთ-ერთი სახე იყო დამნაშავესათვის პირსახეზე საჯაროდ მურის წასმა, ანუ პირის გაშავება. მოსამართლეები სოფლის თავკაცები იყვნენ. ისინი დამნაშავეებს (ქურდებს, მეძავეებს) მურით ან ნახშირით პირს უშავებდნენ და სოფელში კარდაკარ ჩამოატარებდნენ); **ქვასაც კი წყალს გამოადენს** - იტყვიან ადამიანზე, რომელიც მეტისმეტად მოხერხებულია, ყველაფრის გაკეთების შნო და უნარი აქვს, ხელი ყველგან მიუწვდება; **ჩაილურის წყალი დალია** - უკვალოდ დაკარგვა რაიმესი, გათავება, მორჩომა (ჩაილური სოფელია კახეთში, რომელსაც ჩაუდის პატარა მდინარე - ჩაილურის წყალი - ღრმაკალაპოტიანი და მაღალნაპირებიანი. ძველად მოპარულ საქონელს ქურდი ლეკები თუკი ჩაილურის წყალზე გადაატარებდნენ („ჩაილურის წყალს დაალევიანებდნენ“), უკვე სამშვიდობოს ეგულეობდათ თავი. აქ მათ ხვდებოდათ მათი ლეკი დამქაშები, რომლებსაც ნაქურდალს აძლევდნენ. შემდგომში „ჩაილურის წყალდალევინებულს“ ამბობდნენ ყველაფერზე, რაც დაიკარგებოდა, რისი დაბრუნების იმედი გადაწურული იყო); **ციდამტკაველა** - პატარა, დალეული, მეტად დაბალი, პატარა ტანის (<https://sites.google.com/site/mygeolingua/khatovani-sitqva-tkmani>).

ფუნქციის მიხედვით ევფემიზმები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ:

1) განმარტება, რომელიც ხაზს უსვამს ფორმის სინაზეს, ანუ ის ემსახურება იმას, რომ პირდაპირ ჩანაცვლოს არასასიამოვნო სიტყვები ნაკლებად შეურაცხყოფელმა სიტყვებმა, მაგალითად: მსუქანი – ჭარბწონიანი; Fat – overweight, stout, full-figured; მთვრალი – შეზარხოშებული, ნასვამი; Drunk – tired and over emotional, intoxicated, tipsy.

„რესტორანში ქალბატონი თავო ძალიან აქტიურობდა, შეზარხოშებული სცენაზეც კი ავიდა და იმღერა („კვირის პალიტრა“ №44, 28 ოქტომბერი - 3 ნოემბერი, 2013:10).

2) განმარტება, რომელიც ხაზს უსვამს როგორც მორალურ და ეთიკურ განზომილებებს, ისე სოციალურ მდგომარეობას, მაგალითად, ქართულ ენაში სიტყვა „ტუალეტს“ შემდეგი ევფემიზმები აქვს – „საპირფარეშო,“ „სადაც მეფენი თავისი ფეხით მიდიან,“ ინგლისურში – *Bathroom – restroom, public conveniences, water closet, comfort station*, სოციალური მდგომარეობის გამომხატველი ევფემიზმია: *Beggar – panhandler ან homeless person, Poor person – needy, under-privileged, disadvantage, economically deprived. ქართ. მათხოვარი - გლახაკი, ღარიბი - სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი.*

*My response to the police who told **the panhandler**, “You can’t be here. This is Fifth Avenue,” and to all others who look down at **the homeless**, is taken from words that I heard many years ago as an intern at Bellevue Hospital, when **homeless people** often lived on the streets of the Bowery (<http://www.nytimes.com/2011/09/01/opinion/not-born-a-panhandler.html>).*

3) განმარტება, რომელიც მიუთითებს შენიღბვაზე, რათა სხვადასხვა მიზეზის გამო დაიფაროს ამა თუ იმ ფენომენის ნაკლოვანი მხარეები, ასეთ ევფემიზმებს წარმოადგენს: Crippled – handicapped, disabled; *მხედველობადაქვეითებული, უსინათლო – ბრმა; სმენადაქვეითებული - ყრუ; განსხვავებული შესაძლებლობების მქონე – ინვალიდი;* მსგავს განცხადებებს ხშირად ვხვდებით უცხოეთში

სხვადასხვა დაწესებულებაში „*Particularly assist people with limited mobility*”
(http://www.nytimes.com/2007/12/20/nyregion/20neediest.html?_r=0).

In these programs, he met other people with similar handicaps, and learned confidence and new sports (His favorite is bowling.) He began mentoring younger children with special needs, which he still does (http://www.nytimes.com/2007/12/20/nyregion/20neediest.html?_r=0).

ევფემიზმები საზოგადოების სამეტყველო სტილის ენობრივ ერთეულებს წარმოადგენს. ისინი ჩვენი შინაგანი შიშის ხილული ნიშნებია, კონფლიქტების, სირცხვილის გრძნობის ასახვაა. ევფემიზმებზე დაკვირვებით შესაძლებელია დავინახოთ რა იყო, რა ხდებოდა ჩვენს ენაში, გონებასა და კულტურაში, რაზე საუბრობდნენ თამამად და რა იკრძალებოდა. ამას ადასტურებს ლ. სამოსკაიტეს ევფემიზმების ისტორიული კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით, ევფემიზმები შეიძლება დაიყოს: შუა საუკუნეების ევფემიზმები, ვიქტორიანული ხანის ევფემიზმები, XX საუკუნის ევფემიზმები და თანამედროვე ევფემიზმები.

გარდა ამისა, იმის მიხედვით თუ რამდენ ხანს „ცოცხლობს“ შერბილებული გამონათქვამი, შეიძლება დავყოთ დროებით და მუდმივ ევფემიზმებად. ზოგიერთი ევფემიზმი იმპულსურად იქმნება გარკვეულ შემთხვევებში და არასოდეს მეორდება შემდეგ, ხოლო მეორე მხრივ გვაქვს ევფემიზმები, რომლებსაც საზოგადოების დიდი ნაწილი იყენებს და საუკუნეებსაც უძლებს.

როგორც ლ. სამოსკაიტე აღნიშნავს, ევფემიზმებისთვის დამახასიათებელია ისტორიული ცვალებადობა. მაგალითად, სიტყვას „Pregnant“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ევფემისტური გამოთქმა ჰქონდა.

(1) She has canceled all her social engagements. (1856)

(2) She is in an interesting condition. (1880)

(3) She is in a delicate condition. (1895)

(4) She is knitting little booties. (1910)

(5) She is in a family way. (1920)

(6) She is expecting. (1935)

(7) She is pregnant. (1956)

1960 წლიდან სიტყვა „ორსულის“ ევფემიზაცია ნელ-ნელა მიმდინარეობს, რადგან თანამედროვე საზოგადოება მორიდებით აღარ საუბრობს ამ მოვლენასთან დაკავშირებით (Samoskaite 2011: 9).

როდესაც მოსაუბრე ერკვევა სიტუაციაში და ხვდება ევფემიზმის გამოყენების აუცილებლობას, ის დაუფიქრებლად იყენებს ნებისმიერი სახის ევფემიზმს (ერთ სიტყვიანს, შედგენილ სიტყვას, ფრაზას თუ სრულ წინადადებას). ამის გათვალისწინებით ევფემიზმები იყოფა სინტაქსურ ან ლექსიკურ ევფემიზმებად.

ა. ბურხარდტის თანახმად, სინტაქსური ევფემიზმებია წინადადებები, რომლებიც შექმნილია სიტყვების ან ფრაზების მეშვეობით და რომელსაც შედარებით მცირე უარყოფითი კონოტაცია გააჩნია, ის იძლევა იმის საფუძველს, რომ ევფემიზმს უკან არასასიამოვნო სიმართლე იმალება. ამ სახის ევფემიზმების საშუალებით ფარავს ადრესანტი „არასასიამოვნო ინფორმაციას“. სინტაქსური ევფემიზმების არაერთი მაგალითი გვხვდება პოლიტიკურ დისკურსში (Burkhardt 2010: 358).

სინტაქსური ევფემიზმის ნათელ მაგალითს წარმოადგენს შემდეგი წინადადება:

როდესაც ნიადაგი არის მოწამლული, არ შეიძლება მასზე ამოსული ბალახი და ნაყოფი იყოს ჯანმრთელი და სადი (<http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=rustavi2>).

ამ განცხადებაში პოლიტიკოსი გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას არჩევნებთან დაკავშირებით და ამ წინადადებით ამბობს, რომ არჩევნები გაყალბდა. სადაც პირველი ტური იყო უკანონო, არ შეიძლება მეორე იყოს სამართლიანი.

რაც შეეხება რეფერენტულ გაურკვევლობას, იგი გამოიყენება სავარაუდო დანაშაულის კონტექსტში რომლის მთავარი მიზანია, თავი აარიდოს კონკრეტული ფაქტის ან ქმედების ავტორის ხსენებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელი

ხშირად ცნობილია შესაბამისი დისკურსის მონაწილეთათვის. მაგალითად: „ზოგიერთი ადამიანი ვერასდროს ისწავლის მოქცევას“, – სამიზნე არ არის მითითებული, ის შეიძლება იყოს ნებისმიერი, მაგრამ აშკარაა, თუ ვის შეეხება წინადადება (Burkhardt 2010: 359).

ლექსიკური ევფემიზმები კი დამოკიდებულია ცალკეული სიტყვის მნიშვნელობაზე ან სიტყვების არჩევაზე გამოთქმაში (ibid. 360).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევფემიზმების არსებობა განპირობებულია სერიოზული მიზეზებით. ევფემიზმების ერთ-ერთი მიზანი იმ მოვლენების დაფარვაა, რომლებისაც ხალხს ეშინიათ ან მათში საშიშ გრძნობებს იწვევს (სიკვდილი, მკვდარი და ა. შ.). ევფემიზმები ასევე გამოიყენება. რათა დაიფაროს ცხოვრებისეული მოვლენები სექსთან, რეპროდუქციასთან (მათ შორის, სხეულის ნაწილებთან) დაკავშირებით, რომლებიც თავს საზოგადოების ყველაზე დახვეწილ წევრსაც შეახსენებენ. პრესაში ევფემიზმები გამოიყენება პოლიტიკური რეალობის დასაფარავად, ან ამა თუ იმ მოვლენის შესარბილებლად.

2.4. ევფემიზმების სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებები

სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ ევფემიზმის შემდეგი კომპონენტები, რომლებიც მსგავსია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებთან.

1. დაკონკრეტება: გამოყენებულია ზოგადი ტერმინი, რომელიც კონტექსტის მიხედვით საჭიროებს დაკონკრეტებას, რათა სწორად იქნეს აზრი გაგებული. მაგალითად, ინგლისურში სიტყვა „Innocent“ (Virginal) - ქართულში „უმანკო“ (ქალწული), მოითხოვს კონტექსტს, რათა მსმენელმა სწორად გაიგოს, თუ რაზეა საუბარი.

2. იმპლიკაცია: ამ შემთხვევაში რამდენიმე ნაბიჯია საჭირო ნაგულისხმევი ინფორმაციის სწორად გასაგებად. მაგალითად, „თავაშვებული“ შეიძლება ნიშნავდეს სექსუალურად ადვილად მისაწვდენს.

3. მეტაფორა: ევფემისტური მეტაფორები ჩვეულებრივისგან განსხვავდებიან მხოლოდ ფუნქციით. ისინი უბრალოდ ხატოვანი სიტყვა-თქმებია და აქაც, როგორც ჩვეულ შემთხვევაში მნიშვნელობის ანალოგიურ გადატანასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, „მოკვდას“ ნაცვლად ამბობენ „მიიძინა“. ინგლისურში *“passed away”*

4. მეტონიმია: მეტონიმია გულისხმობს სპეციფიკურის განზოგადებას. ამ კატეგორიაში შედის ისეთი სიტყვები, რომლებიც აზრის მაქსიმალურ განზოგადებას გულისხმობს. მაგალითად, ინგლისურში „the White House“ ან „the Pentagon“ გამოიყენება შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამშრომლების და სამხედრო ხელმძღვანელების ნაცვლად.

5. შეცვლა: ეს საშუალებას გვაძლევს, მივანიშნოთ რაღაც „ცუდზე“ საპირისპიროს გამოყენებით, მაგალითად: *‘Enviably disease’ – Syphilis.*

6. ლიტოტესი: გამონათქვამის მნიშვნელობის შესარბილებლად გამოიყენებენ აგრეთვე ლიტოტესს. მაგალითად, „ულამაზო“ – უშნოს ნაცვლად, „უსუფთაო“ – ჭუჭყიანის ნაცვლად. „She is not a beauty queen“, რაც ნიშნავს „She is ugly“ ან კიდევ „I am not as young as I used to be“ ამ შემთხვევაში მოსაუბრე ცდილობს, თავი აარიდოს შემდეგი სიტყვის წარმოთქმას „I am old.“

7. გაზვიადება ანუ ჰიპერბოლა: ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ინგლისურში სიტყვა „Visual engine“ ფანჯრის მწმენდავის ნაცვლად, ან „Fight to glory“ სიკვდილის ნაცვლად. ქართულში მსგავს მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს „ბიზნესმენი“ ვაჭრის ნაცვლად, სამოთხეში გაფრინდა - გარდაიცვალას ნაცვლად.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი პრაგმატიკის მიმართ. დ. კრისტალის მიხედვით, პრაგმატიკა არის ენის შესწავლა მისი გამოყენებლების თვალსაზრისიდან, განსაკუთრებით იმ შეზღუდვების

მიხედვით, რომელიც მოსაუბრის მიერ გამოყენებულ ენას აქვს სხვა მონაწილეებისთვის კომუნიკაციის პროცესში (კრისტალი 1997: 67).

ჯ. იულის მიხედვით კი პრაგმატიკა მოსაუბრის მეტყველების მნიშვნელობის შესწავლაა. აქცენტი კეთდება იმ ინტერაქციაზე, თუ რას გულისხმობს ხალხი საკუთარ გამონათქვამში, და არა იმაზე, თუ რას გულისხმობს ფრაზა თავის თავში (იული 1996:3).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაგმატიკა არის მოსაუბრის მნიშვნელობის, კონტექსტის შესწავლა, რადგანაც ის გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე ნათქვამია.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პრაგმატიკა პირდაპირ უკავშირდება გამონათქვამის ფუნქციას, როგორებიცაა დაპირება, თხოვნა, ინფორმაციულობა, რომლებიც მიიჩნევიან მეტყველების აქტებად. განსაზღვრული გრამატიკული სტრუქტურები დაკავშირებულია შესაბამის ფუნქციებთან, ისევე როგორც კითხვითი სტრუქტურის Do you drink coffee? ფუნქცია კითხვაა. ეს მოვლენა შეიძლება აღვწეროთ, როგორც პირდაპირი მეტყველების აქტი, თუმცა როცა კითხვითი სტრუქტურა გამოიყენება სხვა მიზნებისათვის, როგორც მაგალითად 'Can you close the door', აქ უკვე ნათელია, რომ ის შეკითხვა კი არ არის, არამედ თავაზიანი თხოვნაა რაღაცის შესასრულებლად, მას უკვე ირიბი მეტყველების აქტი ეწოდება.

პირდაპირი და ირიბი მეტყველების აქტების გამოყენება დაკავშირებულია თავაზიანობის ლინგვისტურ კონცეპტთან. ევფემიზმების მთავრი ფუნქციაც ხომ თავაზიანობაა. ევფემიზმების თავაზიანობაში იგულისხმება თავის არიდება არასასიამოვნო და ულამაზო ფორმებისთვის, რომ ისინი ჩაანაცვლოს საზოგადოებისთვის უფრო მისაღები ფორმით. ქვემოთ მოცემული ევფემიზმი გამოყენებულია სიტყვა „უღირსის“ ნაცვლად, რაც მართლაც თავაზიანობის მიზნითაა გამოყენებული, თანაც გასათვალისწინებელია, რომ საუბარია პროკურორზე.

ერთადერთი სანქცია, რომელიც მას კარიერის მანძილზე აქვს დაკისრებული, 1973 წელს მოსკოვში პირადობის მოწმობის დაკარგვას ეხება და ეს ნებისმიერი პროკურორისთვის უდიერ საქციელად ითვლება დღესაც („კვირის პალიტრა“ №3, 2013:5).

რეალურ ცხოვრებაში როცა ადამიანები არასასიამოვნო მოვლენებს ან ქცევის ნორმებს აწყდებიან, ისინი ცდილობენ ბუნდოვანი სიტყვების გამოყენებას, რათა მსმენელის გრძნობები არ დააზიანონ. ინგლისელები გარეგნობასთან მიმართებით არ იყენებენ სიტყვებს „ugly“ ან „awful,“ რომელთაც ძლიერი დამამცირებელი დატვირთვა აქვთ. მათ ნაცვლად იყენებენ ‘plain-looking’ ან ‘not pretty’. ქართულშიც გვაქვს ამ სიტყვის შესაბამისი ევფემიზმები „ულამაზო“ ან „შეუხედავი.“ მოხუცების მიმართ გამოყენებული ევფემიზმებიც თავაზიანობას გამოხატავს, ისინი გარკვეულწილად უმწიფონი არიან და ამიტომ მათ მიმართ შემდეგი ევფემიზმები გამოიყენება: ინგლისურში “Senior citizens” ან “Seasoned men” ნაცვლად “Old men”, ხოლო ქართულში „ხანში შესული“, „ხანდაზმული“, „ასაკოვანი“. ევფემიზმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანურ ურთიერთობებში, რადგანაც ისინი აძლიერებს ადამიანურ კავშირს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაბუ ევფემიზმების წარმოშობის მთავარ ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, რადგანაც საზოგადოებას ეკრძალებოდა ტაბუდადებული ლექსიკის გამოყენება. ევფემიზმები დიდი ხანია გამოიყენება ამ თუ იმ ენაში და ის მჭიდროდაა დაკავშირებული ტაბუსთან.

ევფემიზმების კიდევ ერთი ფუნქცია დაფარვაა, რაც იმას გულისხმობს, რომ მოსაუბრე არ გასცემს იმ ინფორმაციას, რომელსაც ის ფლობს და რომელიც სიტუაციის შესაბამისია. ზოგიერთი პოლიტიკოსი და საინფორმაციო საშუალება კარგად იყენებს ბუნდოვან ევფემიზმებს, რათა დაფაროს ფაქტები ისეთ მოვლენებთან დაკავშირებით, როგორებიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა და სამხედრო სფერო. პოლიტიკურ სფეროში ‘Economic crises’- ის ნაცვლად ჟურნალისტები ხშირად იყენებენ Depression, ხოლო Striking - ის ნაცვლად სიტყვათმეთანხმება Industrial action-ი გვხვდება.

და ბოლოს, ევფემიზმები ტაქტის მანიშნებელია. მაგალითად, თვითმფრინავში ხშირად შევხვდებით ევფემიზმს 'For motion discomfort', ნაცვლად "Vomit bag"- ისა. ცხადია, ეს ევფემიზმისტური ფრაზა მეორე სიტყვათ-შეთანხმებასთან შედარებით ნაკლებად უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს მგზავრებში, ანუ მასში გარკვეული ტაქტია გამოყენებული.

როგორც ვნახეთ, ევფემიზმებს ოთხი პრაგმატიკული ფუნქცია აქვს, სახელდობრ: თავაზიანობა, ტაბუ, დაფარვა და ტაქტი. თითოეული მათგანი სხვადასხვა მიზანს ემსახურება და განსხვავებული რეაქციის მოხდენა შეუძლია საზოგადოებაზე.

2.5. ევფემიზმების გავლენა საზოგადოებაზე

ევფემიზაციის პროცესში განსხვავებული გრძნობები და ემოციები მონაწილეობს. ევფემიზმები გამოიყენება ცხოვრების ყველა სფეროში. ევფემიზმების საშუალებით ჩვენ ვაკავშირებთ დადებით ემოციებს, რათა ცხოვრება ადვილი და ბედნიერი გავხადოთ. ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო ადამიანის ცხოვრებაში ემოციების სფეროა. ადამიანის სამყარო არის ერთ-ერთი ძირითადი მსოფლმხედველობა ენის მიღმა. ამა თუ იმ სიტუაციის აღქმა ემოციურად მრავალფეროვანია. ემოციები ადამიანის შემოქმედების/ გრძნობათა ყველა სფეროს მოიცავს. ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაშინ როცა ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანის ფაქტორზე ენაში. სამყაროს სურათი არ არის მხოლოდ მსოფლმხედველობა ენის მიღმა, არამედ ის არის ადამიანის გონებაში წარმოქმნილი რეალური სამყაროს სუბიექტური მსოფლმხედველობა.

საქმე ისაა, რომ ევფემისტური სიტყვა (ან გამოთქმა), ვიდრე ასეთად იქცეოდეს, სრულიად დამოუკიდებელი და განსხვავებული მნიშვნელობის მქონეა. ევფემიზმად გამოყენების შემთხვევაში კი ახალი შინაარსი ენიჭება, ე. ი. ხდება მნიშვნელობის გადატანა. ამ თვალსაზრისით ევფემიზმი სრულიად ჩვეულებრივი ტროპია, როგორც, მაგალითად, მეტაფორა, მეტონიმია, ჰიპერბოლა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი სიტყვის (ან გამოთქმის) ნაცვლად მეორეს ვიყენებთ

და ისიც ახალი მნიშვნელობით, გაგებინება მაინც ხდება. ამას უზრუნველყოფს თავდაპირველად კონტექსტი და მხატვრული სახე, თუ იგი თან ახლავს ამგვარ მნიშვნელობის გადატანას. მაგრამ გაგებინება არის არა უშუალო, არამედ შუალობითი, შემოვლითი. მსმენელს თითქოს გამოცანა ეძლევა ამოსახსნელად: უნდა მიხვდეს, სახელდობრ, რაზეა ლაპარაკი, რისი თქმა სურთ. ესაა ევფემიზმის მთელი საიდუმლოება. უკვე მხოლოდ ეს გარემოება ანელებს შთაბეჭდილებას, რადგან წინასწარ ამზადებს მსმენელს უსიამოვნო და უხერხული სინამდვილის შესახვედრად. მაგალითად, ქართულ ენაში არსებობს გამოთქმა: „აღარ არის“ (მაგალითად, „თონეში ცეცხლი აღარ არის“) და ყველამ იცის მისი მნიშვნელობა, მაგრამ, როდესაც იგი პირველად გამოიყენეს „მოკვდას“ ევფემიზმად, მან თუმცა ახალი მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ კონტექსტის შემწეობით ეს გამოთქმა მაინც გასაგები იყო, თუმცა არც თუ ერთგვარი დაბრკოლების გარეშე, მაგ.: „ივანისელი ორი წელია, რაც აღარ არის ცოცხალთა შორის“. ამ წინადადებას მსმენელი უთუოდ მართებულად გაიგებდა, მაგრამ ნათქვამი შედარებით ნაკლებად მძაფრ რეაქციას გამოიწვევდა, ვიდრე პირდაპირ თქმა: „ივანისელი ორი წელია, რაც მოკვდა“. გარდა იმისა, რომ პირველ წინადადებაში აზრი გამოთქმულია არაპირდაპირ, აქ ისეთი სიტყვებია ნახმარი (... „აღარ არის ცოცხალთა შორის“), რომლებსაც სულ სხვა ემოციური იერი აქვთ, ვიდრე უშუალო გამოთქმას: „მოკვდა“ (ჯორჯანელი 12:1977). ამიტომ ევფემიზმები დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც მსმენელზე, ისე მკითხველზე. მიუხედავად იმისა, რომ ევფემიზმი და ის სიტყვა, რომელსაც იგი ენაცვლება, ერთსა და იმავე ობიექტურ მონაცემზე მიუთითებს, ევფემიზმებს შეუძლია სხვადასხვა ემოციური ეფექტი მოახდინოს მკითხველსა და მსმენელზე, ზოგიერთ შემთხვევაში მხიარულ განწყობაზეც კი შეიძლება დააყენოს ადამიანი. ასეთი იუმორისტული ევფემიზმები გვაქვს ინგლისურში სააბაზანოსთან დაკავშირებით:

He has to see a man about a dog.

He is in the bog.

She is in the smallest room of the house taking a shower.

ქართულშიც გვაქვს ზემოთ ხსენებული სიტყვის ევფემიზმი, რომელიც მხიარულ განწყობაზე გვაყენებს: **სადაც მეფენი თავისი ფეხით მიდიან.**

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვების მიმართ „სულელი“ და „გიჟი“ სიბრაღულით უნდა ვიყოთ გამსჭვალული, იმ რეალობას, რომელიც არსებობს ვერსად გავექცევით და მათ მიმართ გამოყენებული ზოგიერთი ევფემიზმი ირონიის მატარებელია. ასეთებია: ქართულში „თავში ჭიანჭველები ჰყავს“; „ზედა სართულში აკლია“, ინგლისურში „He has rats in the attic“, „, forgot to pay his brain bill“, „antenna’s pointing the wrong way“, „about as bright as a burnt“, „out 20 watt light bulb“.

ამ ვიკიპედიის გამკეთებელს ნამდვილად ჭიანჭველები ჰყავს თავში (<http://forum.ge/?f=29&showtopic=34282731&st=150>).

როგორც კ. ჯორჯანელი აღნიშნავს, სიტყვათა ემოციური იერის როლი კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში: თუ სიტყვების - „საპრობილე“, „საპატიმრო“, „სატუსალო“- გაგონების დროს გვახსენდება ნაცრისფერი კედლები, რკინის მოაჯირიანი ვიწრო სარკმელები, პატიმართა ჭლექიანი სახეები და ა. შ., ციხის ევფემიზმი - „ვირის აბანო“ მხიარულ განწყობილებაზე გვაყენებს. ამაში წვლილი სწორედ ამ ევფემისტური გამოთქმის ემოციურ იერს მიუძღვის. ეს გამოთქმა შედარებით ახალია და არც თუ ისე ხშირად გვხვდება, თანაც მასში ხატოვანი თქმა დღემდე ცოცხალია – ყველა ეს მონაცემი შესაძლებლობას აძლევს ამ ევფემიზმს თავისი დანიშნულება დღესაც საუკეთესოდ შეასრულოს (ჯორჯანელი 1977:12).

მე დღეს „რიგითი ნარმანია“ ვარ, რადგან ვიცი, რა ძნელია მის ადგილზე ყოფნა და ამ პასუხისმგებლობის ტარება,“ -აღნიშნულია ვირის აბანოში მყოფი უგულავას განცხადებაში (<http://www.kvirispalitra.ge/petre-mamradzis-blogi/25522-aghmsheneblo-baq-katharzisi-da-cinizmi.html>).

კიდევ ერთი ევფემიზმი, „ცხაურებს მიღმა,“ ნიშნავს ციხეში, ეს ევფემიზმი შეიძლება მხიარულ განწყობაზე არ გვაყენებს, მაგრამ არც ისეთ უარყოფით განცდებს იწვევს როგორც სიტყვა „ციხე“.

მეორე ცოლი სასწრაფოდ შერთო შვილს, ისედაც დაჩაგრა ცხოვრებამ, ახლა
ოჯახი გულს გამოუკეთებს და დაამშვიდებსო, მაგრამ ნიკა კვლავ დააპატიმრეს...
ახლა ზის ცხაურებს მიღმა და კვლავ დედის იმედი აქვს...
(<http://www.kvirispalitra.ge/tqventvis-qalbatonebo/6729-vin-aris-damnashave.html>).

ინგლისურში, ისევე როგორც ქართულში, სიტყვა „ციხეს“ ჩაანაცვლებს
ევფემიზმი „Correctional facility“, „გამოსასწორებელი კოლონია.“

დაღესტანში გამოსასწორებელი კოლონიის ხელმძღვანელი მოკლეს. ამის
შესახებ ცნობას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს, რომლის
თანახმად, ინციდენტი მახაჩკალაში, ხურშილოვის ქუჩაზე მოხდა
(<http://www.ambebi.ge/semtxveva/25555-daghestanshi-koloniis-ufrosi-mokles.html>).

*Cash-starved state governments are laying off public workers and selling off public
assets, including correctional facilities (with prisoners inside), while private security
companies, like Corrections Corporations of America (CCA) and G4S are profiting
immensely from them (<https://www.globalpolicy.org/pmscs/51520-locking-down-an-american-workforce.html?itemid=id>).*

როგორც ჯ. ბაუერსი და ქ. ფლეიდელ–პირსი თავიანთ სტატიაში „Swearing,
Euphemisms, and Linguistic Relativity“ აღნიშნავენ, სიტყვის ფონოლოგიურმა
ფორმამ შეიძლება გამოაღვიძოს უარყოფითი ემოციები სიტყვის ფორმულირების
მიხედვით. მაგალითად, ტაბუირებული სიტყვების გაჟღერებამ, შეიძლება
გამოიწვიოს ემოციური პასუხი, სემანტიკური შინაარსისგან დამოუკიდებლად. თუ
ეს სიმართლეა და ამას ამტკიცებენ ბაუერსი და ფლეიდელ–პირსი სტატიაში,
იმპლიკაციები ლინგვისტური თანაფარდობისთვის შედარებით პირდაპირია (the
implications for linguistic relativity are relatively straightforward).

ნათელია, რომ ჩვენ მოტივირებული ვართ ჩვენი ემოციებით და ჩვენვე
ვახდენთ საკუთარი ქცევების, ფიქრების და მიზნების ორგანიზებას იმისათვის,
რომ თავიდან ავიცილოთ ემოციური დისკომფორტი. შესაბამისად, იმის
გათვალისწინების გარეშე, რომ ძნელია ვისაუბროთ რაიმე საკითხზე ემოციურად

განპირობებული სიტყვების გარეშე, მაშინაც კი როცა შეტყობინების არსი არ არის უარყოფითი (ბაუერსი, ფლეიდელ – პირსი 2011:3).


ჩვენ ვამბობთ, რომ ევფემიზმები არის სასარგებლო, რადგან ის საშუალებას აძლევს მოსაუბრეს შეცვალოს შეურაცხმყოფელი ფორმა სხვა სიტყვებით, რომლებიც მსგავს აზრს გამოხატავს და არ არის დაკავშირებული პირობით პასუხთან. ეს თავის მხრივ საშუალებას აძლევს მოსაუბრეს დაფიქრდეს იმ საკითხზე, რომელსაც შეიძლება თავი აარიდოს.

ძირითადი არგუმენტი, რომ ტაბუირებული სიტყვები და ევფემიზმები რელევანტურია ლინგვისტური თანაფარდობის მოთხოვნებისა, დეტალურად არ არის შესწავლილი. მკვლევარი პინკერი თვლის, რომ ევფემიზმები ტყუილის ერთგვარი ფორმაა. აღნიშნული აზრის საილუსტრაციოდ ის შემდეგ მაგალითს „revenue enhancement“ (სახელმწიფო შემოსავლის გაზრდა) გვთავაზობს. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამ სიტყვას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს ვიდრე სიტყვას „taxes“ (გადასახადები) და როცა მსმენელი იგებს მას, ბუნებრივია ვარაუდობს, რომ თუ პოლიტიკოსი გულისხმობს „taxes“ მან უნდა გამოიყენოს სიტყვა „taxes“. როგორც პინკერი აღნიშნავს „Once a euphemism is pointed out, people are not so brainwashed that they have trouble understanding the deception“ (ბაუერსი, ფლეიდელ – პირსი 2011:3).

როგორც ჯ. ბაუერსი და ქ. ფლეიდელ – პირსი აღნიშნავენ, პინკერმა ძალიან იჩქარა, როცა უარყო ევფემიზმების თანაფარდობა ენასთან და აღიარა, რომ ევფემიზმები გამიზნულია მსმენელის მოსატყუებლად და შეცდომაში შესაყვანად, თუმცა ვერც იმის მტკიცებას შევუდგებით, რომ ამ სახის ევფემიზმები არ არსებობს. სიტყვა death, ხშირად ჩანაცვლებულია სიტყვით: passed away, ყოველგვარი მცდელობის გარეშე, რათა შეცდომაში შეიყვანოს მსმენელი თუ მოსაუბრე. მკვლევართა აზრით, ევფემიზმების როლის სრულყოფილი გაგება ენაში მოითხოვს ვერბალური პირობითობის როლის განხილვას.

როგორ შეიძლება განვითარდეს ევფემიზმები ვერბალური პირობითობის საპასუხოდ და როგორ შეესაბამება ლინგვისტური თანაფარდობის მოთხოვნებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია, თუკი დავაკვირდებით ქვემოთ

წარმოდგენით სქემას №1. პირობითი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ევფემიზმები შეუსაბამოა ლინგვისტური თანაფარდობის მოთხოვნებთან, განხილულია სქემაში 1ა. აქ, ძირითადი ვარაუდი არის ის, რომ სიტყვათა ფორმები გავლენას ახდენს ჩვენს ემოციებზე სემანტიკის მეშვეობით, ანუ მნიშვნელობებით. გამომდინარე აქედან, შეურაცხყოფელ სიტყვებს და ევფემიზმებს აქვთ განსხვავებული ემოციური გავლენა უბრალოდ იმიტომ, რომ ისინი გულისხმობენ სხვადასხვა რამეს (ეს განსხვავება საშუალებას აძლევს ევფემიზმებს ზოგ შემთხვევაში განამტკიცოს ტყუილი, როგორც აღნიშნავდა პინკერი) (ბაუერსი და ფლეიდელ – პირსი 2011: 3).



სქემაში 1 ა-ბ ასახულია მოსაზრება, რომ შეურაცხყოფელი სიტყვები და ევფემიზმები დაკავშირებულია ემოციებთან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვათა ფორმები ზეგავლენას ახდენს ჩვენს ემოციებზე სემანტიკის მეშვეობით, როგორც ეს ნაჩვენებია სქემაში ა. ამ თვალსაზრისით ევფემიზმები და შეურაცხყოფელი სიტყვები აბსოლუტურად სხვადასხვა რამეს აღნიშნავს, რადგანაც მნიშვნელობის მიხედვით ისინი მკვეთრად განსხვავდებიან და შესაბამისად იწვევენ განსხვავებულ რეაქციებს.

აქედან გამომდინარე, ევფემიზმები არის სასარგებლო მაშინაც კი, როცა მათი მნიშვნელობა ძალიან ახლოსაა შეურაცხმყოფელ სიტყვასთან, რადგანაც ისინი აჩვენებენ მცირე გამიჯვნას სემანტიკურ სივრცეში, ამიტომ ისინი ცვლიან შეურაცხმყოფელი სიტყვის ზედაპირულ ფორმას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის პირდაპირ აღვიძებს უარყოფით განცდებს.

როგორც ვნახეთ, სიტყვას უდიდესი ძალა აქვს და ის უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. სიტყვების მეშვეობით საზოგადოების ნაწილი მანიპულირებს სხვის გრძნობებზე, ნაწილი თავაზიან ფორმებს მიმართავს, ეს ყოველივე კი დამოკიდებულია ინდივიდზე, თუ რომელ ლინგვისტურ ფენომენს აირჩევს მეტყველებისას, იქნება ეს ევფემიზმი თუ დისფემიზმი.

თავი III

დისფემიზმების ლინგვისტური თავისებურებები

3.1. დისფემიზმის მნიშვნელობა და ეტიმოლოგია

როგორც წინა თავში შევნიშნეთ, ევფემიზმი ეს არის უხეში, უარყოფითი ან შეურაცხმყოფელი სიტყვების და გამონათქვამების ჩანაცვლება რბილი და უფრო დადებითი გამონათქვამით, ანუ თუკი არ გვსურს ვისმეს გარდაცვალებაზე პირდაპირ ვისაუბროთ, ეს ფატალური სიტყვა 'die' (სიკვდილი) შეიძლება შერბილებულად, ე. ი ევფემისტურად წარმოვადგინოთ. ასეთი სახის ევფემიზმები კი, როგორც ვიცით, მრავლად არსებობს როგორც ინგლისურში, ისე ქართულ ენაში.

ინგლისური	ქართული
Passed away	განისვენა
Is no longer with us	არ არის ცოცხალთა შორის
Expired	ჩაიღურის წყალი დალია
Departed	საიქიოს გაემგზავრა
Deceased	დაასრულა ცხოვრება
Join majority	გარდაიცვალა, სული განუტევა

როგორც სიტყვა „გარდაცვალება“ შეგვიძლია ჩავანაცვლოთ სხვადასხვა დადებითი გამონათქვამით, ასევე შეგვიძლია მისი ჩანაცვლება უხეში სიტყვებით, როგორებიცაა:

ინგლისური	ქართული
Croaked	ჩაძაღღდა
Kicked the bucket	მოუსავლეთში წავიდა, ფეხები გაჭიმა/გაფშიკა
Bit the dust	მიწად გადაიქცა

ასეთ შემთხვევაში გამოიყენება დისფემიზმები, რომლებიც ევფემიზმის საპირისპირო ტერმინს წარმოადგენს, ანუ, დისფემიზმი არის დადებითი ან ნეიტრალური სიტყვის უარყოფითი, არასასიამოვნო ან შეურაცხმყოფელი სიტყვით ჩანაცვლება.

1884 წელს ტერმინ „დისფემიზმს“ განმარტავენ როგორც „ღირსეული და ნორმალური სიტყვების ჩანაცვლებას ვულგარული ან შეურაცხმყოფელი სიტყვებით და გამონათქვამებით“. სიტყვა „დისფემიზმი“ მომდინარეობს ბერძნულიდან dys - „ცუდი, არასწორი, რთული“, pheme - „საუბარი“. ბერძნული დისფემია ნიშნავს „საზიანო, ცუდ ენას, სიტყვათა არასათანადო ნიშანს“ (Hughes 2006:24). ფრანგი ფსიქოლოგი Albert J. Carnoy გვამღევეს ტერმინ „დისფემიზმის“ ვრცელ განმარტებას თავის ნაშრომში „Le Sience du Moto,“ სადაც წერს: „დისფემიზმი არის შეუბრალებელი, სასტიკი, დამცინავი. ის არის რეაქცია პედანტიზმის, სიმკაცრის წინააღმდეგ, აგრეთვე კეთილშობილების და ღირსების წინააღმდეგ“ (Hughes 2006:25).

სხვადასხვა ლექსიკონი დისფემიზმის უმნიშვნელოდ განსხვავებულ განმარტებას იძლევა, მაგრამ ძირითადი აზრი ყველასთვის ერთია: უწყინარი სიტყვის ან ფრაზის ჩანაცვლება დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი სიტყვებით ან ფრაზებით (<http://www.collinsdictionary.com/dictionary/english/dysphemism>).

სასიამოვნო და უვნებელი სიტყვების ჩანაცვლება არასასიამოვნო, შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი სიტყვებით ან გამონათქვამებით (<http://www.merriam-webster.com/dictionary/dysphemism>).

დისფემიზმი არის შეურაცხმყოფელი კონოტაციის გამონათქვამი. ის გამოიყენება, რათა დავძრახოთ ესა თუ ის მოვლენა ან ფაქტი. დისფემიზმი ეს არის თავაზიანი წესების დარღვევა (Allan, Burridge 2006: 11).

დისფემიზმების შემდეგ ტიპებს გამოყოფენ:

- სინეკდოქე გამოიყენება, რათა აღვწეროთ რაღაც ნაწილით, ერთი მთლიანი, მაგალითად სიტყვა „bread” შეიძლება გამოყენებული იყოს საკვების ან ფულის ნაცვლად ზოგადად. (music is my bread and butter)
- დისფემისტური ეპითეტები ან მეტაფორული დისფემიზმები (მათ შეიძლება ასევე ვუწოდოთ ზოონიმური დისფემიზმები) - ცხოველთა სახელები გამოყენებულია ადამიანის მიმართ “pig, bitch, rat, dog or snake”.
- ევფემისტური დისფემიზმი - როცა რბილი გამონათქვამები გამოიყენება შეურაცხყოფის გარეშე.
- დისფემისტური ევფემიზმები - გამოიყენება როგორც დაცინვა ახლო მეგობრებს შორის, ყოველგვარი შუღლის გარეშე, მაგალითად „looking piggy“ (ორსულ ქალზე იტყვიან).
- სახელწოდების დისფემიზმები - გამოიყენება, როცა ვიღაცას მივმართავთ სახელით და არა წოდებით, მაგალითად “How are you Bill?” (ნაცვლად Uncle Bill)
- არავერბალური დისფემიზმები - გამოიყენება როცა ვიღაცას შეურაცხყოფენ ჟესტებით.
- კროსკულტურული დისფემიზმები - ერთ კულტურაში სხვადასხვა სლენგი გამოიყენება როგორც დისფემიზმი, მაგრამ მეორეში შეიძლება მას ჰქონდეს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა. მაგალითად, “fag” გამოიყენება გეი კაცის მიმართ ამერიკულ ინგლისურში, ხოლო იგივე სიტყვა ბრიტანულ

დისფემიზმები ხსირად გვხვდება ისეთი უდიდესი მოღვაწეების შემოქმედებაში როგორებიც არიან უილიამ შექსპირი და ჯეიმს ჯოისი.

A Portrait of the Artist as a Young Man

— Sons of bitches! **cried Mr.Daedalus. When he was down they turned on him to betray him and rend him like rats in a sewer. Low-lived dogs! And they look it! By Christ, they look it! They behaved rightly, cried Dante. They obeyed their bishops and their priests. Honour to them!**”

(James Joyce, 1916: 38)

HAMLET

Oh, that this too, too **sullied flesh** would melt,
Thaw, and resolve itself into a dew,
Or that the **Everlasting had not fixed**
His canon 'gainst self-slaughter! O God, God.....
Fie on't, ah fie! 'Tis an unweeded garden
That grows to seed. ...

So excellent a king, that was to this

Hyperion to a satyr.....

(William Shakespeare, between 1599 and 1602:15).

დისფემიზმები გამოიყენება დეგრადაციის ან პიროვნების დამცირების მიზნით. როცა მოსაუბრე იყენებს ამ მეთოდს, ის იყენებს პირდაპირ გამოხატულ ფორმებს, რომლებიც მიმართულია გარკვეული ჯგუფის ან მსმენლის მიმართ. დისფემიზმები ხშირად გამოიყენება ლიტერატურულ ტექსტებში, პოლიტიკურ გამოსვლებსა და ყოველდღიურ მეტყველებაში. ყოველდღიურ მეტყველებაში გამოიყენება შემდეგი დისფემიზმები: „Snail mail“- გამოიყენება საფოსტო

შეტყობინების ნაცვლად, სიგარეტი ჩანაცვლებულია დისფემიზმით „Cancer stick“, გენიოსს მოიხსენიებენ, როგორც „Egghead“ და გარდაცვლილს „Worm food“, ხოლო პოლიციელს „Pig“ და ტყუილს ჩანაცვლებენ სიტყვით „Bullshit“.

*Shortly after that, we asked all new members of the group to provide postal addresses, with the excuse that sensitive material is better sent by **snail mail** than email (<https://www.globalpolicy.org/pmscs/52231->).*

*The **egghead** Eastern lawyer who lacks the skills or stomach for a gunfight is contrasted with the tough Western rancher and ace shot who has no patience for book learnin (http://www.nytimes.com/2011/09/18/opinion/sunday/dowd-egghead-and-blockheads.html?_r=0).*


*Morrison was a fierce critic of Philips, standing up at last year's annual shareholders' meeting to lambaste his strategy as "**bullshit**" (<http://www.nytimes.com/reuters/2015/05/15/business/15reuters-morrison-ceo.html>).*

3.2. დისფემიზმების კლასიფიკაცია და მათი სემანტიკური თავისებურებები

კულტურული ნორმები ადამიანისაგან მოითხოვს, იპოვოს ან შექმნას ახალი სიტყვები ენაში, რომლებიც გარკვეულ პირობებში ემსახურებიან შემდეგს „ჩანაცვლონ ისეთი სიტყვები, რომლებიც მოსაუბრისათვის არასასურველია, არ არის თავაზიანი ან ძალიან პირდაპირია“. ლინგვისტიკაში ასეთმა სიტყვებმა და გამოთქმებმა ევფემიზმების სახელწოდება მიიღეს. ევფემიზმების მთავარი მიზანია, თავიდან აიცილოს კომუნიკაციური კონფლიქტი. ევფემიზაციის მიზანსა და პროცესს ეწინააღმდეგება დისფემიზაციის პროცესი, რომელიც ობიექტს და მოვლენას აღნიშნავს უფრო მეტი ვულგარულობით ან სიუხეშით.

სათქმელი შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. ალანი და ბარიჯი ენის გამოხატვის ორ გზას გამოყოფენ: პრივილეგირებულს და არაპრივილეგირებულს. პირველში ისინი აერთიანებენ ორთოევფემიზმებს

(ორთოფემიზმი ეს არის ნეიტრალური სიტყვები და გამონათქვამები. ეს ტერმინი ალანისა და ბარიჯის მიერ არის შექმნილი და პირველად ავტორებმა გამოიყენეს 2006 წელს წიგნში „აკრძალული სიტყვები“) და ევფემიზმებს, ხოლო მეორეში დისფემიზმებს. ჩვენ არაპრივილეგირებულ მეთოდს დავამატეთ კაკოფემიზმები (განზრახ შეურაცხყოფელი სიტყვები და გამონათქვამები) და წარმოგიდგინთ სქემის ჩვენეულ ვერსიას:



უმუშევარი	დაუსაქმებელი	უენარა	უსაქმური
ეკონომიური	დამზოგველი	ძუნწი	კრიჟანი
Careful	Thrifty	Sstingy	Niggard

როგორც დისფემიზმებისთვის, ისე კაკოფემიზმებისათვის დამახასიათებელია უხეში მეტყველება, თუმცა მათ შორისაც არის მცირეოდენი განსხვავება. დისფემიზმი შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი ან უბრალოდ ხუმრობით განმკიცხავი, ხოლო კაკოფემიზმი, როგორც წესი, არის განზრახ შეურაცხმყოფელი. კაკოფემიზმური ენა არის უხეში, მტკივნეული, უკმეხი, ვულგარული გზა ნეიტრალური სიტყვების ჩასანაცვლებლად. ზოგიერთი სიტყვა უკიდურესად ვულგარულია, მაგრამ არა სრულიად უხამსი (ანუ არ არის სრულიად ტაბუდადებული თავაზიან საზოგადოებაში) ეს ის სიტყვებია, რომლებიც შეურაცხმყოფელია, მაგრამ არა შოკის მომგვრელი. ასე მაგალითად: puke, stinks, belly, croak (Allan, Burrigde 2006: 49).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დისფემიზმები, მალფემიზმები, ევფემიზმები, კაკოფემიზმები არის სიტყვები და გამონათქვამები, რომლებიც განზრახ, ეფექტის მოსახდენად გამოიყენება.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხოველის ან ფრინველის სახელით ადამიანზე მიმართვა დისფემისტურია. დისფემიზმების ასეთი გამოყენება გვხვდება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში. ქვემოთ მოცემულია ცხოველთა სახელები და მათი განმარტებები, თუ ადამიანის რომელ თვისებას ესმება ხაზი ცხოველების სახელების გამოყენებით. ასეთი ტიპის დისფემიზმებს შეიძლება ვუწოდოთ მეტაფორული.

Donkey - a stupid, foolish, or stubborn person

Coot - a foolish or crochety person, especially one who is old

Old bat - an irritating or eccentric woman

Pig - a person of piggish character, behavior, or habits, as one who is gluttonous, very fat, greedy, selfish, or filthy.

Chicken - a young or inexperienced person, especially a young girl

Snake – a treacherous person

Parrot - a person who, without thought or understanding, merely repeats the words or imitates the actions of another.

The **Ministerial Parrot**. **Father Dods Bird**. An account of the wonderful poll that used to speak at religious meetings. From the Providence Journal (<http://query.nytimes.com/gst/abstract.html?res=9C01E0DA113A>).

That economists are **ex-parrots**. They have gone to meet their maker (<http://krugman.blogs.nytimes.com/2010/10/01/parroting-brad>).

მეტაფორულ დისფემიზმებს ქართულ მენტალობაშიც ვხვდებით. ადამიანების მისამართით ქართულში შემდეგ დისფემისტურ სახელებს ვიყენებთ:

გველი - ცბიერი და ავი სულის მქონე ადამიანის მიმართ იყენებენ

ღორი - ამ დისფემიზმს ქართულში ვიყენებთ ა) ისეთი ადამიანის მიმართ, რომელსაც ყველაფერი საკუთარი თავისთვის უნდა; ბ) ადამიანის მიმართ, რომელიც ბევრს ჭამს.

თუთიყუში - ადამიანი, რომელიც იმეორებს სხვის სიტყვებს;

ქათამი - სუსტი გონების მქონე ადამიანის მიმართ;

ძუკნა (მაღლი) - სუსტი ნებისყოფის ადამიანი;

მაიმუნი - უზრდელი ადამიანის მიმართ გამოიყენება;

ვირი - უგუნური და ჯიუტი ადამიანის მიმართ გამოიყენება;

სპილო - უზომოდ მსუქანი ადამიანი.

მსგავსი სახის დისფემიზმებს ხშირად ვხვდებით საგაზეთო ტექსტებშიც, მეტწილად პოლიტიკოსები მას იყენებენ სხვადასხვა პიროვნების შეურაცხყოფისა და დისკრედიტაციის მიზნით.

აქედან მინდა შევუთვალო ირაკლი ღარიბაშვილს - თავი არ დაუხაროს ამ ყვავ-ყორნებს, რომლებმაც დიდი ხანია, თავიანთი ბინძური ბიოგრაფიები გამოამყლავნეს! („ასავალ-დასავალი“ №49, 2014: 3).

როდესაც საქართველოს ასეთი ადამიანი ჰყავს, არ მესმის, რომ მისით არ ამყოზდე. ეს ჭიები კიდევ ედრებიან რობერტ სტურუას („კვირის პალიტრა“ №3, 2013:4).

ბოკერიას ცოლი ყოფილა ჩემს სახლში და არ ვიცოდი. ბიჭებმა მითხრეს, თურმე ეგ მაიმუნი ყოფილა მოსული. რომ გამეგო, სულ ჯოხის ცემით გავაგდებდი სახლიდან! ეგ წუპაკი მამაძალი, კაბაწამოხდილი მაიმუნი!“- განაცხადა ბათირაშვილმა (<http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=63317&lang=geo>).

აკაკი წერეთლის „ღამურა“ ხომ გახსოვთ? იანუკოვიჩი იყო ღამურა, რომელმაც არჩევნებში გაიმარჯვა რუსეთთან თანამშრომლობის მომხრეთა ხმებით და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ევროპის მოკავშირეობა მოინდომა („ასავალ-დასავალი“ №49, 2014:17).

რაც შეეხება „რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას, ჩააცვით პატარა „ლასტები“ და ზედგამოჭრილი სამხრეთ-აფრიკული პინგვინია („ასავალ-დასავალი“ №7, 2015:3).

საკაშვილის წრუწუნა სამშაბათს ტელევიზორში იქნება („ასავალ-დასავალი“ №23, 2015:1). აღნიშნულ განცხადებაში წრუწუნად წოდებულია ადგიშვილი.

მოსაუბრე იყენებს დისფემიზმებს ადამიანებთან საუბრისას მათი ზოგადად, გაღიზიანების და წყენინების მიზნით. მოასუბრეს სურს, დაამციროს და

შეურაცხეოს მსმენელი. ნებისმიერი დამამცირებელი კომენტარი მიმართული სხვების მიმართ რათა შეურაცხეოს ან ჭრილობა მიაყენოს მსმენელს, დისფემისტურია. დისფემიზმებს აქვთ უნარი წარმოშვან უთანხმოება, მაგალითად: თუ ვინმე ფორმალური სადილის დროს იტყვის I'm off for a piss, ვიდრე Excuse me for a moment გამონათქვამს ექნება დისფემისტური ეფექტი. (Allan, Burridge 2006: 35).

ალანი და ბარიჯი საუბრობენ ორი სახის დისფემიზმზე: სტანდარტული (conventional) და საზოგადო (general). საზოგადო დისფემიზმი გადმოსცემს უარყოფით დამოკიდებულებას ან თვალსაზრისს რაღაც მოვლენის მიმართ. მაგალითად „egghead“ – „genius“, „henchman“ – „associate“, „dead-tree“ – „hard copy“ და ა.შ. სტანდარტული (conventional) დისფემიზმი მეორე მხრივ ყურადღებას ამახვილებს სოციალურ ნორმებზე, ვიდრე მოსაუბრის გრძნობებზე. მათ შეიძლება ჰქონდეთ დადებითი მნიშვნელობა ზოგიერთ საზოგადოებრივ სიტუაციაში, მაგრამ ამავდროულად იყოს უხეში სხვა სიტუაციებში. *crap*->*feces*; *fat* ->*overweight* (Allan, Burridge 2006: 49).

ზოგიერთი იუმორისტული გამონათქვამი შეიძლება იყოს ევფემისტური ან დისფემისტური. ეს დამოკიდებულია კონტექსტზე, რადგანაც ტერმინი, რომელიც არის ევფემისტური, ის შეიძლება იყოს რბილი გამონათქვამიც. მაგალითად, ინგლისურში „*pushing up daisies*“ ნიშნავს გარდაცვალებას და ის შეიძლება იყოს როგორც რბილი, ისე უხეში. ასეთი ცვლილება შეიძლება იყოს კულტურულიც. მაგალითად, „*twit*“ არის იდიოტის დისფემიზმი, მაგრამ ბრიტანულ ინგლისურში თითქმის ყოველთვის არის იუმორისტული ან რბილი ტერმინი. მსგავსი მაგალითებია: *Idiot box* - ტელევიზორი; *Worm food* - გარდაცვლილი.

All of us, one day, will be pushing up the daisies or going to meet our maker and we might as well be euphemistic when we finally give up the ghost

(<http://schott.blogs.nytimes.com/2010/07/09/weekend-competition-kicking-the-bucket/?gwh=BCD582CE3FE45582979246DEC35FA8FB&gwt=pay>).

აღნიშნულ მაგალითში ევფემიზმი „*pushing up the daisies*“ და კიდევ ორი სხვა ევფემიზმი რბილი ფორმითაა გამოყენებული. ყველა მათგანი გარდაცვალებას ნიშნავს. მომდევნო მაგალითში კი იგივე ფრაზა „*pushing up the daisies*“ უხეში ფორმითაა გამოყენებული.

That economists are ex-parrots. They have gone to meet their maker. They are pushing up the daisies (<http://krugman.blogs.nytimes.com/2010/10/01/parroting-brad>).

როგორც ალანი და ბარიჯი განმარტავენ, დისფემიზმი წარმოიქმნება იმავე პროცესიდან, რომლისგანაც ევფემიზმი. დისფემიზმი ხშირად ასახავს პროცესს, რომელსაც ეწოდება დამცირება, შეურაცხყოფა. ეს პროცესი შეიძლება იყოს ძალიან სწრაფი: ჩვენ მოწმენი ვართ იმ ენობრივი ცვლილებებისა, რომელნიც ეთნიკური და სხვა ჯგუფის წევრთა მიმართ შეინიშნება.

Indian - Native American

Negro - Colored (person) - Black - African-American

Jew - Jewish person

Cripple - Handicapped person - Disabled person - "Differently abled"

(Mentally) retarded - developmentally disabled / mentally handicapped –

კიდევ ერთი პროცესი, რომელშიც დისფემიზმებია ჩართული, არის განზოგადება. ამ შემთხვევაში დისფემისტური ტერმინი დაკავშირებულია სიტყვათა ჯგუფთან უფრო ზოგადი, ნეიტრალური მნიშვნელობით.

That TV show is so gay / lame / retarded

ევფემიზმები და დისფემიზმები ცენტრალურ როლს ასრულებენ რაციონალიზაციის საკითხშიც. როდესაც ვინმეს ვუწოდებთ „ტერორისტს“, ამ სიტყვას ვიყენებთ იმისთვის, რომ წარმოვაჩინოთ პიროვნება უარესად ვიდრე, ის რეალურად არის, ხოლო როცა იმავე პიროვნებას ვუწოდებთ „Freedom fighter“,

ევფემიზმის საშუალებით ვცდილობთ უხეში ფრაზის შერბილებას და პიროვნების უკეთესად წარმოჩენას (Allan, Burrridge 2006:39).

*That means the Kurds who are fighting for freedom are not **freedom fighters**. Our State Department has officially labeled them as **terrorists** and rightly so* (<https://www.globalpolicy.org/component/content/article/190/38803.html>).

როდესაც ჩვენ სიტყვებს ევფემიზმებით ვცვლით, ვთვლით, რომ მათ უფრო ნაკლებად აღმაშფოთებელი კონოტაცია აქვს. დისფემიზმის შემთხვევაში კი საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. შედარებით უფრო ნეიტრალური სიტყვა შეცვლილია უხეში და შეურაცხმყოფლით. ასე მაგალითად, თუკი ელექტროშოკის ნაცვლად ვიტყვით "taking the hot seat" ან კიდევ უფრო დისფემისტურ სიტყვას "to fry" (Allan, Burrridge 2006:41).

მახოს გვარი გაიგეთ, ეგ არის ელექტროშოკით წამების სპეცი („ასავალ-დასავალი“ №49, 2014:8).

როდესაც ადამიანი სიტუაციაში ერკვევა და მიმართავს დისფემიზმს, ის შეიძლება იყოს ერთი სიტყვა, ფრაზა ან სულაც მთელი წინადადება. აქედან გამომდინარე შესაძლებელია დისფემიზმების სინტაქსური დაყოფა. ისინი შეიძლება იყოს წინადადების სტრუქტურის მქონე, ფრაზული ან ერთი სიტყვით გამოხატული. სინტაქსური დისფემიზმების კარგი მაგალითებია:

იმ ხალხს, რომელიც ერთსა და იმავე ჭურჭელს ხან ღამის ქოთნად ხმარობს და ხან სასმისად, ვერ მოვიწონებ („კვირის პალიტრა“ № 3, 2013:4).

ამ დისფემიზმით პოლიტიკოსი ამბობს, რომ ხალხი, რომელიც ერთსა და იმავე პიროვნებას ხან ღამის ქოთნად, ხან კი სასმისად იყენებს, არ არის მოსაწონი.

„ბევრი ბერკეტი წაერთვა პრეზიდენტს. ამ პოლიტიკური ლემის შენახვა ძალიან ძვირი უჯდება ქვეყანას“ („კვირის პალიტრა“ № 3, 2013:7).

3.3. დისფემიზმთა კლასიფიკაცია ლექსიკურ-სემანტიკური

კატეგორიის მიხედვით

დისფემიზმთა კლასიფიკაციის პრობლემის გადაჭრა უნდა დაიწყოს იმ პროცესთა მცირე დიაქრონიული ექსკურსით, რომელიც ხდება იმ ადამიანების ენაში, ცნობიერებაში, აზროვნებაში, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მის შექმნაზე. ეს ისევ გვაბრუნებს „ტაბუს“ ცნებასთან. რა თქმა უნდა, იმ თვალსაზრისით, რომ გარკვეული რელიგიური და მორალური მიზეზების გამო, დროებით ან მუდმივად, მკაცრი რეგულაციების და ტრადიციების შესაბამისად, ენობრივი კოლექტივის ყველა ან ზოგიერთი წევრის მიერ, ყველა ან განსაკუთრებულ სიტუაციებში გარკვეული ტაბუდადებული სიტყვები და გამონათქვამები უნდა გამოირიცხოს მეტყველებაში გამოყენებიდან.

შესაბამისად, დისფემია ჩნდება ზუსტად ამ ტაბუდადებული ლინგვისტური ფორმების საფუძველზე.

დისფემიზაციას წარსულსა და თანამედროვე მსოფლიოში აქვს სხვადასხვა კოგნიტური საფუძველი. დღეისთვის მას ექვემდებარება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ძირითადად ფიზიკური და გონებრივი უარყოფითი მხარეების, ადამიანური მისწრაფებების, ფიზიოლოგიური ფუნქციების, ასევე რასობრივი კუთვნილების გამომხატველია ანუ ცხოვრების იმ სფეროების, რომელთა გახსენებასაც საზოგადოების დიდი ნაწილი ცდილობს გაექცეს (Резанова А.Н 2008:4).

ზემოაღნიშნული სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს შემდეგი კონცეპტუალური სფეროები და ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორიები, სადაც ყველაზე ხშირად გვხვდება დისფემიზმები, როგორც ევფემიზაციის განუყოფელი ნაწილი (Резанова 2008:4).

ა. რეზანოვას მიერ გაკეთებული კლასიფიკაცია შეესაბამება ქართულსაც. ჩვენ შევეცადეთ ეს კლასიფიკაცია გაგვემრავალფეროვნებინა ქართული მაგალითებით და დავამატეთ კიდევ ერთი, მეექვსე კატეგორია. ა. რეზანოვას განხილული აქვს

თანამედროვე ინგლისური ენის დისფემიზმთა ლექსიკურ-სემანტიკური დონე და მათი ფუნქციური და პრაგმატიკული თავისებურებანი.

1.ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორია: დისფემიზმები, რომლებიც აღნიშნავს ცნებებს „სიკვდილი,“ „დაავადება,“ ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობები, ასევე არტეფაქტები, რომლებიც ასოცირდება ამ მდგომარეობებთან.

თანამედროვე ინგლისურ ენაში ამ კატეგორიის დისფემიზმი წარმოადგენს უდიდეს სინონიმურ რიგს, რომელიც მუდმივად განახლებადია. მეოცე საუკუნეში მსოფლიო ომებთან დაკავშირებით ისინი შეივსო ახალი გამონათქვამებით.

ბევრი დისფემიზმი გვხვდება ფსიქიკური და ფიზიკური დეფექტების მქონე ადამიანების მიმართ, რაც ცხადყოფს იმას, რომ მათ მიმართ თანადგომას საზოგადოება არ გამოხატავს. დისფემიზმების განზრახ გამოყენება კი იწვევს ტაბუდადებული ცნებების ნორმების დარღვევას. მოსაუბრეთა მიზანი ასეთ შემთხვევაში შეიძლება საკმაოდ განსხვავებული იყოს, რაც კარგად ჩანს შემდეგ მაგალითებში:

“It didn’t look like there was anything in the park except dog crap”(J.D. Salinger, ODMS, 1993 : 44).

“They’d crapped on the floor, in the same rooms they’d slept in”(A. Baron, ODMS, 1993 : 44).

“And what a load of crap it was”(Punch, ODMS, 1993).

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კონტექსტი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ დისფემიზმების გამოყენების მიზეზი არის ემოციური მდგომარეობა, კერძოდ, ისეთი გრძნობები, როგორებიცაა: გაღიზიანება, რისხვა, მტრობა. ამგვარად, მეორე მაგალითში, მოსაუბრე გამოთქვამს უკმაყოფილებას, აღშფოთებასაც კი მათი ნაცნობების უხეშობის გამო და იყენებს ვულგარიზმს „to crap“, არ ითვალისწინებს ფაქტს, რომ გამონათქვამი არის ძალიან უხეში და არ შეესაბამება მოსაუბრის

სოციალურ სტატუსს. ბოლო მაგალითი აღებულია ჟურნალიდან „Punch“ და შეიცავს ახლახანს გამოქვეყნებული წიგნის მიმოხილვას. სტატია დაიწერა ცნობილი კრიტიკოსის მიერ, ამიტომაც სიტყვა „crap“-ის გამოყენება ამ კონტექსტში ჟღერს გამომწვევად, პროვოკაციულად (Резанова 2008:5).

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ქართულში გამოიყენება დისფემიზმები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ. ადამიანს, რომელსაც მხედველობა დაქვეითებული აქვს და ატარებს სათვალეს მოიხსენიებენ, როგორც „ოთხთვალას“, მოძრაობაშეზღუდულს კი მოიხსენიებენ როგორც „ოთხფეხას“. ფიზიკურად დაბალ ადამიანს უწოდებენ „ლილიპუტს“, უსახლკარო პატარებს/მოხუცებს - „უპატრონოებს.“ ეს დასანანი ფაქტია.

ამ ქვეჯგუფს მიეკუთვნება ასევე სიტყვა „meatwagon“-ის გამოყენება, მნიშვნელობით „ambulance“. მისი მრავალჯერადი გამოყენება მედიასა და თანამედროვე ლიტერატურაში გამოწვეულია მსოფლიოში განვითარებული მოვლენებით: ტერორისტულ აქტებით, მძიმე კრიმინოგენულ ვითარებით, რასაც შედეგად ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვება. ეს ყველაფერი, მიუხედავად მისი სოციალური სტატუსისა, კლასობრივი კუთვნილებისა, თუ საზოგადოებაში დაკავებული ადგილისა, მოსაუბრეს უქმნის პირობას გამოიყენოს ასეთი უხეში სიტყვები. უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა «meatwagon»-ის გამოყენების მიმართ უმაღლესი „ინტერესი“ დაფიქსირდა 2001 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერორისტული თავდასხმებისა და 2003 წელს ერაყში საომარი მოქმედებების დასაწყისში. პრესაში „ambulance“ პრაქტიკულად ჩაანაცვლა სიტყვამ „meatwagon.“ ნათელია, რომ ომისა თუ სხვადასხვა კატასტროფის დროს მედია მდიდარია დისფემიზმებით, რაც დაკავშირებულია მიმდინარე მოვლენებთან. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითებს:

An Iraqi battalion had blundered badly, sending thinly armored personnel carriers across the border into a **meat grinder**, where Saudim and American missiles had all but demolished the invaders (<http://www.nytimes.com/1991/03/03/magazine/the-military-vs-the-press.html>).

Court stay delays **meat grinder ruler**, the date for enforcement of a new city regulation requiring butchers to place their meat grinders in full view of the public was postponed temporarily, by a court (<http://query.nytimes.com/gst/abstract.html?res=9E0CE6D9123FE036A05752C0A9629C946391D6CF>).

"General Eisenhower realizes," Senator Duff said, "that we cannot continue indefinitely in Korea in a **meat grinder operation** wher the Chinese With their 450,000,000 population can lose 100 (<http://query.nytimes.com/search/sitesearch/?action=click&contentCollection®ion=TopBar&WT.nav=searchWidget&module=SearchSubmit&pgtype=Homepage#/a+meat+grinder/since1851/allresults/10/>).

ქართულ პრესაშიც მოგვეპოვება საომარ ქმედებებთან დაკავშირებული, ასევე გარკვეულ ჯგუფებს შორის დაპირისპირების შედეგად წარმოქმნილი დისფემიზმები:

ბურუსით არის მოცული თავდაცვის სამინისტროს მზვერავის, უფროსი სერჟანტის როინ შავაძის გაუჩინარება-მკვლელობაც, რომელიც 2008 წლის 16 აგვისტოს სოდ-ის სპეცრაზმმა ბათუმის ცენტრში დააკავა. მოგვიანებით შავაძე აჭარა-გურიის საზღვარზე, სოფელ ქაქუთთან დახვრეტილი იპოვეს (<http://www.kvirispalitra.ge/justice/21923>).

საიდან უნდა ვიცოდეთ?! სააკაშვილის რეჟიმისას ჩემს აგარაკზეც აპირებდნენ სპეცოპერაციის ჩატარებას, „ვერტალიოტებით“ მელოდებოდნენ, იმ დილით გლდანში წკრიალაშვილი ჩაცხრილეს. ისევ ყველას ვეკითხები, რატომ არ დამკითხეთ? ბევრი რამ ვიცი, რისი თქმაც მხოლოდ გამოძიებისთვის მინდა, მაგრამ არავის აინტერესებს (<http://www.kvirispalitra.ge/politic/24043>).

აღნიშნული მაგალითები ხაზს უსვამს ტრაგიკულ მოვლენებს, ხოლო მათი გადმოცემა დისფემიზმებით კიდევ უფრო ამწვავებს ფაქტს.

ამ ფართოდ გამოყენებული დისფემიზმების მაგალითების ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ ამ ლექსიკურ კატეგორიას, ისტორიული და კულტურული წინაპირობების გამო, ძალიან ხშირად ვიყენებთ და იკვეთება

ტენდენცია, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს მომავალში, რომელთა შორის ყველაზე აშკარა არის შემდეგი:

1. საზოგადოებაში გაზრდილი ემოციური მდგომარეობა (აღელვება, აღშფოთება) მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით;

2. ფართო სოციალურ მასებში სულიერების არარსებობა;

3. საზოგადოების გულგრილობა მოვლენებისადმი.

2. **ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორია: დისფემიზმები, რომლებიც დაკავშირებულია კრიმინალური სფეროს ფართო სპექტრთან.**

ეს კონცეფცია მოიცავს დისფემიზმებს, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროსთან: ნარკოტიკები, პროსტიტუცია, თაღლითობა, მკვლელობა და ა. შ.

დისფემიზმის გამოყენება ოდითგანვე იყო განხილვისა და დაგმობის საგანი და ფასდებოდა როგორც სამარცხვინო მეტყველება, მაგრამ ადრე გასაგები მიზეზების გამო, კულტურული წრის, ელიტის, ადამიანებისათვის მსგავსი ცნებები ჩანაცვლებული იყო უფრო მისაღები ფორმებით. იკვეთება ტენდენცია, „ყოველ საგანს დაერქვას თავისი სახელი.“

1997 წელს ჩემი ოჯახი გერმანიაში წავიდა, ლტოლვილის სტატუსი მივიღეთ და ნიუმბერგთან ახლოს პატარა დაბაში ვცხოვრობდით... იქ მყოფი ქართველების უმრავლესობა „წამალზე იჯდა“, მე ისევ მარიხუანას ვეწეოდი (<http://www.kvirispalitra.ge/versia/16645-plekhanoveli-narkomanis-aghsareba-heroinidan-krakadilamde.html>).

მაინც არაფერი უშველის საქმეს, სადაც მთავარი მოწმე ამბობს, რომ „**დაბოლილი**“ იყო, ანუ მარიხუანა ჰქონდა მოწეული. გააჩერეს, არ დააკავა სოდმა და ძვირადღირებული მანქანაც გადაუფორმა. ანუ სოდმა **დაბოლილ** უცნობ

მოქალაქეს ჯიბი ჩაუდო“- დაწერა ჟორჟოლიანმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე (<http://www.geotimes.ge/index.php/ge/city-times/news/item/1194-2014-09-26-15-03-22>).

ახალი გზის მშენებლობის დროს ჩემთვის უთქვამთ გამოცდილ გეოლოგებს და ჰიდროლოგებს, რომ ის რაც კეთდებოდა, ბუნების კანონების აბუჩად აგდება იყო. მახსოვს, ერთმა ასაკოვანმა „ჩარეცხილმა“ სპეციალისტმა მდინარე ვერეს კალაპოტში ზოოპარკთან მიმდებარე უბანზე ბრჭყვიალა გოფირებული მილისკენ გაიშვირა ხელი და მითხრა: „ვერე ასეთ დაცინვას ვერ აიტანს, მოვარდება ერთხელაც და ჩარეცხავს ყველაფერს“ (<http://www.kvirispalitra.ge/petre-mamradzis-blogi/25522-aghmsheneblobaq-katharzisi-da-cinizmi.html>).

რა თქმა უნდა, ამ ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორიების მნიშვნელოვან ქვეჯგუფს წარმოადგენს პროსტიტუციის თემასთან დაკავშირებულ ლექსიკაზე აგებული დისფემიზმები, ასეთებია: ინგ. Bitch, იგივე დისფემიზმი გვაქვს ქართულშიც „ძუკნა“.

არაერთი სტატია მიემდგნა პროსტიტუციის თემას და შესაბამისად, უამრავი დისფემიზმია გამოყენებული გაზეთის ფურცლებზე. ზოგ შემთხვევაში ჟურნალისტი განზრახ სცილდება ნორმის ფარგლებს, რათა ნათელი გახადოს და აჩვენოს რეალური პრობლემა რეალურ სამყაროში.

მსგავსი მდგომარეობა აღინიშნება ნარკოტიკების პრობლემასთან დაკავშირებითაც, რაც თანამედროვეობის წესად იქცა. როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში მრავლად გამოჩნდა ვულგარიზმები, რომლებიც აღნიშნავს ნარკოტიკების დასახელებას, მათი მიღების პროცესს და თავისთავად ნარკოტიკდამოკიდებულ პირებს.

თვით სიტყვა *ნარკომანიც* დისფემისტურია შემდეგ კონტექსტში, რადგან ის სალანძღვადაა გამოყენებული. მოცემულ მაგალითში ის სახელმწიფო წარმომადგენლების მიმართ არის გამოყენებული. გარდა ამისა, არაერთი დისფემიზმი გვხვდება ამ ერთ წინადადებაში.

„ძალიან გულგატეხილია, რადგან აიძულეს, გაქცეულიყო! ძალი „ბასმაჩა“ დარჩა მისი ერთგული, დანარჩენებმა უღალატეს! თქვენ შეიძლება არ იცით, მაგრამ ეს ნარკომანები და ნაძირლები, რომლებმაც თბილისში „ვარდების რევოლუცია“ კი არა სინამდვილეში „შპრიცების რევოლუცია“ მოაწყვეს, ბათუმის დაბომბვას აპირებდნენ როგორც ჰაერიდან, ისე ზღვიდან!“ („ასავალ-დასავალი“ №49, 2014:5). აღნიშნულ მაგალითში დისფემიზმები გამოყენებულია „ნაციონალების“ დაკნინების და შეურაცხყოფის მიზნით.

3. ადამიანის ხასიათის აღმნიშვნელი დისფემიზმების ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორია

ეს ლექსიკური კატეგორია გარკვეულწილად ამა თუ იმ ხარისხში ემთხვევა ზემოჩამოთვლილს, რადგან დეფექტებსა და უარყოფით მხარეებს შეიძლება მიეკუთვნოს როგორც გონებაჩამორჩენილობა, სისულელე, ასევე კრიმინალური კონტრკულტურის გამოვლინებაც, მაგრამ ამ ლექსიკურ კატეგორიაში აქცენტი გადადის ხასიათის თვისებების უარყოფით მხარეზე და იმ სექსუალურ სფეროზე, როგორცაა ჰომოსექსუალურობა.

იმის გამო, რომ დღესდღეობით ადამიანთა პირად ცხოვრებაში შეჭრა ნაკლებადაა შეზღუდული, დისფემიზმები ხშირად ჩნდება მედიასა და ყოველდღიურ სიტყვიერებაშიც.

ამ შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვისაუბროთ ორ დისფემიზმზე პირველი, "gay", და მეორე, "to come out of the closet", რაც ნიშნავს "to admit openly one's homosexuality", ორივე ცნება ერთისა და იმავეს აღმნიშვნელია და მასობრივ გამოცემებში ტაბუდადებულია, რადგან არღვევს სექსუალური უმცირესობების უფლებებს. თუმცა, მიუხედავად ყველა აკრძალვისა, ჟურნალისტი იგნორირებას უკეთებს დადგენილ წესს და ირონიული, დამცინავი სახით აღწერს ცნობილ ადამიანებს.

ზემოთ განხილული ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორია, რა თქმა უნდა უპირობოდ უნდა ჩაითვალოს ზემოთ ჩამოთვლილთაგან რაოდენობრივად ყველაზე მამტაბურად, რადგან თავად ადამიანის ფსიქოლოგია, პიროვნების

თვისებები ამოუწურავია. როდესაც ინდივიდს ნებით თუ უნებლიეთ საამკარაოზე გამოაქვს და აშიშვლებს მისი ბუნების „ბნელ“ მხარეს, დამნაშავე სასამართლოს წინაშე წარადგენს სოციუმს, რომელიც, თავის მხრივ, მზად არის წავიდეს უკიდურეს ზომებზე - გამოიყენოს ტაბუდადებული ლინგვისტური ფორმები და ცნებები და ჭეშმარიტებისა და ზემოქმედებისთვის გაწიროს თავისი სტილი.

4. ეროვნული კუთვნილების სფეროს აღმნიშვნელი დისფემიზმების ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორია

თანამედროვე ინგლისურ ენაში რომ აღნიშნული ჯგუფები ფართოდაა გავრცელებული, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. იმის გამო, რომ მოძრაობა პოლიტკორექტულობისათვის, მზარდი პოპულარობით სარგებლობს, ნებისმიერი ეროვნების „არანორმატიული“ მოხსენიება საზოგადოების მიერ იმსახურებს სასტიკ საყვედურს და აღიქმება როგორც „დანაშაული“. აქედან გამომდინარე, ამ ლექსიკური კატეგორიის დისფემიზმების განხილვის დროს ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ მსგავსი ტაბუ ეხება საზოგადოების ყველა წევრს, გამონაკლისის გარეშე, ამა თუ იმ საზოგადოებაში მიღებული წესების, ნორმების დარღვევით, მოსაუბრის მიერ წარმოთქმული სიტყვა შეიძლება ჩაითვალოს დისფემიზმად.

მსგავსი დისფემიზმების გამოჩენა დაიწყო ომის დროს, როდესაც სამხედროები მათ ოპონენტებს არქმევდნენ შეურაცხმყოფელ სახელებსა თუ მეტსახელებს. ისტორიული განვითარების პროცესში ეს სახელები ან გაქრა ენიდან, ან, პირიქით, მტკიცედ დამკვიდრდა ენაში.

მიუხედავად აკრძალვისა, პრესაში ჯერ კიდევ ხშირად გამოიყენება რასისტული ლექსიკა. მაგალითად, გაზეთში Washington Post ჩნდება შემდეგი დისფემიზმები (ჟურნალისტი ციტირებს ერთი პოლიტიკოს-ნაციონალისტის განცხადებას:

«He's obsessed with hatred for the geechees, those he feels are holding back the race».

«Geechee» არის ტერმინი იმ ხალხისთვის, რომლებიც ცხოვრობენ სამხრეთ კაროლინას და ჯორჯის შტატში, როგორც სანაპირო დაბლობზე ისე ზღვის კუნძულებზე. ისინი არიან შავი/აფრიკელი ამერიკელები.

«Geechee» არის პირდაპირი შეურაცხყოფა, რომელიც მიუთითებს სამხრეთ კაროლინაში მცხოვრები აფრიკელი რასის ადამიანების დამამცირებელ სახელზე. ეს არის დემონსტრირება იმისა, რომ საზოგადო მოღვაწეები ხშირად ივიწყებენ პოლიტკორექტულობას, მარტივ მორალურ და ეთნიკურ პრინციპებს, რათა ხაზი გაუსვან თავიანთ მკვეთრ შეხედულებებს და დაიცვან საკუთარი პოზიცია.

თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დისფემიზმი შეიძლება მიმართული იყოს არა მხოლოდ რასობრივი უმცირესობისაკენ, არამედ ე.წ. ტიტულოვანი უმრავლესობისაკენაც. მაგალითად: *“Delegates ... sat in shocked silence when an Indian leader accused them of being “white-raced Liberals.”* *“White-raced”* უპირობოდ წარმოადგენს დისფემიზმს, რადგანაც წარმოთქმულია მაღალჩინოსანი პირის მიერ ოფიციალურ გარემოში (Резанова 2008:5).

5. ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორია: ეხება ღმერთს, ეშმაკს, დაკავშირებულს სხვადასხვა რელიგიურ რიტუალთან, წყევლასთან.

ინგლისური ენისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებულად მდიდარი წყევლის ლექსიკა. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოიყენება სიტყვა „ღმერთი“ – სუბსტიტუტი, რომელიც უკვე დიდი ხნის განმავლობაში იყო ტაბუდადებული ნებისმიერ სიტუაციაში.

ამ კუთხით საინტერესოა 1606 წელს მიღებული პარლამენტის სპეციალური აქტი, რომელმაც პურიტანების ზეწოლით აკრძალა ყველა მკრეხელური ფიცი და გამონათქვამი, რომლებშიც ნახსენები იყო ღვთის სახელი, წმინდა სული, ქრისტე და სამება, რადგან ასეთი გამონათქვამები განხილულ იქნა, როგორც უკიდურესად უადგილო და ისინი გახდა ტაბუდადებული. ეს იყო ნათელი მაგალითი იმისა, რომ რელიგია მკაცრ გავლენას ახდენდა საჯარო სიტყვის პრაქტიკაზე იმ ეპოქის ლიტერატურაზე. ამის შედეგად მოგვიანებით დაიწყო შექსპირისა და მის

თანამედროვეთა ნაწარმოებების «გაკეთილშობილება». ამის ერთი მაგალითი არის ჩანაცვლება God Heauen - / Heaven/ და ა.შ.

თანამედროვე ინგლისურ ენაში ძნელია დადგინდეს რელიგიურ ცნებებთან დაკავშირებული სიტყვები და გამოთქმები როდისაა დისფემიზმები, რადგან მათი გამოყენება ძალიან გავრცელებულია თანამედროვე ინგლისურ ენაში. ზოგიერთ სიტუაციაში ასეთი დიაპაზონის სიტყვის გამოყენება, თუ არ არის აკრძალული, ითვლება მიუღებლად. მაგალითად, 1962 წელს ამერიკის შეერთებული შტატებში ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა განაცხადა:

“A ring-a-ding God-box will go over big with the flat bottomed latitudinarians” (768/2<http://www.elitetrader.com/et/index.php?threads/undergod.34289-page-16>).

სიტყვას „god-box“ შემდეგი ინტერპრეტაცია აქვს თანამედროვე სლენგის ლექსიკონში - „ეკლესია და სხვა სამლოცველო ადგილი.“ ამდენად, ეს არის აშკარა მკრეხელობა, შედარებით დამამცირებელი რუსული სიტყვისა "церквушка"(პატარა ეკლესია) და მისი გამოყენება თანამდებობის პირის მიერ საზოგადოების წინაშე მიუღებელია.

ამ ჯგუფის ყველაზე გავრცელებული დისფემიზმებია: “damn”, “dammed”, “God-damned”, “not worth a damn”, “not to care a damn”, “not to give a damn”, “damn all”. ყველა ეს გამონათქვამი, ხშირ შემთხვევაში, არის დისფემიზმები არ აქვს მნიშვნელობა, ვინ და რა ვითარებაში წარმოთქვა, რადგანაც ხშირად დენოტატიც და კონოტატიც შეიცავს უარყოფით შეფასებას.

“It was obvious...that he didn't give a **damn** – and so they were enraged” (J. Cary, 1959, ODMS, 1993 : 49).

“I'll tell you my story as shortly as I can, and you see I know **damn** all about it” (D.L. Sayers, ODMS, 1993 : 49).

ყველა მაგალითში, რომელთაც მივყავართ სიტყვის კონოტაციურ მნიშვნელობასთან, არის მოსაუბრეთა გაღიზიანება, რასაც იწვევს ამ გამონათქვამების გამოყენება, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ არის მიზანშეწონილი ამ კომუნიკაციურ სიტუაციაში მისი გამოყენება, რაც ეწინააღმდეგება ლექსიკის შევსებასა და განცხადებების ტონს.

გამონაკლისი შეიძლება იყოს „damn“-ის გამოყენება იმ შემთხვევაში, სადაც კონოტაცია დადებითია.

ქართულში, ისევე როგორც ინგლისურში, ხშირია ღმერთის ხსენება გაკვირვების ან აღშფოთების გამოსახატავად. ჩვენ ხშირად ვამბობთ „ო ღმერთო ჩემო,“ „ღმერთო მიშველე,“ რაც უმრავლეს შემთხვევებში არ გამოხატავს პირდაპირი მნიშვნელობით რაიმეს თხოვნას ღვთისადმი. ინგლისურში oh my God გამოხატავს აღელვებას, შოკს, მოკრძალებას, თავზარს, შეცბუნებას, სევდას, დაბნევას, ხვეწნას და ა.შ. oh my gosh და oh my goodness გამოიყენება როგორც ევფემიზმები. ადრეული ქრისტიანები ცდილობდნენ ღვთის სახელი ამაოდ არ ეხსენებინათ და ამიტომაც დამკვიდრდა „gosh,“ „god“- ის მაგივრად. ასევეა მეორე გამოთქმაც. სიტყვა „god“ ცალკეც ჩვეულებრივ შორისდებულადაც გამოიყენება გაოცებისა და შოკის გამოსახატავად. ასეთ გამოთქმებში ეს სიტყვა იწერება ჩვეულებრივ პატარა ასოთი, რადგანაც ხალხი ამ სიტყვას არ იყენებს გარკვეულ კონკრეტულ ღმერთზე მითითებისათვის. უმრავლესობა ამას არ იყენებს ღვთის სახელს დახმარების სათხოვნელად და ბოროტებისაგან დასაცავად. ისინი უბრალოდ გამოხატავენ ემოციას რაიმეს მიმართ.

რელიგიური დისფემიზმების გამოყენება ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია ორი მიზეზით:

1. სასოწარკვეთის, აღშფოთების, სხვა უარყოფითი განცდებით გამოწვეული გამონათქვამების ავტორის ემოციური მდგომარეობით;

2. ცენზურის გამო, განზრახ მკრეხელობა, ღმერთის არსებობის უარყოფა და დაცინვა, გამონათქვამების ავტორი აყენებს საკუთარ თავს რელიგიის, თავად ღმერთის და იმ ადამიანების ოპოზიციში, ვინც თავყვანს სცემს მას (ღმერთს).

6. ლექსიკურ - სემანტიკური კატეგორია: სოციალური და ეკონომიკური სფეროს უარყოფით მხარეებთან დაკავშირებული დისფემიზმები.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემები წარმოშობს სხვადასხვა დისფემიზმს. ასეთი გამონათქვამები ენაში მკვიდრდება ეკონომიკური კრიზისის დროს, ეს უკანასკნელი კი თავისთავად იწვევს სოციალურ პრობლემებს და წარმოშობს ახალ დისფემიზმებს.

„აბსოლიტურად ყველა სტრუქტურა მორყეულია. ხალხი დაუსაქმებელი და დამშეული“ („კვირის პალიტრა“ № 3, 2013 : 5).

„დეიდა მარო თავადი შვილიკო, დროს და უკუღმართ ცხოვრებას ბევრი რამ წაეშალა მისი სახიდან, ბევრიც -ვერა“ („კვირის პალიტრა“ № 30, 2014 :8).

ზემოგანხილული ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორიის დისფემიზმების ლექსიკონი ასახავს საზოგადოებაში სოციალური ურთიერთობების თავისებურ იერარქიას და ამჟამად ყველაზე ტაბუდადებულად ითვლება პოლიტკორექტულობისათვის ბრძოლა. ეს განსაკუთრებით ეხება ეროვნული კუთვნილების სფეროს აღმნიშვნელი დისფემიზმების ლექსიკურ-სემანტიკურ კატეგორიას, რომელიც ნათლად აჩვენებს, თანამედროვე მულტიკულტურულ მსოფლიოში ეროვნული იდენტურობის განცდის სიმძაფრეს. უგუნურმა გამონათქვამებმა ნებისმიერი ერის მისამართით შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული შედეგები: ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, ასეთი საჯარო გამონათქვამებისთვის შეიძლება დაკისრებული იყოს ჯარიმა. მიუხედავად ამისა, ყოველთვის არსებობს მიზეზი, მოსაუბრემ მიმართოს დისფემიზმს, ყველაზე ხშირად, ამის მიზეზი არის მწვავე ემოცია. თითოეულ შემთხვევაში მისი გამოყენების პრაგმატიკა განსხვავებულია, რადგან ის ექვემდებარება მოსაუბრის ინტენციას, კონკრეტულ და კონტექსტურ დისკურსულ სიტუაციას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ზემოთ განხილული დისფემიზმების ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორიის სია არ არის სრული, რადგანაც საზოგადოების განვითარებას მუდამ თან სდევს ახალი ტაბუს წარმოქმნა, ანუ, დისფემიზმთა ლექსიკონი მუდმივად ცვალებადი და შევსებადია.

როგორც ვხედავთ, საგაზეთო ტექსტში დისფემიზმების გამოყენება მოტივირებულია არა იმდენად ურთიერთობის დისკრედიტაციის მისწრაფებით, არამედ უარყოფითი დამოკიდებულების ექსპრესიულად გამოხატვით. ადრესანტი ამ თემის ნეგატიურად გაშუქებისას მიზნად ისახავს, თხრობას მისცეს შოკისმომგვრელი, სენსაციური ხასიათი და მიიპყროს მკითხველის ყურადღება.

თავი IV

ევფემიზმების და დისფემიზმების შეპირისპირებითი ანალიზი

4.1 ევფემიზმების და დისფემიზმების თავისებურებები ლინგვო – კულტურულ კომუნიკაციაში.

ევფემიზმების გამოყენება არის საერთო ლინგვისტური ფენომენი ყველა ენაში. ევფემიზმების გამოყენებით საზოგადოებას შეუძლია ირიბად და თავაზიანად გამოხატოს საკუთარი აზრი, ის რომ მსმენელი არ ჩააყენოს უხერხულ და არასასიამოვნო მდგომარეობაში. როგორც კულტურის სარკე, მათში აირეკლება ამა თუ იმ ერის კულტურა. ევფემიზმებზე დაკვირვებით ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ გავიგოთ სხვადასხვა ერის კულტურის შესახებ, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევფემიზმების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურასთან. ევფემიზმები მრავლადაა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში, მათ აქვთ მსგავსებაც და განსხვავებაც გამოხატვისას, რაც განპირობებულია კულტურული კონტექსტით. ინგლისური და ქართული ევფემიზმების შეპირისპირებითი ანალიზი დაეხმარებათ ადამიანებს, სწორად გაიგონ სიტყვის/ფრაზის მნიშვნელობა ინგლისურ და ქართულ ენებზე და ასევე გადალახონ კულტურათშორისი კომუნიკაციის დაბრკოლებები.

ევფემიზმების არსებობას სოციალური საფუძველი აქვს. კომუნიკაციისას ადამიანები ხშირად ხვდებიან ისეთ ვითარებაში, როცა არ შეუძლიათ პირდაპირ გამოხატონ საკუთარი აზრი, რადგანაც საკუთარი აზრის პირდაპირ გამოხატვა შეიძლება მსმენელისთვის უხერხული ან შეურაცხმყოფელი იყოს. ამ მიზეზის გამო საზოგადოება აზრს გამოხატავს არაპირდაპირი და შემოვლითი გზით, რათა თავიდან აიცილოს დაბრკოლებები. ამ მიზნით ევფემიზმები განაგრძობს არსებობას.

ევფემიზმების გამოყენება არის არა მხოლოდ სოციალური ფენომენი, არამედ კულტურულიც. მათი წარმოშობა მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურასთან. წლების წინ, როცა საზოგადოებას აკლდა მეცნიერული და კულტურული ცოდნა,

არსებობდა ცრურწმენა, რომ ღმერთის და ეშმაკის სახელის ხსენება მათ მოუტანდა უბედურებას, ამიტომაც ეს სახელები მიეკუთვნებოდა ტაბუდადებულ ლექსიკას და საზოგადოება ცდილობდა, მოეძებნა მათი შემცვლელი სახელები. ზოგ შემთხვევაში ისინი ჩაანაცვლა ევფემიზმებმა. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ევფემიზმებიც შეიცვალა ყველა ენაში. ეს მიმდინარე ცვლილება კი ყოველთვის ეყრდნობოდა კულტურას (Xiaoling, Meng, Hailin 2012: 2).

სხვადასხვა ერი ფლობს განსხვავებულ ბუნებრივ გარემოს, სოციალურ ნიშნებს, აქვთ განსხვავებული წეს-ჩვეულებები და ღირებულებები, განსხვავებული აზროვნება და მენტალობა. ეს ყველაფერი კი შეიძლება აისახოს ენის გამოყენებაში ევფემიზმების და დისფემიზმების ჩათვლით. როცა ჩვენ შევადარებთ ორ განსხვავებულ კულტურას, ვნახავთ, რომ საზოგადოების მსგავსება და განსხვავება გამოიხატება კულტურაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხილეთ 1.4), ენა არა მხოლოდ კულტურის სარკეა, არამედ მისი ნაწილიცაა. ასე რომ, კულტურული მსგავსება და განსხვავება უდავოდ აისახება ინგლისურ და ქართულ ენებში, კერძოდ, ევფემიზმების და დისფემიზმების გამოყენებისასაც.

ინგლისურ და ქართულ ევფემიზმებს შორის კულტურული მსგავსება აისახება ევფემიზმების ფუნქციებში. ევფემიზმების გამოყენების ძირითადი ფუნქცია საერთოა როგორც ინგლისური, ისე ქართული ენისთვის.

პირველი ეს არის ტაბუირებული სიტყვების თავიდან აცილება. როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში არსებობს სიტყვები, რომელთა პირდაპირ ხსენება არ შეიძლება. ასეთია, მაგალითად, სიტყვა God, რომლის ჩასანაცვლებლად ინგლისურ ენაში არაერთი ევფემიზმია ასეთებია: „Holy one,“ „Our father,“ „the Light of the World,“ „the Creator“ და ა. შ.

ქართულში ტაბუირებულია სიტყვა „გველი,“ რომლის ჩასანაცვლებლად ყველაზე გავრცელებული ევფემიზმებია: „უხსენებელი,“ „უსახელო.“ მათ დღესაც იყენებენ.

ახალგაზრდობას კი უსტადიონობა უჭირს: ყველა სოფელს გაუკეთეს მინისტადიონი, ჩვენი შვილები კი ზაფხულში აბალახებულ მინდორში თამაშობენ, ჩვენ კი გული გვისკდება, ემანდ - **უხსენებელი** არ იყოსო, მეუბნებიან მოხუცები (<http://www.kvirispalitra.ge/region/9907-quzundaradanq-qgamarjvebamdeq.html>)

კიდევ ერთი ამ სახის მაგალითი არის „death“, რომელზეც როგორც ქართულში, ისე ინგლისურში არაერთი ევფემიზმია შექმნილი, ამ საკითხს ადარ დავაკონკრეტებთ, რადგან ზემოთ უკვე დეტალურად ვისაუბრეთ (იხილეთ 2.3).

ევფემიზმების მეორე ფუნქცია, რომელიც საერთოა ორივე ენისთვის, არის თავაზიანობა, რომელიც სხვისი გრძნობების შეურაცხყოფის არიდების მიზნით გამოიყენება. ეს ევფემიზმები ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ ნაკლოვნებებთან არის დაკავშირებული. თავაზიანობის საპირისპიროდ გამოიყენება დისფემიზმები, რომლებიც შეურაცხყოფისა და დამცირების მიზნით გამოიყენება და მოსაუბრე დაუფარავად უსვამს ადრესანტის ნაკლოვან მხარეებს. მაგალითად, ევფემიზმი **Full Figured** (მნიშვნელობით „ტანსრული“) გამოიყენებულია ჟურნალის სათაურად:

*„Every curvy girl that has a dollar is willing to spend that dollar,” says Gwen DeVoe, a former plus-size model and the founder of **Full Figured Fashion Week**, currently taking place in Manhattan* (<http://tmagazine.blogs.nytimes.com/2010/06/18/full-figured-fashion-week>).

დისფემიზმი: *პეტრიაშვილს გადაეცით, ეგ თავხედი და გასიებული ადამიანი თავის მსგავს ტყუილებს ნუ იძახის!.. პეტრიაშვილი ნამდვილად ფეხებითაა ჩამოსაკიდი* (<http://www.kvirispalitra.ge/politic/23445-qes-aqcia-kontroldeba-da-azrre-modithq-qpetriashvils-fekhebith-davkidebq.html>).

„კახიძემ ყველაფერი იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა. აი, ახლა გამოდის ეგ ლილიპუტი და ენას არ აჩერებს!“ - განაცხადა ბათირაშვილმა (<http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=63317&lang=geo>).

არსებობს პროფესიები, რომელთა შესრულებაც შეურაცხმყოფელია და შესაბამისად არასასურველი ადამიანებისთვის. ისინი სოციალურად დაბალი სტატუსის მაჩვენებელია. თუმცა თუკი ამ პროფესიების სახელთა ნაცვლად ევფემიზმებს გამოვიყენებთ, ამ ადამიანებისადმი პატივისცემას გამოვხატავთ. გარდა ამისა, როგორც ქართულში, ისე ინგლისურ ენაში ევფემიზმები გამოიყენება „სტატუსის“ ასამაღლებლადაც, ჩამოთვლილი პროფესიული ევფემიზმები გამოიყენება თავაზიანობის მიზნით: *sanitation engineer - garbage collector, garbage man, dustman. landscape architect - gardener; housekeeper-maid; Housewife – domestic engineer; Secretary – Administrative assistant.* ქართულში: დასუფთავების სამსახური - მეზოვე, ოჯახის დამხმარე - მოსამსახურე, ბიზნესმენი - ვაჭარი და ა.შ. ევფემიზმები ასევე გამოიყენება გარკვეული ფაქტების და მოვლენების შესარბილებლად, ასე მაგალითად: *Wife-beating* გახდა *Domestic violence*. აღნიშნული ევფემიზმი ქართულშიც მოგვეპოვება, ნებისმიერ ძალადობას ეს იქნება ცოლზე, ბავშვზე თუ ა.შ. მოიხსენიებენ, როგორც „*ოჯახურ ძალადობას*“.

*Mr O'Suilleabhain is a **water and sanitation engineer** who has worked overseas for the International Red Cross for several years* (http://news.bbc.co.uk/2/hi/uk_news/northern_ireland/5368612.stm).

ევფემიზმების გამოყენება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტაბუს თავიდან აცილებით და მსმენელის გრძნობებზე ზრუნვით. კიდევ ერთი ფუნქცია, რომელიც დამახასიათებელია როგორც ქართული, ისე ინგლისური ევფემიზმებისათვის, ესაა ფაქტების დაფარვა გარკვეული ფარული მიზნების მისაღწევად. ამ ტიპის ევფემიზმები ფართოდ გამოიყენება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში. მაგალითად, ომის დროს „invasion“ და „raid“ ჩანაცვლებულ იქნა ისეთი ევფემიზმებით, როგორებიცაა: „incursion,“ „involvement“ ან „military action,“ „failure in a war“ ჩანაცვლებს „break off contact with enemy“. ათასობით უსახლკარო ადამიანს ომის დროს მოიხსენებენ, როგორც „transfer of population“ „attack“-„active defense“, აღნიშნული ევფემიზმები არბილებს ომის სასტიკ ბუნებას. ქართულში ომს აღწერენ შემდეგი ევფემიზმებით: სამხედრო მოქმედება, სამხედრო აქტიურობა, სამხედრო ოპერაცია, სამხედრო კონფლიქტი და ა.შ.

ბუქარესტის სამიტამდე ორიოდ დღით ადრე უცხოური ტელევიზიები აჟღერებდნენ კანცლერ მერკელის ფრაზას, რომ მაპის მიღების შემთხვევაში სააკაშვილი უსათუოდ დაიწყებდა **სამხედრო ოპერაციას** აფხაზეთში ან/და სამხრეთ ოსეთში და ეცდებოდა მთელი დასავლეთი ჩაეთრია რუსეთთან დაპირისპირებაში, რაც დასავლეთისათვის მიუღებელი იქნებოდა (<http://www.kvirispalitra.ge/petre-mamradzis-blogi/26303-saqarthveloa-akhla-meti-nato-shi-thu-nato-saqarthveloshi.html>).

ეკონომიკური სფეროს ევფემიზმებში „economic crisis“ ჩანაცვლებულია „depression“ ან “recession”, “poor nation” ჩანაცვლებული “underdeveloped nations”, ან „emerging nations“, unemployed - between jobs, თანამშრომლების დათხოვნა აღწერილია შემდეგი სიტყვებით: „Lay off“, Downsizing“, “Re-engineering” “Involuntarily separated”; “Demotion” (თანამდებობის დაქვეითება) შეცვალა სიტყვით “Vocational relocation”; ამ სიტყვებით პოლიტიკური ლიდერები ცდილობენ იმ რეალობის დაფარვას, რომელიც არსებობს ქვეყანაში და საზოგადოებაში. ქართულ ენაშიც მრავლადაა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროსთან დაკავშირებული ევფემიზმები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ მიზანს ემსახურება: ეკონომიკური კრიზისი - ეკონომიკური აქტივობის შენელება, თავდასხმა - სამხედრო მოქმედება, ღარიბი- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, სიღარიბე - ხელმოკლეობა, თავზე ჭერი არ აქვს – უსახლკაროდ დარჩენილი.

„აბსოლუტურად ყველა სტრუქტურა მორყეულია. ხალხი დაუსაქმებელი და დამშეულია. თავზე ჭერი და წამლის ფული არა აქვთ“ (კვირის პალიტრა, №3, 2013:7).

ევფემიზმი: „ახალი ცხოვრება მისთვის მძიმე განსაცდელით დაიწყო: ხელმოკლეობის გამო დღეში ერთხელ იკვებებოდა ხახვიანი ბუტერბროდით, რის გამოც შემდეგ მთელი ცხოვრება ხახვი სძულდა“ (კვირის პალიტრა №10, 2014: 27).

*დიფემიზმი: Peking has left no economic or political stone unturned this year in its effort to assert itself as the undisputed champion of the world's **underdeveloped nations**, an effort that probably will be enhanced by its entry in the United Nations*

(<http://query.nytimes.com/gst/abstract.html?res=9B05E7DE173AE73ABC4F53DFB767838A669EDE>).

The chairman of the Federal Reserve, Alan Greenspan, urged central banks in developing nations today to manage their foreign exchange reserves more efficiently to help **emerging nations** (<http://www.nytimes.com/1999/04/30/business/greenspan-s-advice-for-emerging-nations.html>).

ფაქტების დაფარვის საწინააღმდეგო მიზანს ემსახურება დისფემიზმები. დისფემიზმების მაგალითს წარმოადგენს შემდეგი: იაფად-ჩალის ფასად, გაჭირვება - უკიდურესი სილატაკე.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მაისის №843 განკარგულებით გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში მდებარე სოფლის საერთო საძოვრები პირდაპირი მიყიდვის წესით ჩალის ფასად გადაეცა შპს „ვაზისუბნის მამულებს“, რომელიც ეკუთვნის მამუკა ხაზარაძეს და მის ნათესავს ბარი ჯაფარიძეს. ამ განკარგულებით 2000-მდე ოჯახის საქონელი დარჩა საძოვრების გარეშე, ხოლო ჩვენ და ჩვენს შვილებს უკიდურესი სილატაკე და შიმშილით სიკვდილი გვემუქრება (ასავალ-დასავალი №7, 2015:2).

კულტურული სხვაობის გამო შესაძლებელია ერთი კულტურისთვის მიუღებელი სრულიად მისაღები იყოს მეორესთვის. სწორედ ეს განსხვავებები წარმოქმნის იმ პრობლემებს, რომლებიც თავს იჩენს კულტურათმორისი კომუნიკაციისას.

„დასავლეთში ეშინიათ სიბერის“. არაერთი ევფემიზმი აქვთ ასაკთან დაკავშირებით, მაგალითად: “senior citizen”, advantage in age, the mature, seasoned man, full of ages, by feeling one’s ages, past one’s prime” და ა.შ. (Xiaoling, Meng, Hailin 2012:3).

„Raised to worship youth, Americans are fearful of aging and turned off by everything related to it, says Prof. Jerry D. Feezel, who teaches communications at Kent State University. As a result, we're continually devising names for the old that avoid the O-

word itself: "senior citizen" and "seasoned citizen," "golden ager" and "silver fox," "mature American" and "retired person" -- not to mention forthrightly negative terms like "geezer" and "biddy" (http://www.nytimes.com/1996/03/07/garden/senior-class-removing-the-stigma-from-the-o-word.html).

„geezer“ და „biddy“ დისფემიზმებს წარმოადგენს და გადაითარგმნება, როგორც „ბებრუხუნა“, „ბებრუცუნა“.

რაც შეეხება ქართულ კულტურას, ჩვენც გვაქვს ასეთი ევფემიზმები მოხუცი, ხანდაზმული, ხანში შესული, ასაკოვანი, მაგრამ ეს არა შიშის, არამედ პატივისცემის მიზნით არის გამოყენებული. ქართულ კულტურაში რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მიიჩნევა, რომ მით უფრო გამოცდილია და საზოგადოებაც პატივს სცემს მას.

ყველა ერს თავისი წეს-ჩვეულებები აქვს, რომელიც კომუნიკაციისას უნდა დავიცვათ. მაგ. ინგლისელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კონფიდენციალობას. პირდაპირ და ღიად არ საუბრობენ ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ქორწინება, რელიგია, შემოსავალი, ხელფასის ან რამე პირადი ნივთის ფასის კითხვა განიხილება, როგორც არათავაზიანი, ამიტომ პირდაპირი კითხვის ნაცვლად „How much is it?“ უკეთესია იკითხოთ „Is it expensive?“ რაც შეეხება ქართულ კულტურას, აქ ხშირად შეგხვდებათ სიტუაცია, როცა საზოგადოება თავისუფლად საუბრობს ზემოთ აღნიშნულ თემებზე და პირდაპირ შეგიძლიათ ჰკითხოთ, რა არის თქვენი რელიგია? რომელ პარტიას აძლევთ ხმას და ა. შ.

სხვა ენის წარმომადგენელთან ადამიანი კომუნიკაციას ამყარებს საკუთარი ენის და კულტურის გავლენით, ამიტომ აშკარაა, რომ კულტურათშორისი ბარიერი ან ევფემიზმების არასათანადო გამოყენება გამოიწვევს კომუნიკაციურ წარუმატებლობას. რა თქმა უნდა, ინგლისური და ქართული განსხვავდება აზრის გამოხატვის მოდელით და სტრუქტურით, სწორედ ასეთი განსხვავების გამო ქართველი მსმენელისთვის დამაბნეველი იქნება ისეთი გამონათქვამები, როგორებიცაა: „go to the fourth“ (go to the toilet). ზოგიერთი ევფემიზმი აბრივიატურის სახითაა მოცემული, რომელიც ასევე რთული გასაგები იქნება იმ

მკითხველისათვის რომელსაც არ აქვს შესაბამისი ფონური ცოდნა. ქართულში გვაქვს ევფემიზმი „ხელმრუდი,“ რომელიც ქურდის ნაცვლად გამოიყენება და რომლის ადეკვატური თარგმანი შეუძლებელია. იდენტური თარგმანის შემთხვევაშიც ის რთული გასაგები იქნება სხვა კულტურის წარმომადგენლისათვის.

„დილოში მიაკოვსკის ბრინჯაოს ქანდაკების პოსტამენტი რამდენჯერმე შეიღება, ოდესღაც ყველა მხრიდან ფილები ამშვენებდა, ხელმრუდეებმა კი ჩამოხსნეს. ახლა ბათქაშჩამოშლილი დეგას (<http://www.kvirispalitra.ge/deda-tbilisi/23407-thbilisshi-qandakebebi-da-monumentebi-savalalo-mdgomareobashia.html>).

ინგლისურში გვაქვს ევფემიზმი friendly fire, რომელიც ასევე რთული გასაგები იქნება სხვა კულტურის წარმომადგენლის მიერ. ამ ტიპის ევფემიზმები გამოიყენება, რათა მოხდეს თაღლითობის დაფარვა, დამამცირებელი მნიშვნელობისთვის გვერდის ავლა, სიმართლის შენიღბვა. Friendly fire – არის ევფემიზმი, რომელსაც სამხედროები იყენებენ, როცა ჯარისკაცი შემთხვევით კლავს თავისივე ჯგუფის წევრს. ამ გამონათქვამში მოსაუბრე არ უნდა დაეყრდნოს სიტყვა „მეგობრულის“ დადებით კონოტაციას, უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ ცეცხლის აღწერა ისეთი სიტყვით, როგორცაა „მეგობრული,“ ვერ გახდის მას ნაკლებად უსაფრთხოს.

*„Simpson was wounded by US troops during the conflict in a horrific **“friendly fire”** incident that killed his translator Kamaran Abdurazaq Muhamed“* (<https://www.globalpolicy.org/component/content/article/167/35334.html>).

როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში ევფემიზმი არის საერთო, ხანგრძლივი და სოციოკულტურული ფენომენი. როგორც კულტურის სახე, ევფემიზმები ასახავს მსგავსებას და განსხვავებას ქართულ და ინგლისურ კულტურაში. ეს მსგავსება- განსხვავებები წარმოქმნის სირთულესაც და ამავე დროს გვეხმარება კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში, ანუ არსებობს ევფემიზმები და დისევფემიზმები, რომლებიც საერთოა ორივე ენისთვის და ეს გვიადვილებს კულტურათშორის კომუნიკაციას. გარდა ამისა, არის ისეთი

გამონათქვამები, რომლებიც, პირიქით, ართულებს გაგებას, მაგალითად: ხელმრუდე, უხსენებელი, ინგლისურში: friendly fire და ა.შ. სწორედ მათი კვლევა დაეხმარება საზოგადოებას დაძლიოს კულტურათშორისი ბარიერები.

ევფემიზმების და დისფემიზმების გამოყენების სხვა სტრატეგიები შეიძლება გავიგოთ იმ კონტექსტებიდან, რომლებშიც ისინი გამოიყენება. ნასესხები სიტყვების და ტექნიკური ჟარგონების გამოყენება დისფემისტურია, როცა აუდიტორიის შეურაცხყოფის მიზნით გამოიყენება, მაგალითად ნატოს აქვს A deterrent, (ევფემიზმები - შეფერხება, შეჩერება) რუსების წინააღმდეგ, რომლებიც იყენებენ threat (დისფემიზმი-მუქარა).

ევფემიზმებისა და დისფემიზმების გამოყენება მიზნად ისახავს საზოგადოებაზე მეტი შთაბეჭდილების მოხდენას. კვლევისას ქართულ პრესაშიც ხშირად შევხვედრივართ შემთხვევას, როცა ევფემიზმი და დისფემიზმი ერთდროულად გამოიყენება, ასე მაგალითად:

მარგველაშვილი ქართველ ხალხს მანამდე ბევრად ადრე განუდგა, როცა თავის „ვილოსოფიურ ტრაქტატში“ იმავე ქართველ ხალხს გონებასუსტობისა და დებილობის დიაგნოზი დაუსვა („ასავალ დასავალი“ №49, 2014:17).

*American and Iraqi officials say that a decision in April to pull back American forces from Falluja inadvertently created a safe haven for **terrorists and insurgents** there. But officials are reluctant to send American troops back into the city for fear of touching off another uprising (<http://www.nytimes.com/2004/07/08/world/reach-war-insurgents-falluja-pullout-left-haven-insurgents-officials-say.html>).*

აღნიშნული კონსტრუქცია ევფემია-დისფემია გამოიყენება ალბათ უფრო მეტი ეფექტურობისთვის და საზოგადოების ყურადღების მისაქცევად ამ თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ძველად ევფემიზმები განსხვავდებულად გამოიყენებოდა, უფრო მეტიც, ზოგიერთ სფეროში ახალი ევფემიზმი იკავებს ძველის ადგილს. ევფემიზმების რიცხვი სექსსა და სიკვდილთან დაკავშირებით უდავოდ მაღალია. ეს სფეროები

უფრო ღრმად არის შესწავლილი და შესაბამისად, მათი ბევრი მაგალითი არსებობს. დღესდღეობით ევფემიზმები მრავლადაა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: პოლიტიკა, ბიზნესი და სამხედრო სფერო, რომლებიც ემსახურება სხვადასხვა ფუნქციას. ისინი გამოიყენება იმ მიზნით, რომ შეიქმნას ბუნდოვანი და დადებითი კონოტაცია.

დღესდღეობით პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად ზოგიერთი ძლიერი ქვეყანა ცდილობს, თავისი ძალისხმევით გააკონტოლოს ადამიანების ბედი. ცდილობენ რა თავიანთი ბოროტი ზრახვების დამალვას, ისინი ფართოდ გამოიყენებენ ევფემიზმებს პოლიტიკაში. პოლიტიკა არის ერთ-ერთი ნაყოფიერი სფერო ევფემიზმების გამოყენების თვალსაზრისით. პოლიტიკოსები ევფემიზმებით ყოველთვის ამართლებენ თავიანთ ქმედებებს და მათი მეშვეობით ალამაზებენ მკაცრ რეალობას, მაშინ როდესაც ხალხს სჯერა, რომ საზოგადოება მისი მმართველობისას გახდა უკეთესი და მათი პოლიტიკური ცხოვრება გადარჩა. ეკონომიკური ცვლილებები, ომი და დაპირისპირება იწვევს არა მხოლოდ სიკვდილს და განადგურებას, არამედ ეს ყველაფერი ქმნის ახალ ევფემიზმებსა და დისფემიზმებს. ქვემოთ ჩამოთვლილი ევფემიზმები ხშირად გამოიყენება პრესის დისკურსში. *Bombing - air support, protective action, killing of innocents - collateral damage, war - police action/conflict, Counsel ნაცვლად სიტყვისა lawyer, Chief executive officer – president, Relocation center - prison camp, Collateral damage - accidental deaths, Collateral losses – civilian casualties, Security measure – imprison, Enhanced interrogation* – ეს შედარებით ახალი ევფემიზმია და გამოიყენება სიტყვის Torture (წამება) ნაცვლად. ქართულში გვაქვს *მასობრივი გამოსვლა – აქცია, თავისუფლების აღკვეთა – დაპატიმრება, მსჯავრდადებული – პატიმარი, ციხეში განწესება - დაპატიმრება, მართლსაწინააღმდეგო - უკანონი და ა.შ.*

1997 წლის 25 ივნისის №387 ბრძანებულებით, საქართველოს პრეზიდენტმა 54 სიკვდილმისჯილი *მსჯავრდადებული* შეიწყალა, მათ შორის – 13 მამაჩემის გასამართლებული („კვირის პალიტრა“ №3, 2013:5).

ძალიან მალე ზურას მკვლელები გლდანის ციხეში განწესდებიან „- ირაკლი ღარიბაშვილი („ასავალ-დასავალი“ №7, 2015:1).

*“But the weapon has increasingly come under fire because of the **collateral damage** (accidental deaths) in the spillover killings of innocent civilians, including women and children”.* <https://www.globalpolicy.org/the-dark-side-of-natural-resources-st/water-in-conflict/52084-rights-group-call-for-ban-on-futuristic-killer-robots.html>

*In a radio interview, Mr. Santorum, the former senator from Pennsylvania and a Republican presidential candidate, disputed Mr. McCain’s contention that “**enhanced interrogation**” techniques like waterboarding did not lead to the killing of Osama bin Lade.* (<http://thecaucus.blogs.nytimes.com/2011/05/17/santorum-challenges-mccain-on-enhanced-interrogation/>)

აღნიშნული ევფემიზმები ხშირად გვხვდება. ზოგიერთი მათგანი დასტურდება ქვემოთ მოცემულ განცხადებაში, რომელიც ამოღებულია პრესიდან.



როცა მკითხველი დაინახავს მოცემულ სურათს, რამდენიმე კითხვა გაუჩნდება. საინტერესოა, როგორ გაიგებს მკითხველი სურათზე მოცემულ ევფემიზმებს:

Collateral damage – მომკალი?

Security measure – დამაპატიმრე?

New Middle East - განდევნე ხალხი მასობრივად?

Democracy - წამართვი შესაძლებლობები, დაიპყარი ჩემი მიწა, შეცვალე ხელმძღვანელობა?

ევფემიზაციის შემთხვევებს ჩვეულებრივი მკითხველი ხშირ შემთხვევაში ვერ იგებს.

პრესაში გამოყენებულ ევფემიზმებზე დაკვირვების გარდა, ასევე გვანტერესებდა, თუ რა მიზნით და რომელ ევფემიზმს იყენებენ ინგლისური და ქართული საზოგადოების წრეები ყველაზე ხშირად. შესაბამისად, ჩვენ გამოვკითხეთ 30 ქართველი და 30 ინგლისელი (სოციალური ქსელის მეშვეობით). კითხვაზე, **თუ რა შემთხვევაში და რა მიზნით მიმართავთ ევფემიზმებს, „ინფორმატორების“** თითქმის სრული შემადგენლობა ქართულში (95%) პასუხობს, - ეტიკეტის გამო, თავაზიანობის მიზნით, ხოლო ინგლისურში იმავეს პასუხობს 50%. ინგლისელი რესპონდენტების მეორე ნახევარი (50%) პასუხობს, რომ ევფემიზმებს ანუ მეტაფორულ ევფემისტურ ფრაზებს იყენებს გამონათქვამზე მეტი გამომსახველობის მისანიჭებლად. კითხვაზე, **თუ რა სახის ევფემიზმებს იყენებენ**, მეტწილად აქ განსხვავებული პასუხი გვაქვს. ქართველები პასუხობენ დაავადებებთან (33,33%), სიკვდილთან (30%) და ეკონომიკურ პრობლემებთან (26,66%) დაკავშირებით, ხოლო ინგლისელები სექსუალურ ცხოვრებასთან (40%), სიკვდილთან (33,33%) და დაავადებებთან (26,66 %) დაკავშირებით. კითხვაზე, **თქვენ რა სახის ევფემიზმს მიმართავენ ყოველდღიურ საუბარში**, ქართველები შემთხვევათა 28%-ში იყენებენ სიკვდილთან დაკავშირებულ ევფემიზმს, 30,33%-ში - დაავადებებთან დაკავშირებულს, 20%-ში შეზღუდულ შესაძლებლობებთან და 10%-ში სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულს. გამოკითხულთა ნაწილი კი ასახელებს იმ ევფემიზმებს, რომლებსაც მიმართავენ ყოველდღიურ მეტყველებაში. ესენია: **დაუსაქმებელი, გარდაიცვალა, უგუნური, განსხვავებული შესაძლებლობები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი, ასაკოვანი, მუშახელი.** ინგლისელ რესპონდენტებთანაც წინა კითხვაზე თითქმის იდენტური პასუხი გვაქვს, ისინი ასახელებენ იმ სფეროებს, რომლებსაც ხშირად მიმართავენ ყოველდღიურ მეტყველებაში. შემთხვევათა 39%-ში იყენებენ სექსუალურ

ცხოვრებასთან, 33,33%-ში - სიკვდილთან და 26,66 % -ში - დაავადებებთან დაკავშირებულ ევფემიზმებს. კითხვაზე, რა უფრო მისაღებია მათთვის, ევფემიზმების თუ დისფემიზმების გამოყენება, როგორც ინგლისელი, ისე ქართველი რესპონდენტები თითქმის იდენტურად პასუხობენ. ქართველების 46,66% პასუხობს, რომ მათთვის ევფემიზმის გამოყენება უფრო მისაღებია, ხოლო 53,33% პასუხობს, ორივეს გამოიყენებს სხვადასხვა დროს და განსხვავებულ საზოგადოებრივ წრეში. მცირე პროცენტული სხვაობით იმავეს პასუხობენ ინგლისელი რესპონდენტებიც. 40% იყენებს ევფემიზმს, ხოლო 60% ორივეს გამოიყენებს სხვადასხვა დროს და განსხვავებულ საზოგადოებრივ წრეში. კითხვაზე, როგორ რეაგირებენ თქვენი კულტურის წარმომადგენლები ევფემიზმების გამოყენებაზე, ქართველ რესპონდენტთა თითქმის სრული შემადგენლობა, 93% პასუხობს დადებითად, ამ შემთხვევაში მივიღეთ მხოლოდ ორი განსხვავებული პასუხი: ერთი იყენებს ევფემიზმს და განსაზღვრულ სიტუაციაში, ხოლო მეორე მიუჩვეველია ევფემიზმებით საუბარს. ინგლისელთა უმრავლესობაც (96%) პასუხობს დადებითად, განსხვავებული პასუხი კი ასეთია, რესპონდენტი რეაგირებს დადებითად, მაგრამ ფიქრობს, რომ ძალიან ფორმალურია. შემდეგ კითხვაზე, რა ასაკის ადამიანები გამოიყენებენ ევფემიზმებს მათ კულტურაში, ასეთი შედეგები მივიღეთ: თინეიჯერები (0%), ასაკოვნები (16%), საშუალო ასაკისანი (44%), ყველა ასაკისა- (40%). ინგლისელი რესპონდენტები პასუხობენ: თინეიჯერები (37%), ასაკოვნები (7%), საშუალო ასაკისანი(9%), ყველა ასაკის (47%). და ბოლო კითხვის, რომელი სქესის წარმომადგენლები იყენებენ ევფემიზმებს, შედეგები ასეთია: მდედრობითი სქესის (27%), მამრობითი სქესის (0%), ორივე სქესის განურჩევლად (73%). ინგლისელ რესპონდენტთა 100%-ის პასუხია- ორივე სქესის განურჩევლად.

4.2. X-ფემიზმების ფუნქცია საგაზეთო ტექსტებში

ევფემიზმების, ორთოფემიზმების და დისფემიზმების ერთიანობას ეწოდება X-ფემიზმები (Allan, Burrige 1988:10). X-ფემიზმების გამოყენება არის საერთო ლინგვისტური ფენომენი თითქმის ყველა ენაში. ისინი ხშირად გამოიყენება

როგორც ყოველდღიურ საუბარში, ისე მედიადისკურსში. X-ფემიზმების გამოყენებით ხალხს შეუძლია ფორმალურად, ჩვეულებრივ, თავაზიანად ან არაფორმალურად გამოხატოს თავისი აზრი. კომუნიკაციისას ადამიანები ხშირად ხვდებიან სიტუაციას, როცა არ შეუძლიათ პირდაპირ გამოხატონ ის, რისი თქმაც სურთ, ასეთ შემთხვევაში საზოგადოება მიმართავს ევფემიზმებს. იმისათვის, რომ უფრო ჩვეულებრივ ან ფორმალურად გამოხატონ აზრი, იყენებენ ორთოფემიზმებს, ხოლო პირდაპირი და შეურაცხმყოფელი აზრის გამოსახატავად - დისფემიზმებს. ყველა მათგანი გამოიყენება მედიადისკურსში, მათი არჩევა კი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, როგორებიცაა: საუბრის ადგილი, დრო, მიზანი, ვინ არიან საუბრის მონაწილეები და რა არის საუბრის თემა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საუბრის მონაწილეებს შეუძლიათ გამოიყენონ პირდაპირი, არაპირდაპირი ან ჩვეულებრივი გამონათქვამები თავიანთ ყოველდღიურ მეტყველებაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს X-ფემისტური გამონათქვამების გამოყენების რამდენიმე მოტივი, ფორმა და სტილი, მაგრამ ჩვენ გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ევფემიზმების და დისფემიზმების გამოყენების ძირითად მოტივებზე მედიადისკურსში, რადგანაც ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ევფემიზმები და დისფემიზმები, რაც შეეხება ორთოფემიზმებს, ისინი ნეიტრალური სიტყვებია და არ გამოიყენება რაიმე კონკრეტული მიზნის ან ეფექტის მისაღწევად.

ბოლო წლების განმავლობაში მასმედია აქტუალურად ვითარდება, მედიის წარმომადგენლები ინდივიდუალური მეთოდებით დიდ გავლენას ახდენენ მსმენელებზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ხერხს მიმართავს ავტორი მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა ევფემიზმების და დისფემიზმების გამოყენება პრესის დისკურსში. მსმენელს კი ამა თუ იმ მოვლენის, ობიექტის ან ქმედების მიმართ უჩნდება დადებითი ან უაროვითი დამოკიდებულება. საგაზეთო ტექსტში პოლიტიკური ზემოქმედება ხორციელდება გამოყენებული სიტყვების ტაქტიკითა და სტრატეგიით. პოლიტიკურ სფეროში ხშირად ვხვდებით ისეთ მომენტებს, როცა ესა თუ ის პირი

ევფემიზმის გამოყენებით ცდილობს შენიღბოს რეალობა. ხოლო დისფემიზმების გამოყენებით მიზნად ისახავს, გამოხატოს უარყოფით დამოკიდებულება, გამოამჟღავნოს სხვადასხვა პირის ქმედებები ან საყვედური გამოთქვას ხელისუფლების წარმომადგენელთა და პოლიტიკოსთა ქმედებების მიმართ.

*As the **bloodshed** has continued and peace has not been achieved the UN has taken the decision to deploy troops followed by surveillance drones to the Congo* (<https://www.globalpolicy.org/component/content/article/181-congo/52554-un-uses-drones-for-surveillance-in-eastern-congo-.html>).

ამ მაგალითში ავტორის ამოცანაა, გამოავლინოს მთავრობის ქმედებები და დაანახვოს მკითხველს მთავრობის ქმედების რეალური შედეგები, კერძოდ ის, რომ ის იწვევს სისხლისღვრას. თუ წლების წინ საზოგადოება ცდილობდა ომთან და სამხედრო ქმედებებთან დაკავშირებით ევფემიზმები გამოეყენებინათ, დღესდღეობით ეს მცდელობა აღარ შეიმჩნევა და ეს სიტყვები არა თუ დაუბრუნდა მედიის აქტიურ ლექსიკას, არამედ შეიცვალა უარყოფითი შეფასების სიტყვებით და გამოთქმებით, ანუ, დისფემიზმებით, როგორც ზემოთ აღმიშნულ მაგალითში bloodshed.

თუ დისფემიზმების გამოყენებით საზოგადოება ცდილობს, გამოამჟღავნოს სხვადასხვა პირის ქმედებები ან საყვედური გამოთქვას ხელისუფლების წარმომადგენელთა და პოლიტიკოსთა ქმედებების მიმართ, ევფემიზმების გამოყენება კი საპირისპირო მიზანს ემსახურება, იმ მწვავე რეალობას, რომელიც ჩვენ გარშემო არსებობს, შერბილებულად გადმოსცემს. ომის თემასთან დაკავშირებით ხშირად გვხვდება შემდეგი ევფემიზმები.

*Chinese and North Korean Communists threw a heavy counter-attack yesterday against United Nations lines in the central mountains of Korea, holding a French-United States task force encircled in daylong combat--some of it hand-to-hand--until the arrival of reinforcements and savage air strikes compelled the enemy **to break contact** at dusk* (<https://www.globalpolicy.org/component/content/article/152/25798.html>).

Of course, the US may decide to strike first, but China and Russia now have the means of striking back with submarine-launched ballistic missiles with the same or even more devastating results. But knowing China's strategy of "active defense", when war with the US becomes imminent, China will surely not allow itself to be targeted first. It will seize the initiative as mandated by its doctrine by striking first (<https://www.globalpolicy.org/component/content/article/152/25798.html>).

*Just as U.S. air operations over Iraq have reached their highest level since the destruction of Fallujah in November 2004, with as many as 70 close **air support missions** flown on many days since October 1, a new Human Rights Report published by the United Nations Assistance Mission in Iraq has challenged the United States to stop killing civilians in **illegal air strikes*** (<https://www.globalpolicy.org/component/content/article/168/36362.html>).

დისფემიზმები ხშირად არის გამოყენებული დაბრალების მიზნით. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მოვიშველიებთ მაგალითს ტატანა აბაკოვას სტატიიდან „A bill would then have been rammed through the commons and would have been hacked about in the lords“. აღნიშნული დისფემიზმებით „to ram“ ნაცვლად „to pass“ და „to hack“ ნაცვლად „to reject“ ახსნილია ავტორის განზრახვა, რომ ბრალი დასდოს ბრიტანეთს საკანონდებლო ორგანოს უუნარობაში, რომ სწრაფად და სწორად მიიღოს კანონპროექტი (Абракова 2011:3).

დისფემიზმებს პრესაში პოლიტიკოსები იყენებენ ვინმეს დასამცირებლად. მომდევნო მაგალითში მოცემულია საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, პირადი დამოკიდებულება:

„ამას იმიტომ ვამბობ, რომ ყველა შესაძლო კეთილსინდისიერი კომპანია არ შეცდეს და არ მიიღოს მონაწილეობა უწიგნური ოლიგარქის ანტისაგანმანათლებლო ინიციატივაში.“

*I'm also telling that, because I want to warn all the good faith companies not to make a mistake and do not take part in the antieducational initiative of the **illiterate oligarch***
(<http://benewsbatumi.com/>)

აღნიშნული მაგალითი გვიჩვენებს, რომ გვაქვს დისფემიზმების იდენტური შესატყვისები ინგლისურ და ქართულ ენებში.

საგაზეთო ტექსტებში დისფემიზმების შემდეგი სახეები გამოიყენება:

1) ნეიტრალური სიტყვები გადაქცეულია შეურაცხმყოფელ ან დამამცირებელ სიტყვებად.

„ამ ილეთით პრეზიდენტი აგრძელებს ჩარეცხილების თემას - წულუკიანი“
(„კვირის პალიტრა“ № 3, 2013:3).

„იმ ფირმას სასწრაფოდ ლიკვიდაცია გაუკეთეს, როგორც მახსოვს, ერთ-ერთი ხელოვნურადაც ჩაძირეს, მოკლედ, საქმე ჩაიფარცხა“ („კვირის პალიტრა“ № 3, 2013:4).

2) დისფემიზმების საშუალებით შექმნილია რაიმე მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, ხაზგასმულია მოვლენის უკიდურესი მდგომარეობა. მსგავსი შემთხვევებით განსაკუთრებით პოლიტიკური სფერო გამოირჩევა.

„დღევანდელმა ლიბერალიზმა ლატაკებისთვის საჭმლის მიცემა აუკრძალა რესტორნებს, დუქნებს, მარკეტებს, სუპერმარკეტებს და სავაჭრო მოლოებს“
(„ასავალ დასავალი“ №3, 2015:2).

„ლიბერალური დემოკრატია ქმნის ამ რასიზმს, იმისათვის რომ ერთეულებმა - მდიდრების ძალიან პატარა უმცირესობამ - თავისი უპირობო ბატონობა შეინარჩუნოს და მოსახლეობის 90 პროცენტი მონობაში და სილატაკეში აცხოვროს“
(„ასავალ-დასავალი“ №3, 2015:2).

3) დისფემიზმებით უგულებელყოფენ პოლიტიკურ კორექტულობას. ამ თვისებით განსაკუთრებით პოლიტიკოსები გამოირჩევიან. ისინი ხშირად მიმართავენ დისფემიზმებს მეტყველებისას.

„ისინი პარლამენტში ჩხუბის შოუებს დგამენ თვეში ერთხელ - ერთმანეთს აგინებენ, პორჭყნიან, აფურთხებენ, უკვივან, ცემენ და სადამოს ერთად ქეიფობენ „დახურულ ზონებში“ („ასავალ-დასავალი“ №3, 2015:2).

4) დისკრედიტაცია - შეიძლება ჩაითვალოს დისფემიზმების ერთ-ერთ ძირითად ტიპად.

„გუბერნატორი კაცი დათვრა, გაიღეწა თავის მაღალჩინოსნებთან ერთად, უკანალზე საწერ-კალამი გამოიბა და ასე ცდილობდა მის ბოთლში ჩაშვებას!“ („ასავალ-დასავალი“ №3, 2015:4).

5) აქცენტირება - მაგალითად, თუ მოსაუბრეს სურს აქცენტი გააკეთოს პიროვნების ან მოვლენის უარყოფით მხარეებზე, შესაბამისად, ის დისფემიზმებით შემოიფარგლება. შემდეგი მაგალითი ხაზს უსვამს მთავრობის წარმომადგენელთა უდიერ საქციელს.

„მათი შენახვა ბევრი არაფერი დაგიჯდებათ, სულ ელემენტარულ პირობებშიც შეუძლიათ არსებობა - მთავარია ცოცხი იყოს, რეზინის „დუბინკა“ იყოს და დანარჩენს თვითონ მიხედავენ ნაცები!“ („ასავალ-დასავალი“ №3, 2015:4).

6) დადანაშაულება - ვინმეს დადანაშაულება დისფემიზმების გამოყენებით, რათა უარყოფითი ეფექტი შეიქმნას.

„მის შიზოფრენიულ თავში დაიბადა ცხინვალში აღლუმის ჩატარების იდეა. იმ დღეს რუსებმა გორი დაბომბეს“ („კვირის პალიტრა“ №44, 2013:7).

7) ფაქტების და მოვლენების გამწვავება.

„9-წლიანი სისხლიანი კალოს დასასრული“ („კვირის პალიტრა“ №44, 2013:1).
(ამ განცხადებით 9 წლის განმავლობაში თითქოს მხოლოდ სისხლისღვრა და მეტი

არაფერი ყოფილა, რა თქმა უნდა ეს განცხადება უფრო მეტად ამწვავებს ფაქტს, ვიდრე სინამდვილესია).

პოლიტიკურ ტექსტში ხელისუფლების ორგანოს მიმართ ბრალდებებისა და დაცინვის ტაქტიკის მეშვეობით დისკრედიტაცია მიზნად ისახავს შეურაცხყოფასა და დამცირებას.

საბჭოთა პერიოდში ხანდახან გვრცხვენოდა, რომ ქვეყანას ასეთი უტვინო და ხეპრე მეთაურები ჰყავდა. ახლაც მრცხვენია. ხან ერთ პრეზიდენტს მოეპრიანება ფოტოგრაფების წინაშე შიშვლად პოზირება, ან ქარგონით ლაპარაკობს; ხან მეორე, ქედმაღლური დიმილით ეთერში ისეთ რამეს დააბრეხვებს, ძალაუნებურად დაეჭვდება, რომ ათასწლოვანი კულტურული ტრადიციების ქვეყანაში ვცხოვრობთ (<http://www.kvirispalitra.ge/ras-weren-chvenze/8985-asethi-prezidenti-gvarckhvens.html>).

პირდაპირ ვაცხადებ და ძალიან გთხოვთ ასე დაწეროთ - „ქართული ოცნება“ **ჯობებით არის გასარეკი** იმის გამო, რომ ნაციონალური მოძრაობა ასე გაათავებდა (ასავალ-დასავალი №16, 2015:6).

შეურაცხყოფა ძირითადად ხორციელდება ინვექტივის მეშვეობით, მეორე მხრივ, შეურაცხყოფა შეიძლება არა უხეში სიტყვის, არამედ, ანორმატიული ლექსიკონის გამოყენებითაც, და ამით კიდევ უფრო დიდი ეფექტი მიიღწევა. შეურაცხყოფა შეიძლება იყოს პირდაპირი, ანუ პირდაპირ მიემართებოდეს ობიექტს, ან ირიბი - ობიექტის შეფასების მეშვეობით. მაგალითად,

The Senate ... cuts to Governor Ehrlich's funding for the environment, health care and education/Ehrlich has staged a number of events/the events have not helped Ehrlich's cause/The events, Hogan said, were «a lousy way to govern» (Абакова 2011:7).

შეურაცხყოფის ტაქტიკა წარმოდგენილია პოლიტიკოსის ქმედების აღწერის მეშვეობით, კერძოდ, რიგმა ლონისძიებამ, რომლებმაც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი: შემცირდა ჯანდაცვის, განათლების და გარემოს დაცვის პროგრამა, სიტყვა «lousy» ნაცვლად სიტყვისა «bad» (ცუდი), წარმოდგენილია როგორც დისფემიზმი,

ის სძენს დისფემისტურ ხასიათს მთელ ფრაზას «lousy way to govern» და შეიძლება ჩაითვალოს როგორც შეურაცხყოფა, რადგანაც ავტორი პოლიტიკოსს ფაქტობრივად უწოდებს «a lousy governor» (ტილიანი მმართველი).

შეურაცხყოფის ტაქტიკა ქართულ პრესაშიც ძალიან ხშირად გვხვდება, ასე მაგალითად:

საკაშვილმა განაცხადა, საქართველოში მაქსიმუმ ერთ წელიწადში დავბრუნდებით, მისი ტვინგარეცხილი მომხრეები კი სოციალურ ქსელებში უწერენ, ერთი წელი ძალიან ბევრია, ცოტა დააჩქარეთო! როგორ ფიქრობთ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას მართლა გააჩნიათ რაიმე რესურსი ხელისუფლებაში დასაბრუნებლად? („ასავალ-დასავალი“ №7, 2015:4).

ამგვარად, დისფემიზმები და ევფემიზმები ის ტაქტიკური ენობრივი საშუალებებია, რომელთა მეშვეობითაც შესაძლოა მიღწეულ იქნეს სასურველი პრაგმატიკული ეფექტი მასმედიაში. პოლიტიკურ ტექსტში, დისკრედიტაცია, რომელიც ხორციელდება შეურაცხყოფის, ბრალდებების, დაცინვის ტაქტიკის საშუალებით, ერთი მხრივ, მიმართულია პიროვნების დამცირებისა და შეურაცხყოფისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, ხელისუფლების ქმედებების გამოაშკარავებისა და დაცინვისაკენ. ეს ყოველივე შეიძლება რეალიზებული იყოს როგორც დისფემიზმის, ასევე ევფემიზმის გამოყენებით. დისფემიზმი და ევფემიზმი გამოიყენება როგორც ნეგატიური, ასევე ნეიტრალური ელფერით, ე.ი. გარკვეულ კონტექსტში იძენენ უარყოფით შეფასებას. მათ იყენებენ დაცინვის მიზნითაც, ე.ი. ატარებენ ირონიულ ხასიათს.

დღეს უფრო ხშირად გამოიყენება ევფემიზმები და დისფემიზმები, ვიდრე ოდესმე, განსაკუთრებით სარეკლამო, მედიის და პოლიტიკის სფეროში, რათა გავლენა მოახდინოს საზოგადოების აზრსა და გრძნობებზე. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე მოყვანილია მაგალითები პრესიდან:

საინტერესოა, რა შემადგენლობით შეიკრიბება უშიშროების საბჭო და მისცემენ თუ არა უფლებას ენაგადაყლაპულ მინისტრებს, დაესწრონ სხდომას („კვირის პალიტრა“ № 30, 2014: 8).

დარწმუნებული ვარ, უფალი თავისთან მანამ არ დამიძახებს, სანამ ძალიან დიდი ლურსმანს არ ჩავაჭედებ ნაციონალების კუბოში, გნებავთ პირდაპირი და, გნებავთ, გადატანითი მნიშვნელობით! („ასავალ-დასავალი“ №49, 2014:3).

მიხეილ სააკაშვილმა თქვენს კოალიციას ოროსნების და მნგრეველების ბრიგადა უწოდა („კვირის პალიტრა“ № 3, 2013:4).

დღეს, ძნელია წინასწარ იმის დანამდვილებით თქმა, ამ კონკურსში გამარჯვებული პროექტით, რა ბედი ეწევა რიყეზე დაყრილ, ეგრეთ წოდებულ, „დოქებს“ ანდა, იმავე „მიშას პამპერსად“ მონათლულ ხიდს“, მაგრამ ფაქტი ერთია: რიყე მიხეილ სააკაშვილის არქიტექტურული ბოდვისგან განთავისუფლებულია („ასავალ-დასავალი“ №49, 2014: 9).

საგაზეთო ტექსტში ევფემიზმები შეიძლება დაჯგუფდეს მათი საერთო სემანტიკური, ემოციური და შემფასებლური თვისებების მიხედვით. ევფემისტური რენომინაცია არის მნიშვნელოვანი, რათა მოვახდინოთ ზოგიერთი სიტყვის დეკოდირება დადებითი კონოტაციით და შევარბილოთ ყველაზე არასასიამოვნო ასოციაციები.

ზოგიერთი ევფემიზმი გამოიყენება, რათა რთული და ემოციური სიტუაცია გავხადოთ უფრო მისაღები. ქვემოთ მოცემულია მაგალითები ქართული პრესიდან.

ოთხი წელი საწოლს ვარ მიჯაჭვული თუმცა ვნატრობ, თუ ვერ გავივლი, სუნთქვა მაინც შევძლო აპარატის გარეშე (კვირის პალიტრა №4, 2014: 15).

დათა ახალაიამ მის თანმხლებ პირებთან ერთად მათი უმოწყალოდ ცემა დაუწყეს, მას შემდეგ რაც გული იჯერეს ვამეხ აბულაშვილის ცემით და დამცირებით, ახალაიამ საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა მის მფლობელობაში

არსებული ცეცხლსასროლი იარაღი, მიმართა დაჩოქილი აბულაშვილის და მისი მეგობრის დაბრუნდაშვილის მიმართულებით და დაემუქრა მათ სიცოცხლის მოსპობით (<http://www.netgazeti.ge/GE/105/law/32320>).

როდესაც ერეკლემ ლევან ბატონიშვილის ცხედარი თავისი თვალით იხილა, მაშინვე მიხვდა, რომ მოწამლული იყო და ვეჯინელების სასტიკად დასჯაც ბრძანა (<http://www.ambebi.ge/masmedia/59814-zhurnali-qgzaq-30>).

ზოგჯერ საგაზეთო სტატიებში ვხვდებით ევფემისტურ გამოთქმებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს ეხება. ევფემიზმების გამოყენება განპირობებულია შეშფოთების და ვინმეს გრძნობების შეურაცხყოფის თავიდან ასაცილებლად.

*The money will be used to provide social services for children under eight and students with **disabilities*** (<http://query.nytimes.com/search/sitesearch/#/disabilities/>).

*Pensioners, who have the highest number of spare rooms, are exempt, but critics say that a spare room is a necessity for many families, particularly those with **ill or disabled members*** (<http://www.guardian.co.uk/>).

უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების მიმართ შემდეგ ევფემიზმებს იყენებენ: სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი, მზრუნველობას მოკლებული.

„ფონდი ნატახტარის“ აქცია – ქართველი მხატვრები მზრუნველობამოკლებული მოზარდების დასახმარებლად („კვირის პალიტრა“ 2014, №6: 13).

ნარკოტიკების მოხმარების პრობლემა თანამედროვეობის წესად იქცა, მასთან დაკავშირებით, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში მრავლად გამოჩნდა ვულგარიზმები, რომლებიც აღნიშნავენ ნარკოტიკების დასახელებას, მათი მიღების პროცესს და თავისთავად ნარკოტიკდამოკიდებულ პირებს.

ქართველი სამართალდამცავები კასრებს ყურადღებას ალბათ არ მიაქცევდნენ, რომ არა წინასწარი ოპერატიული ინფორმაცია. სატვირთო ავტომანქანას

საქართველოს ტერიტორიაზე 2.790 კმ-მდე მსოფლიოში უკვე კარგა ხანია ცნობილი „ალაჰის ცრემლები“ გადაჰქონდა (<http://www.kvirispalitra.ge/versia/22349-qalahis-cremlebiq-saqarthveloshi-islamuri-samyaros-shurisdziebis-iaraghi.html>). აღნიშნულ მაგალითში „ალაჰის ცრემლები“ გამოყენებულია თხევადი ჰეროინის ჩასანაცვლებლად.

პატიმრები ყვებოდნენ, რომ ბუნტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე სპეცრაზმელი ეზოში თავმოყრილ პატიმრებში აზერბაიჯანულ გვარს გაჰყვიროდა. როცა იპოვეს, ყველამ იცნო „თეთრი მორიელის“ გადამზიდავი. პატიმრები ჰყვებოდნენ, რომ ის კედელთან მიაყენეს და უამრავი ადამიანის დასანახად დახვრიტეს(!) (<http://www.kvirispalitra.ge/versia/22349-qalahis-cremlebiqsaqarthvelo-shi-islamuri-samyaros-shurisdziebis-iaraghi.html>). ამ სახელწოდებით მოიხსენიებენ პიროვნებას, რომელსაც თხევადი ჰეროინი გადააქვს. კასრებს, რომელშიც ჰეროინია, თეთრი მორიელის ლოგო აქვს და სწორედ, აქედან წარმოიშვა ეს სახელწოდება.

თავიდან ქურდული სამყარო ფოცხვერიას ახალ ბიზნესს ღიმილით უყურებდა - მწვანელით რა ფული უნდა იშვოს კაცმაო—და ზურგს უკან „შავ მემწვანელს“ ეძახდნენ, თუმცა მალე ყველამ ნახა, რომ მოგება შთამბეჭდავი იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მწვანელის ბიზნესისთვის კანონიერ ქურდებს შორის ბრძოლაც კი გაჩაღდა (ე.წ. „ნიახურის ომი“) (<http://www.kvirispalitra.ge/versia/20610-qshavi-memtsvanilisq-bunti.html>). აღნიშნულ მაგალითში „შავი მემწვანელი“ დისფემიზმს წარმოადგენს, რადგან სიტყვა შავი უარყოფით კონოტაციას სძენს მას. „ნიახურის ომი“, კი ევფემიზმია, რადგან ის ნარკოტიკებით ვაჭრობის ბიზნესის ხელში ჩაგდებას ნიშნავს. აღნიშნული ევფემიზმი და დისფემიზმი წარმოიშვა იქიდან, რომ ადამიანს, რომელიც მწვანელით ვაჭრობდა, მასთან ერთად მარიხუანაც ჰქონდა.

ევფემიზმების და დისფემიზმების არჩევა დამოკიდებულია იმ პიროვნებაზე, რომელიც საუბრობს. მათი არჩევა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. შემდგომ მაგალითებში ადრესატი ერთი და იგივე პიროვნებაა, მაგრამ ერთი

პოლიტიკოსი მას ევფემიზმით მოიხსენიებს, ხოლო მეორე დისფემიზმით, რაშიც მოსაუბრეთა პირადი დამოკიდებულება გამოიხატება.

შევარდნაძე მამუკა ხაზარაძეს ეუბნებოდა - ნუ აყვირებ ხალხს, ჭაბურღილების ის 10 პროცენტი მაინც მიეცი ადგილობრივ მეწარმეებსო! ამაზე ხაზარაძე იყო კატეგორიული წინააღმდეგი, რადგან ბუნებით არის გაუმძღარი („ასავალ-დასავალი“ №7, 2015:14).

იმაზე მიკვდება გული, რომ ჩვენ ხალხად არავინ გვაგდებას - ხაზარაძეებმა უნდა ისწავლონ უცხოეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, ხაზარაძეებს უნდა ჰქონდეთ ყველაფერი საუკეთესო და ამ დროს ჩვენ, თურმე არც შვილები გვინდა, არც განათლება, არც ჭამა და არც სმა! ამაზრზენი და დამთრგუნველია მამუკა ხაზარაძის სიხარბე („ასავალ-დასავალი“ №7, 2015:15).

საგაზეთო ტექსტებში ხშირია შემთხვევა, როცა მთავრობის წარმომადგენლები ევფემიზმების არჩევით შემოიფარგლებიან, რათა შეარბილონ ფაქტები, ხოლო ოპოზიციური პარტია დისფემიზმებით, რათა გაამწვაონ ფაქტები და ხაზი გაუსვან მოქმედი მთავრობის უუნარობას, ასე მაგალითად, ერთი და იმავე მოვლენისადმი ეკონომიკის მინისტრი ევფემიზმს იყენებს, ხოლო ოპოზიცია - დისფემიზმს.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ, გიორგი ქადაგიძემ განაცხადა, წინასწარი მონაცემებით, შეინიშნება ეკონომიკური აქტივობის შენელება. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განმარტებით, ამის პასუხად ეროვნულმა ბანკმა დაიწყო პოლიტიკის შერბილება და ბოლო გადაწყვეტილებით შეამცირა რეფინანსირების განაკვეთით. „ზოგადად იანვარი არის ეკონომიკურად პასიური თვე (http://www.for.ge/view_news.php?news_id=12923&news_cat=2).

სამწუხაროდ, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, პოლიტიკური კრიზისი ივანიშვილის რეჟიმისა გადაიხარდა ფინანსურ-ეკონომიკურ კატასტროფაში („ასავალ-დასავალი“ №16, 2015:19).

აღნიშნული ევფემიზმით პოლიტიკოსი ცდილობს არ მოახდინოს უარყოფითი შთაბეჭდილება საზოგადოებაზე, ასევე გააკონტროლოს ინფორმაციის გადაცემა და შენიღბოს ჭეშმარიტება, დისფემიზმი კიდევ უფრო ამწვავებს ფაქტს.

პოლიტიკური ევფემიზმები პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება. პოლიტიკოსებისთვის ენა ის იარაღია, რომელთა საშუალებითაც ისინი ახერხებენ სკანდალების დაფარვას, სიმართლის შენიღბვას, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას. პოლიტიკურ ევფემიზმებს სამი ძირითადი თვისება ახასიათებთ.

1. ევფემიზმები, რომლებიც ფარავს აგრესიულ საომარ მოქმედებებს და გამოიყენება რეალობის ნეგატიური მოვლენებიდან ყურადღების გადასატანად. ინგლისურ ენაში ასეთი ევფემიზმები მომრავლდა XX საუკუნის 60–იან წლებში ვიეტნამის ომის დროს. სიტყვებმა involvement და conflict ჩაანაცვლა შემდეგი სიტყვებით aggression და war. სიტყვა bomb-ის ნაცვლად იყენებდნენ device, ხოლო დაბომბვის (bombing) ნაცვლად – limited air strike ან air support და საბოლოოდ მოკლულებს უწოდებდნენ body-count ან inoperative combat personnel.

*But like so many Afghan dreams dashed in 23 years of war, the \$1.9-billion natural gas pipeline project never got past the talking and enticing. When rivalries were fully inflamed, the vision quickly vanished. Unocal pulled the plug on its **involvement** in 1998, after the Clinton administration ordered **airstrikes** on suspected terrorist camps in the country. Now the leaders of Afghanistan and neighboring Turkmenistan and Pakistan hope to revive the venture at a summit today, and as the intrigue starts to swirl again, this shattered country desperate for foreign investment risks getting sucked into another bitter round of pipeline politics* (<https://www.globalpolicy.org/component/content/article/198/40163.html>).

*The court also disregarded the defence's claim that civilian casualties were merely the **collateral damage** arising from a legitimate military campaign* (<https://www.globalpolicy.org/home/163-general/29272.html>).

2. ევფემიზმები, რომლებიც ასოცირდება სოციალურ და ეკონომიკურ სფეროთა უარყოფით მხარეებთან. XX საუკუნეში ეკონომიური კრიზისი მოიხსენიებოდა სიტყვით Slump, შემდეგ ის ჩანაცვლდა სიტყვით Depression, რამაც გამოიწვია ახალი ევფემიზმის ჩამოყალიბება Recession. თვით სოციალური სტრუქტურის „კაპიტალიზმის“ სახელწოდებამაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში შეიძინა მთელი რიგი ახალი და უდავოდ ევფემისტური ბუნება: The system of free enterprising, open society, economic humanism.

*It turns out that by one important measure — changes in real G.D.P. since the recession began — Britain is doing worse this time than it did during the **Great Depression**. Four years into the Depression, British G.D.P. had regained its previous peak; four years after the **Great Recession** began, Britain is nowhere close to regaining its lost ground* (<https://www.globalpolicy.org/social-and-economic-policy/the-world-economic-crisis/general-analysis-2/51256-the-austerity-debacle-.html?itemid=id>).

3. დანაშაულთან დაკავშირებული ევფემიზმები. Correctional facilities შეცვალა სიტყვა Prison, თვით პატიმრებს კი უწოდებენ Clients of correctional system, guests ან people enjoying temporarily hospitality from the state. ციხე - სასჯელაღსრულების დაწესებულება, გამოსასწორებელი დაწესებულება; პატიმარი - მსჯავრდებული და ა.შ.

*Three guards accused of beating an inmate at the Attica **Correctional Facility** so severely that doctors had to insert a plate and six pins into his leg each pleaded guilty on Monday to a single misdemeanor charge of misconduct. The last-minute plea deal spared them any jail time in exchange for quitting their jobs* (<http://www.nytimes.com/2015/03/03/nyregion/attica-prisonguards-plead-guilty-in-2011-inmate-beatingcase.html>).

*თუმცა ადვოკატი მევლუდ ჯანჯღავა ამბობს, რომ იცავდა ბრალდებულს, რომელმაც ავადმყოფი დედა სწორედ მისივე თხოვნით მოკლა, რადგან იგი გაუსაძლის ტკივილს ვეღარ უძლებდა. იგი ჯერაც **სასჯელაღსრულების ერთ-ერთ დაწესებულებაში** დედის განზრახ მკვლელობისთვის იხდის სასჯელს*

(<http://www.kvirispalitra.ge/justice/19191-qirtsmuneboda-rom-dedas-thkhovna-sheusrula-damitom-moklaq-evthanazia-qarthulad-eqskluzivi.html>).

ბრაზილიის შტატ გოიასის კოლონიაში უიღბლო პატიმრის გაქცევა წარუმატებლად დამთავრდა. მსჯავრდებული მისი თანამზრახველების მიერ კედელში გაკეთებულ ხვრელში გაიჭედა. **გამოსასწორებელი დაწესებულების** პატიმარი რაფაელ ვალდაო მეგობრებს მიჰყვება, მაგრამ საკუთარი გაბარიტები არ გაითვალისწინა (<http://www.ambebi.ge/mozaika/66913-patimari-cikhidan-gaqcevis-dros-khvrelshi-gaitceda.html>).

პოლიტიკური ევფემიზმის შემთხვევაში, მთელი სიმწვავეთ დგას ის საკითხი, რომელიც მეტ-ნაკლებად ნებისმიერი ევფემიზმის დროს შეიძლება წამოიჭრას: ევფემიზმი შეიძლება გამოიყენებოდეს პირდაპირი და არაპირდაპირი მნიშვნელობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევფემიზმში პოტენციურად არსებობს სიცრუედ გადაქცევის საშუალება. საშიშროება განსაკუთრებით მაშინ ჩნდება, როდესაც ევფემიზმი ახალია. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტს, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, რა თვალსაზრისით, რა მიმართებით, ე.ი. საბოლოო ჯამში, სახელდობრ, რომელი გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი მოცემული ევფემისტური სიტყვა (ან გამოთქმა), რომელ ობიექტურ მონაცემზე მიუთითებს ამ შემთხვევაში. ეს გადატანითი მნიშვნელობა იქნება მოცემულ შემთხვევაში მისი რეალური მნიშვნელობა, თუნდაც იგი ევფემიზმად გამოყენებული სიტყვის (ან გამოთქმის) პირდაპირი მნიშვნელობის დიამეტრულად საწინააღმდეგო იყოს, როგორც, მაგალითად, ევფემისტურ ანტიფრაზაში „თავდაცვითი გაერთიანება“ („აგრესიული ბლოკის“ ნაცვლად) (ჯორჯანელი, 77:1977).

მართლაც ზოგიერთმა ევფემიზმმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მსმენელი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ახალია და დამკვიდრების გზაზეა. როგორც კ. ჯორჯანელი აღნიშნავს, - კონტექსტი იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოვარკვიოთ, თუ რა თვალსაზრისით იყო გამოყენებული ესა თუ ის ევფემიზმი. აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვერაფრით ვერ დავეთანხმებით პინკერს, როცა ის ამბობს, რომ ევფემიზმები გამოიყენება მოტყუების მიზნით, მართალია,

ზოგიერთი ევფემიზმი გამოიყენება იმ მიზნით, რომ რეალობის უხეში ფაქტები დაიფაროს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს ატყუებენ. ევფემიზმების მიზანია, შეარბილოს ფაქტები, შეამციროს მსმენელში უარყოფითი ემოციები. ქვემოთ მოცემულია ევფემიზმები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ მიზანს ემსახურება.

ყოველ შემთხვევაში, იყო მოლოდინი, რომ ოქრუაშვილი თავისი ჩვენებით გახმაურებულ საქმეებსა და ელიტარული კორუფციის ფაქტებს ახდიდა ფარდას („კვირის პალიტრა“ 2013:3).

საპარლამენტო უმცირესობის წევრი, გოგა ხაჩიძის ინფორმაციით, არჩევნებში უკვე დაფიქსირდა პირველი „კარუსელის“ მცდელობა (<http://presa.ge/new/?m=votes&AID=22818>).

ევფემიზმი რეკლამაში გამოიყენება მკითხველის დაინტრიგების აუცილებლობით. ეს ტექნიკა განსაკუთრებით გავრცელებულია რეკლამებში. ტაბუდადებული ლექსიკის გამოყენების დაშვების გათვალისწინებით ადრესანტს მსგავს სარეკლამო ტექსტებში მაინც ურჩევნია გამოიყენოს ნაკლებად დამაინტრიგებელი, ამაღელვებელი, მაგრამ უფრო საინტერესო და მძაფრი ევფემისტური გამონათქვამები. სარეკლამო ტექსტის რეციპიენტზე ზემოქმედების ძალა იზრდება, თუ ახალ ცოდნას ის იღებს არა მზა სახით, ანუ, პირდაპირი ნომინაციის მეშვეობით, რადგან მნიშვნელობის გაანალიზება „ხსნის“ ინტრიგებს, განცდის სიმძაფრეს. სწორედ სურათის დამოუკიდებლად გააზრებას, რეციპიენტის ცნობიერებაში დენოტატის და ასოციაციის შედარებას თან ახლავს უფრო ინტენსიური ემოციური განცდები.

დისფემიზმების გამოყენება მთელ რიგ სარეკლამო ტექსტში საქონლის გაყიდვის, მომსახურებისა და იდეების სტიმულირების ეფექტური საშუალებაა. ზემოქმედების მექანიზმი ამ შემთხვევაში არის ის, რომ სარეკლამო ტექსტში მათი მეშვეობით მიმღები (ადრესატი) აძლიერებს სუსტ, გვერდით მოვლენებს კონკრეტულ ობიექტზე ან თემაზე, და შემდეგ სთავაზობს ამ პრობლემის გადაჭრას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ისარგებლოს სარეკლამო მომსახურებით.

პრესტიჟულ ამერიკულ გაზეთში "The New York Times"- ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია ათავსებს შემდეგი სახის სარეკლამო ტექსტს:

*Over 65.000 horses were **killed** last year in foreign-owned slaughter houses in the United States. Some were former pets and race horses, others were once wild mustangs. Many were subject to **inhuman** transport before their **brutal slaughter**. Their flesh was then sent abroad to be served in upscale restaurants. Please help to protect America's horses* (<http://query.nytimes.com/gst/abstract.html?res=9E0CEED9103CE433A25756C0A96F9C94699ED7CF>).

ამ სარეკლამო ტექსტში 'to kill' პირდაპირ ნომინაციასთან ერთად გამოყენებულია დისფემისტური გამონათქვამი 'brutal slaughter', რათა ხაზი გაესვას მოვლენისადმი მის უარყოფით დამოკიდებულებას.

დისფემიზმის შემცველი წინადადება და უარყოფითი სემანტიკის სიტყვა 'inhuman' აღიქმება როგორც მაღალი ხარისხით უარყოფითი ემოციების გამოხატვის მაკონცენტრირებელი და ამით ადრესანტი იმედოვნებს, რომ დარწმუნების ასეთი მეთოდი იქნება ყველაზე ეფექტური (Александров 2012:6).

ენობრივი დიქტომიის შედგენისას ევფემიზმები და დისფემიზმები წარმოადგენს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ საპირისპირო მოვლენებს, რომელთა ძირითადი მახასიათებლებია შესაბამისი პრაგმატიკული ეფექტი: ევფემიზმების გამოყენება მიმართულია ნეგატიური პრაგმატიკული ეფექტის განეიტრალებისაკენ, ხოლო დისფემიზმების გამოყენება ამ ეფექტის ინტენსიფიკაციისაკენ (Александров 2012:6).

თანამედროვე ენობრივ კოლექტივში საზოგადოების მთავარი მოტივი არის ევფემიზმებისა და დისფემიზმების გამოყენების არა სოციალური აკრძალვა, არამედ კონკრეტულ კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ სიტუაციაში ტაბუდადებული ლექსიკური ერთეულის აკრძალვა. შესაბამისად, ყველაზე რელევანტურ პარამეტრებად რჩება კომუნიკაციის მიზანი, როლი და კომუნიკანტებს შორის პირადი ურთიერთობები (დამოკიდებულება), რომლებიც ევფემიზმებისა და

დისფემიზმების გამოყენებით არეგულირებენ საკუთარ კომუნიკაციურ ინტერესებს.

ევფემიზაცია და დისფემიზაცია არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც გარკვეული რაოდენობის სიტყვების თანდაყოლილი სპეციფიკა, რომელიც განმტკიცებულია ენობრივი სისტემის მნიშვნელობის ფარგლებში. ევფემიზმებისა და დისფემიზმების მოვლენა არსებობს მეტყველებაში და შეიძლება დადგინდეს მეტყველი სუბიექტის ინტენციის ანალიზიდან გამომდინარე, კონკრეტულ გამონათქვამებში მისი საკომუნიკაციო მიზნების ანალიზიდან გამომდინარე, კონტექსტის გათვალისწინებით (Александров 2012:6).

ევფემიზმებისა და დისფემიზმების გამოყენების ანალიზი, როგორც ადრესანტის კომუნიკაციური ზრახვებისა და ადრესატის გარკვეული ემოციური რეაქციების შედეგი, საგაზეთო კომუნიკაციების სფეროში ცხადყოფს შემდეგს: თანამედროვე ინგლისურენოვან საგაზეთო ტექსტში ევფემიზმების მხოლოდ მცირე რაოდენობა გამოიყენება მექანიკურად, როგორც მოცემულ სოციუმში მსოფლიოს შესახებ ცოდნის დაფიქსირების ყველაზე მისაღები საშუალება.

ევფემიზმებისა და დისფემიზმების უმეტესობა გამოიყენება შემოქმედებითად, წარმოადგენს რა ისინი სუბიექტურობისა და ინტერპრეტაციულობის შედეგს და საშუალებას აძლევენ ადრესატს ინდივიდუალური სემანტიკური ამოცანის, ანუ თავისი საკომუნიკაციო განზრახვის ყველაზე შესაფერისი საშუალებით ენობრივად გამოხატვას. დისფემიზმების გამოყენება ასევე გვაძლევს საშუალებას, კომუნიკაცია და სოციალური ურთიერთქმედება იყოს უფრო ეფექტური, ხშირ შემთხვევაში მწვავე კი, როგორც ქვემოთ მოცემულ მაგალითებშია:

ფეხზე უნდა დადგეს მთელი ქვეყანა და როგორმე უნდა მოვახერხოთ, რომ ამ გახრწნილმა და ბინძურმა ტელევიზიებმა საქართველო სამუდამოდ არ დაღუპონ („კვირის პალიტრა“ № 3, 2013: 3).

მე არ ვამბობ, რომ ტელევიზიებს ხმის ამოღების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მათ საქმიანობაზე მკაცრი საზოგადოებრივი კონტროლი უნდა დაწესდეს! ბოიკოტი უნდა გამოუცხადოთ „რუთავი-2“-ს და იმ ტელევიზიებს, რომლებიც შხამის ნთხვის, ცინიკოსობის, სიშიშვლისა და სიბინძურის მეტს არაფერს აკეთებენ! („კვირის პალიტრა“ № 3, 2013: 3).

საინფორმაციო ტიპის ტექსტში ევფემიზმების გამოყენებას აქვს პრაგმატიკული ორიენტაცია: ევფემიზმების კოგნიტური პოტენციალი ხელს უწყობს მასობრივ ცნობიერებაში გარკვეული, წინასწარ განსაზღვრული იდეების და წარმოდგენების ფორმირებას და კონსოლიდაციას (Александров 2012:5).

ევფემიზმების და დისფემიზმების საგაზეთო ტექსტის ჟურნალისტურ სტილში გამოყენება ეფექტური საშუალებაა იმისთვის, რომ მკითხველის ყურადღება მიპყრობილ იქნეს ტრადიციულად ტაბუდადებული თემატიკის (ინტიმური ურთიერთობის, სიკვდილის, დანაშაულის თემის, ეკონომიკური პრობლემების) მიმართ. ამ დროს აპელირება ხდება არა ინტელექტუალურ ანალიზზე, არამედ ემოციური ფონის თანმხლები გრძნობის აღქმაზე, სწორედ აღქმის ემოციური ფონის გამოწვევის უნარია ამ ტიპის ტექსტში გამოყენებული ევფემიზმების და დისფემიზმების მთავარი მახასიათებელი.

კაცი ასე უფრთხილდებოდა ქართული მიწის თითო გოჯს და ასეთი ადამიანი სამშობლოდან გააძევა ნაძირალა სააკაშვილმა, რომელმაც მთელი აჭარა თურქებს მიჰყიდა („ასავალ-დასავალი“ №49, 2014: 4).


ხელისუფლების სათავეში არაკაცები და ჩრიდილოვანი ეკონომიკის ვარსკვლავები მოვიდნენ („ასავალ-დასავალი“ №49, 2015:34)

აღბათ, გახსოვთ სააკაშვილის ისტორიული თუ ისტერიული შემახილი „ასლანი გაიქცა! აჭარა თავისუფალია!“ ეს იყო 2004 წლის 6 მაისს, როცა „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ავაზაკების ხელისუფლებამ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მინი-რევოლუცია მოაწყო და ასლან აბაშიძის მთავრობა დაამხო („ასავალ -დასავალი“ №49, 2014: 5).

მოლაპატედ მიმაჩნია ყველა, ვინც რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გააჩერა და 40 ათას კაცზე მეტი ულუკმაპუროდ დატოვა („ასავალ -დასავალი“ №49, 2014: 5). აღნიშნული ევფემიზმით ხაზი ესმება ეკონომიკურ მდგომარეობას საქართველოში. ამ ევფემიზმით ჩანაცვლებულია სიტყვა მშვიერი.


მსგავსი განცხადებები, რა თქმა უნდა, ემოციურია და მკითხველის ყურადღებასაც იპყრობს.

ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითების (100 ქართული, 100 ინგლისური) საფუძველზე, საინტერესო იქნება პროცენტულად ვაჩვენოთ, თუ რომელი სფერო გამოირჩევა ყველაზე მეტად ევფემიზმების გამოყენებით, როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაში.



როგორც სტატისტიკურმა მონაცემებმა აჩვენა, ქართულში ევფემიზმების გამოყენების სიხშირით ყველაზე ჭარბობს პოლიტიკა, სოციალური და ეკონომიკური სფეროები, საომარ ქმედებებთან დაკავშირებული ევფემიზმები.

ინგლისური ევფემიზმების სტატისტიკა:



უფრო მეტი სიცხადისთვის ვნახოთ შემდეგი სქემა, რომელიც ნათელ სურათს გვაძლევს შესადარებლად.

	ქართული ევფემიზმები	ინგლისური ევფემიზმები
1.	სოციალური და ეკონომიკური სფეროს აღმნიშვნელი ევფემიზმები(19%)	საომარ ქმედებებთან დაკავშირებული ევფემიზმები(21%)
2.	საომარ ქმედებებთან დაკავშირებული ევფემიზმები(17%)	სოციალური და ეკონომიკური სფეროს აღმნიშვნელი ევფემიზმები(18%)
3.	პოლიტიკური ევფემიზმები(16%)	პოლიტიკური ევფემიზმები(17%)
4.	დანაშაულთან დაკავშირებული ევფემიზმები(15%)	ევფემიზმები, რომელთა საფუძველს ტაბუ წარმოადგენს(14%)
5.	ევფემიზმები, რომელთა საფუძველს	დანაშაულთან დაკავშირებული

	ტაბუ წარმოადგენს(13%)	ევფემიზმები(12%)
6.	განსხვავებული შესაძლებლობების აღმნიშვნელი ევფემიზმები(9%)	დაავადებებთან დაკავშირებული ევფემიზმები(7%)
7.	დაავადებებთან დაკავშირებული ევფემიზმები(7%)	განსხვავებული შესაძლებლობების აღმნიშვნელი ევფემიზმები(6%)
8.	პროფესიული ევფემიზმები(4%)	პროფესიული ევფემიზმები(5%)

სარეკლამო ტიპის ტექსტში ევფემიზმებისა და დისფემიზმების გამოყენება საშუალებას იძლევა ხელი შეუწყოს და სტიმული მისცეს ადრესატის მოქმედების საფუძვლად დადებულ ტექსტის მოტივებს.

1. ევფემიზმი და დისფემიზმი შეადგენს ენობრივ დიქტომიას, რომლის საფუძველია პერიფრაზი, როგორც საერთო ფორმირების მექანიზმი, ასევე ის ფაქტი, რომ ევფემიზმებისა და დისფემიზმების მნიშვნელობის კოგნიტური (შემეცნებითი) კომპონენტი, როგორც ლექსიკური ერთეული, უცვლელი რჩება, ცვლილებები ეხება მხოლოდ პრაგმატულ კომპონენტს. ევფემიზმებისა და დისფემიზმების დაპირისპირებაზე მეტყველებს პრაგმატიკული ეფექტი, რომელიც მიიღწევა მათი გამოყენებით. ევფემიზმების გამოყენება ხელს უწყობს გამონათქვამების უარყოფითი ეფექტის განეიტრალებას. დისფემიზმების გამოყენება ხელს უწყობს ნეგატიური პრაგმატიკული ეფექტის გაძლიერებას.

2. ბევრი ლექსიკური ერთეულის ევფემისტურობა და დისფემისტურობა გენერირებულია მეტყველების დონეზე და კონკრეტულ კონტექსტში გამონათქვამების წარმოშობისა და აღქმის პროცესების სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს. უნდა ვთქვათ ასევე, რომ ევფემიზმების და დისფემიზმების განსაზღვრის და მათი მოვლენებიდან გამოყოფის დროს წამყვანი პრაგმატიკული კრიტერიუმია.

3. განისაზღვრა ლექსიკური ერთეულის ძირითადი სემანტიკური მახასიათებლები, რომლებიც გამოიყენება ევფემიზმების სახით საგაზეთო

ტექსტში, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს რამდენიმე ჯგუფის სახით: 1) დადებითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები; 2) ფართო მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები; 3) დისფემიზმების სახით გამოყენებული უარყოფითი, დამამცირებელი მნიშვნელობის სიტყვები.

4. დამტკიცდა, რომ წაშლილი და პოლიტიკურად კორექტირებული ევფემიზმები საგაზეთო ტექსტისთვის გამოხატვის სტილისტიკურად ნეიტრალურ საშუალებებია. დისფემიზმები, შემთხვევითი ევფემიზმები, ასევე ევფემიზმები, რომლებიც გამოყენებულია ერთი ტექსტის ფარგლებში, წარმოადგენს სტილისტიკურად მარკირებულ გამონათქვამებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტექსტის თავისებურებებს.

ალექსანდროვი გამოყოფს სხვადასხვა ტიპის საგაზეთო ტექსტში (საინფორმაციო, ანალიტიკური, ჟურნალისტური, სარეკლამო) ევფემიზმისა და დისფემიზმის ძირითად პრაგმატიკულ ფუნქციებს.

საგაზეთო ტექსტის ტიპები	ევფემიზმი	დისფემიზმი
საინფორმაციო ტექსტი	მოახდინოს ფარული გავლენა, შექმნას ემოციურ-შემფასებლური დამოკიდებულება წარმოდგენილი მოვლენის მიმართ; შექმნას კომუნიკაციური და ეთიკური კომფორტი.	გამოყენება არ არის ტიპური
ანალიტიკური ტექსტი	ავტორისეული სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვა და სურვილი, გახადოს თავისი შეხედულებები მაქსიმალურად სანდო, იყოს თავაზიანი და ტაქტიანი.	ხაზი გაუსვას პრობლემების სერიოზულობას, გამოიწვიოს საზოგადოების აღშფოთება: კონკრეტული არსის დისკრედიტაცია.

<p>პუბლიცისტური ტექსტი</p>	<p>დააფიქროს მკითხველი, გაზარდოს ინტერესი განცხადებისადმი.</p>	<p>მაქსიმალურად ექსპრესიულად გამოხატოს საკუთარი ურყოფითი დამოკიდებულება, უსიამოვნო შთაბეჭდილება ფაქტების მიმართ; გამოხატოს უკმაყოფილება აგრესიული სიტყვებით.</p>
<p>სარეკლამო ტექსტი</p>	<p>დამალოს ან დაასუსტოს სარეკლამო ობიექტის უარყოფითი თვისებები, სურვილი დელიკატურად და ტაქტიანად აღნიშნოს დენოტატი, რადგანაც პირდაპირი ნომინაცია აღიქმება მტკივნეულად და ჟღერს შემაშინებლად; დააინტრიგოს ადრესატი პოტენციური მყიდველის მოტივაციის შენარჩუნებით.</p>	<p>ხელს უწყობს სავარაუდო უარყოფით თვისებებზე რეაგირებას.</p>

(<http://31f.ru/author-abstract/page,5,462-avtoreferat-evfemiya-i-disfemiya-v-gazetnom-tekste.html>).

საინფორმაციო ტექსტის ფუნქციაა, მოახდინოს ფარული გავლენა, შექმნას ემოციურ-შემფასებლური დამოკიდებულება წარმოდგენილი მოვლენის მიმართ; შექმნას კომუნიკაციური და ეთიკური კომფორტი.

ანალიტიკური ტექსტის დანიშნულებაა ავტორის სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვა და სურვილია გახადოს თავისი შეხედულებები მაქსიმალურად სანდო, იყოს თავაზიანი და ტაქტიანი, ხაზი გაუსვას პრობლემების სერიოზულობას, გამოიწვიოს საზოგადოების აღშფოთება: კონკრეტული არსის დისკრედიტაცია.

პუბლიცისტური ტექსტის ფუნქციაა, დაინტერესოს მკითხველი, გაზარდოს ინტერესი განცხადებისადმი. მაქსიმალურად ექსპრესიულად გამოხატოს საკუთარი ურყოფითი დამოკიდებულება, უსიამოვნო შთაბეჭდილება ფაქტების მიმართ; გამოხატოს უკმაყოფილება აგრესიული სიტყვებით.

სარეკლამო ტექსტის ფუნქციაა, დამალოს ან დაასუსტოს სარეკლამო ობიექტის უარყოფითი თვისებები, დელიკატურად და ტაქტიანად აღნიშნოს დენოტატი, რადგანაც პირდაპირი ნომინაცია მტკივნეულად აღიქმება და შემაშფოთებლად ჟღერს; მისი მიზანია, დაინტერესოს ადრესატი და მას, როგორც პოტენციური მყიდველს, შეუნარჩუნოს მოტივაცია. ის ასევე ხელს უწყობს სავარაუდო უარყოფით თვისებებზე რეაგირებას.

დისფემიზმები არის ოპოზიციური ევფემიზმებისა, დეტონანტს ნეგატიურ ელფერის (მაღალი ხარისხის) სძენენ და ორიენტირებულია უარყოფითი გავლენის მოხდენაზე. სამეტყველო გავლენის თვალსაზრისით დიდ როლს თამაშობს გაზეთები.

სარეკლამო ტიპის ტექსტში ევფემიზაცია გამოწვეულია მთელი რიგი მიზეზით. პირველ რიგში, ეს არის ადრესატის სარეკლამო ტექსტთან მიმართებით სახეცვლილი აქტის მიყენების მიუღებლობა. გარკვეული კატეგორიის ადამიანები საზოგადოებაში აღიქმებიან, როგორც მისი არასრულფასოვანი წევრები, ასე რომ, თუ რეკლამის შემკვეთი უზრუნველყოფს მათთვის განკუთვნილ მომსახურებას, ის ძალიან ფრთხილად უნდა მიუდგეს ამ ადამიანებთან მიმართებით ფორმულირების საკითხს, რათა თავიდან აიცილოს მათი ენობრივი დონის სოციალური დისკრიმინაცია.

ზოგიერთ რეკლამირებულ ობიექტს აქვს გარკვეული უარყოფითი მახასიათებელი, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს საქონლის გაყიდვაზე, მაგრამ შეუძლებელია არ იყოს ნახსენები ამის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, სარეკლამო ტექსტის ავტორი იყენებს ევფემიზმს. ეს საშუალებას იძლევა შეამციროს სარეკლამო ობიექტის უარყოფითი თვისებები და ამით შეინარჩუნოს პოტენციური მყიდველის შინაგანი მოტივაცია, რომელიც დევს მომხმარებლის სამომხმარებლო ქმედებებში- 25-75% ფასდაკლება.

ზოგადი დასკვნები

ევფემიზაციის და დისფემიზაციის პროცესი საერთო მოვლენაა თითქმის ყველა ენისთვის, რადგან ყველა კულტურაში არის ცნებები, რომელთა პირდაპირ ხსენებას ადამიანები თავს არიდებენ ან, პირიქით, შთაბეჭდილების მოსახდენად მოურიდებლად იყენებენ. ამდენად, უნივერსალობა, რომელიც კარგად არის ცნობილი და მიღებული საზოგადოების მიერ, ევფემიზმების ერთ–ერთი დამახასიათებელი თვისებაა, რის საფუძველზეც შევიმუშავეთ ინგლისური და ქართული ევფემიზმების კლასიფიკაცია სემანტიკური კატეგორიების მიხედვით.

ევფემიზმები და დისფემიზმები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად და თან გაუცნობიერებლადაც გამოიყენება. ევფემიზმებისთვის დამახასიათებელია არასტაბილურობა. ზოგიერთი შეიძლება „მოკვდეს“ გარკვეული დროის შემდეგ, ზოგიერთი კი შეიძლება ხელახლა დამკვიდრდეს ენაში. ევფემიზმები შეიძლება ერთ სფეროში ნაკლებად მრავალფეროვანი იყოს და ამავე დროს მეორეში გამოირჩეოდეს სიმრავლით. აგრეთვე დავადგინეთ ევფემიზმების და დისფემიზმების პრაგმატიკული მნიშვნელობა საგაზეთო ტექსტებში, პოლიტიკურ დისკურსსა და რეკლამაში.

ევფემიზაციის პროცესში სხვადასხვა გრძნობა და ემოციაა ჩართული. ევფემიზმები გამოიყენება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. მისი დანიშნულებაა, შეარბილოს მოსაუბრის ზემოქმედება მსმენელზე. ევფემიზმების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის ნაკლოვანი მხარეების დაფარვა, რეალობის შენიღბვა, მსმენელში უარყოფითი ემოციების შემცირება.

ევფემიზმების და დისფემიზმების სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებების მიხედვით შესწავლამ გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდი დანიშნულება აქვთ მათ. ვნახეთ, თუ რა და რა სემანტიკურ კატეგორიებად იყოფა თითოეული მათგანი. შევისწავლეთ ევფემიზმების და დისფემიზმების პრაგმატიკული ფუნქციები, აგრეთვე, ვნახეთ, რომ ევფემიზმებისთვის დამახასიათებელია ცუდი თვისებების დაფარვა, თავაზიანობა, დისკრედიტაცია და ა.შ

ევფემიზმების და დიფემისმების შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ამ ორ კულტურას შორის მსგავსებაა ევფემიზმების და დისფემიზმებს გამოყენების თვალსაზრისით. როგორც კვლევამ აჩვენა, ეს დიაგრამითაც ნათლად ჩანს, ევფემიზმების გამოყენების ყველაზე ნაყოფიერი სფერო არის სოციალური და ეკონომიკური სფერო, საომარ ქმედებებთან დაკავშირებული სიტყვები და ასევე ხშირად გამოიყენება ევფემიზმები, რომელთა საფუძველსაც ტაბუ წარმოადგენს, პოლიტიკური და საომარ ქმედებებთან დაკავშირებული ევფემიზმები.

ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ მათი უმეტესობა მოდის პოლიტიკურ სფეროზე. აღნიშნულ ლინგვისტურ ფენომენს მეტყველებისას ძალიან ხშირად მიმართავენ პოლიტიკოსები. ნაწილი ცდილობს, შეარბილოს რეალობა, თვალი აუხვიოს საზოგადოებას, შეუქმნას სასურველი გაგება მსოფლიო ფაქტებს და ისე მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია, ნაწილი კი, პირიქით, ამწვავებს თავიან გამოსვლებს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევფემიზმებს აქვთ სერიოზული მიზეზები არსებობისთვის. ერთ-ერთი ასეთი იმ მოვლენების დაფარვაა, რომლებისაც ხალხს ეშინიათ. ევფემიზმები გამოიყენება, რათა დაიფაროს ცხოვრებისეული მოვლენები რეპროდუქციასთან (მათ შორის სხეულის ნაწილებთან) დაკავშირებით, რომლებიც თავს საზოგადოების ყველაზე დახვეწილ წევრსაც შეახსენებენ.

დისფემიზმებისთვის, ისევე როგორც ევფემიზმებისთვის დამახასიათებელია არასტაბილურობა. ზოგიერთი შეიძლება მოკვდეს გარკვეული დროის შემდეგ, ზოგიერთი კი შეიძლება ხელახლა დამკვიდრდეს ენაში. ასევე ერთი რომელიმე სფერო განსაკუთრებით გამოირჩეოდეს დისფემისტური გამონათქვამებით, ხოლო მეორეში შედარებით ნაკლებად მოიპოვებოდეს. ის სფერო, რომელიც არის უფრო დისფემისტური, მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების ინტერესებთან. ის სფეროები, რომელიც არის ყველაზე დისფემისტური, დაკავშირებულია შიშთან, სიკვდილთან, ომთან, სექსთან, სხეულის ნაწილებთან, პოლიტიკასთან, ეკონომიკურ ცხოვრებასთან და ა.შ.

დისფემიზაციის პროცესში სხვადასხვა გრძნობა და ემოციაა ჩართული. დისფემიზმები გამოიყენება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. მათი დანიშნულებაა, გაამძაფროს მოსაუბრის ზემოქმედება მსმენელზე. დისფემიზმების საშუალებით ადამიანი გამოხატავს უარყოფით ემოციებს, ისინი ემსახურება მდგომარეობის გამწვავებას და ადრესატის შეურაცხყოფას. აგრეთვე ვნახეთ, რომ დისფემიზმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის დისკრედიტაცია, რაც უმეტესწილად დამახასიათებელია პოლიტიკური დისკურსისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ადეიშვილი, (2013), ადეიშვილი ქ. დისკურსის ანალიზი. თბილისი
- 2) გელაძე ს. (2012), მედია-დისკურსის თავისებურება. ჟურნალი „ინტელექტუალი.“ თბილისი
- 3) დარასელია მ. (2012), დისკურსის პრაგმატული კოჰერენტულობის ფორმირების შესახებ. თბილისი
- 4) ენუქიძე რ. (2000), ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი
- 5) თევდორაძე ნ. (2011), ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი
- 6) ლებანიძე გ. (2004), კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი
- 7) მენგენო (2002), შაროდო, მენგენო დისკურსის ანალიზის ლექსიკონი.
- 8) სერგია ვ. (1989), ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი
- 9) სვანიძე რ. (2012), თოქშოუს ტექსტის სტილის თავისებურებანი გერმანულ და ქართულ ენებში. ქუთაისი
- 10) ოშიაძე ს. (2006), ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება. თბილისი.
- 11) პეტელავა თ. (2012), დისკურსის ნაირსახეობა ონლაინ სივრცეში. თბილისი
- 12) შავლაძე თ. (2013), ეპიტაფია როგორც ტექსტობრივი ფენომენი და მისი ძირითადი ტიპები ქართულ და ანგლო-ამერიკულ კულტურებში. ბათუმი
- 13) ჯაში მ. (2010), საგაზეთო კომუნიკაცია _ სულიერი კულტურის ძირითადი ელემენტი. სამეცნიერო ჟურნალი „Scripta manent“ #4(8) თბილისი
- 14) Абакова Т. (2011), Дисфемизмы и Эвфемизмы как способ языкового воплощения стратегии дискредитации в текстах политической сферы (на материале англоязычной прессы). Москва
- 15) Александров А.А (2012), „Эвфемия и дисфемия в газетном тексте.“ Москва
- 16) Бахтин М.М. (1979), Эстетика словесного творчества. Москва
- 17) Бенвенист Э. (1979), Общая лингвистика. Москва
- 18) Гальперин И. Р. (1981), Текст как объект лингвистического исследования. Москва
- 19) Гиндин С. И. (1981), Что такое текст и лингвистика текста// Аспекты изучения текста. Москва

